მასწავლებელი

№6(74), 2021

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ჯალიაშვილი, თემურ სუყაშვილი, თამთა დოლიძე, მაია ფირჩხაძე, ნათია უჩავა, ქეთევან მიქაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

ჟურნალის ეს ნომერი „მედიაწიგნიერების“ თემას მიეძღვნა. თანამედროვე სამყაროში მოდური გახადა სიტყვა – მედიაწიგნიერება. ჩვენთანაც ხშირად გაიგონებთ. მის აუცილებლობაზე ხშირად საუბრობენ.

სხვადასხვა წყარო, მედიაწიგნიერების განმარტების თავის ინტერპრეტაციას გვთავაზობს. თუმცა, იმას, რომ ეს გახლავთ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების ერთობლიობა ყველა აღიარებს. ცოდნა, უნარი და მოტივაცია კი აერთიანებს სამ კითხვას: რა? როგორ? რატომ? რა ვიცი? როგორ შევასრულო? როდის, რატომ, რა შემთხვევაში გამოვიყენო?

როცა თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მოძიება პრობლემა თითქოს აღარ არის, მეტიც, ეს ინფორმაციული ნაკადი იმდენად ბევრი და მრავალფეროვანია, პრობლემა მის შერჩევა – გადარჩევასა და გაფილტვრაშია, რადგან ის, თუ როგორ ახერხებს ადამიანი ზღვა ინფორმაციასა და ამ ინფორმაციის გამავრცელებელ უამრავ წყაროსთან ურთიერთობას, განსაზღვრავს მის წარმატებას, მის ადგილს საზოგადოებაში, სარგებელსა და ზიანს საქმიანობაში, პირად ცხოვრებასა და ყოველდღიურობაში.

მაინც, რა უნდა ვიცოდეთ ინფორმაციასთან მიმართებაში? მედიაწიგნიერი ადამიანი ახერხებს: განსაზღვროს საჭირო ინფორმაციის მოცულობა; შეაფასოს საჭირო ინფორმაცია ეფექტურად; შეაფასოს ინფორმაცია და მისი წყაროები კრიტიკულად; გააერთიანოს შერჩეული ინფორმაცია საკუთარი ცოდნის ბაზაში; ეფექტიანად გამოიყენოს ინფორმაცია სპეციფიკური მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს ინფორმაციის გამოყენების თანმდევი ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური საკითხები და ეთიკურად და სამართლიანად გამოიყენოს ინფორმაცია.

ამასთან, მედიაწიგნიერი ადამიანი სვამს კრიტიკულ და დამაზუსტებელ კითხვებს, აანალიზებს ნაგულისხმევ ვარაუდებს, იცის, როდის და რამდენი ისაუბროს, რა თქვას და როგორ თქვას, უფრთხილდება საკუთარ და სხვის დროს, ამოწმებს და ადარებს ინფორმაციის წყაროებს.

მოდურია, – ვთქვი წერილის დასაწყისში. თუმცა, იქვე გავიფიქრე, რომ მას სეზონურობა არ ემუქრება, რადგან ყოველდღიურად იხვეწება ინფორმაციის მიწოდების ხერხები და ინსტრუმენტები, იხვეწება ინფორმაციის ტექსტები და ქვეტექსტები, დარწმუნების მეთოდები.

დღეს უკვე ქართულ ენაზეც უხვად გვაქვს წიგნები, გზამკვლევები, ტარდება ტრენინგებიც, რაც თავისთავად დაგვეხმარება მედიაწიგნიერების რაობის და მისი მნიშვნელობის უკეთ გააზრებაში, ასევე, სასწავლო პროცესში ამ უნარის უკეთ გამომუშავებაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა ვისწავლოთ, ინფორმაციის კრიტიკული გააზრება და კითხვების სწორად დასმაა.

შეიძლება თქვათ, რომ ეს ყველაფერი ვიცით, რომ უკვე მრავალჯერ ვისაუბრეთ ამის შესახებ.

ალბათ ასეცაა, თუმცა, როცა ამ მიმართულებით ჩვენი საზოგადოების, მასწავლებლების, ჩვენი მოსწავლეების საერთო სურათს გადავხედავთ, რომლის ერთ-ერთი სარკე სოციალური ქსელია, უნებურად მიჩნდება კითხვა – სინამდვილეში ვიცით?

ასეა, ჯერ კითხვის სწორად დასმა უნდა ვისწავლოთ, კითხვითი სიტყვები შევიყვაროთ და რაც მთავარია, მათი გამოყენება გავბედოთ.

საგანმანათლებლო რესურსი

4 | მედიაწიგნიერების გაკვეთილები

მოცემული გაკვეთილის გეგმები ევროპის საბჭოს მიერ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვის მიზნითა და ციფრული მოქალაქეობის განათლების ხელშესაწყობად შეიქმნა. გაკვეთილის გეგმები დაეხმარება მასწავლებელს პანდემიის პერიოდში გამოკვეთილი მნიშვნელოვანი თემების შესახებ სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვაში.

მაია ჯალიაშვილი

24 | მედიაგზავნილები და მოსწავლის არჩევანი

შეიძლება დავსვათ კითხვა: თანამედროვე სამყაროში არჩევანის სიმრავლე სიკეთეა თუ უბედურება? ერთიცაა და მეორეც. ეს ხშირად ერთგვარ ტერორს უთანაბრდება, რომელიც სიმართლისა და სიყალბის გარჩევის უნარს აჩლუნგებს და კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნების, ანალიზის, სინთეზისთვის დროს არ ტოვებს, სწრაფი, გაუაზრებელი, მოჩვენებითი გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

ნათია უჩავა

53 | მედიაწიგნიერება ჩემს გაკვეთილზე – წიგნები შენთვის

მედიაწიგნიერება იძლევა მოვლენის კრიტიკულად შეფასების შესაძლებლობას, ასწავლის გამოგონილი და რეალური ფაქტების ერთმანეთისგან გამიჯვნას, იძლევა შედარების საშუალებას ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.

ქეთევან მიქაძე

55 | მედიაწიგნიერების თამაშები

მედიის მანიპულაციის, ყალბი ინფორმაციის ზეგავლენის მსხვერპლი ბევრი ადამიანი გამხდარა. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, დაწყებითი საფეხურიდანვე განვუვითაროთ მოსწავლეს კრიტიკული აზროვნება, მედიაგზავნილის შეფასების, ანალიზის, ინტერპრეტირების უნარები.



სარჩევი

კვლევა

მაია ფირჩხაძე

38 | ისტორიული ლორეს საზღვრების კორელაცია და სინამდვილის რეპრეზენტაცია ისტორიის გაკვეთილზე

რადგან მედიალანდშაფტი ძლიერ არის შეცვლილი და ინფორმაცია ახალგაზრდამდე ათასობით წყაროდან მოდის, მედიაუნარების, მედიაწიგნიერების კომპეტენციის გარეშე მოსწავლეები ვერ შეძლებენ ინფორმაციის ზღვაში „ნამდვილისა“ და „გამოგონილის“ გარჩევას.

საერთაშორისო გამოცდილება

თემურ სუყაშვილი

32 | თვითშეფასების კითხვარი და ინსტრუმენტები მედიასამყაროში ორიენტირებისთვის

სასკოლო პრაქტიკაში მედიაწიგნიერების ინტეგრირება შესაძლებელია როგორც საგნობრივ ჭრილში, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. საწყის ეტაპზე შეგვიძლია დავიწყოთ ჩვენი მოსწავლეების ჩვევების დადგენით. განვსაზღვროთ, თუ როგორ იქცევიან ისინი ამა თუ იმ სიტუაციაში და შემდგომ განვახორციელოთ საჭირო ინტერვენციები.

მოსაზრება

თამთა დოლიძე

35 | „პირველად იყო რატომ“, ანუ რატომ უნდა შევიყვაროთ შეკითხვები

რატომ ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ? ეს კითხვა საკუთარ თავს გამუდმებით უნდა დავუსვათ, რადგან იგი ყველაზე უკეთ შთაგვაგონებს და მოქმედების მოტივაციას გვიქმნის. ალბათ დამეთანხმებით, თითოეული ჩვენგანი დიდი ენთუზიაზმით მუშაობს ისეთ საკითხებზე, რომლებისაც სჯერა და მხარს უჭერს. ბუნებრივია, თუ თავად არ გჯერა იმ მიზნის, რომლისკენაც ისწრაფვი, სხვებს შენი შრომის ნაყოფის უპირატესობაში როგორღა დაარწმუნებ?!

შორენა ტყეშელაშვილი
27 სოციალური მედიის დიდთვალება მონსტრები

ირმა კახურაშვილი
28 ციფრული დეტოქსი

ნასტასია არაბული
29 მარტო უხარისხო ციფრული კონტენტის პირისპირ

ცირა ბარბაქაძე
30 ციფრული სამყაროს ცხრა უნარი

მედიაწიგნიერების გაკვეთილები

მასალა ინგლისურიდან თარგმნა
გვანცა ხორგუაშვილმა

მოცემული გაკვეთილის გეგმები ევროპის საბჭოს მიერ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვის მიზნითა და ციფრული მოქალაქეობის განათლების ხელშესაწყობად შეიქმნა. გაკვეთილის გეგმები დაეხმარება მასწავლებელს პანდემიის პერიოდში გამოკვეთილი მნიშვნელოვანი თემების შესახებ სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვაში.

ახალი შესაძლებლობები
რაღაც ახლის ცდა

დღეს, ჯანმრთელობისთვის სახიფათო მდგომარეობის დროს, სახლში იზოლაცია და დისტანცირება ახალგაზრდებისთვის ართულებს ყოველდღიური ინტერესებისა და აქტივობების შენარჩუნებას. მაგალითად, ფორმალური თამაშები და ფიზიკური სპორტული თამაშები შეუძლებელია, ისევე, როგორც ბევრი სხვა არაფორმალური აქტივობა, როგორიცაა თუნდაც მეგობრებთან ურთიერთობა. ეს გაკვეთილი განიხილავს, თუ როგორ შეუძლია ტექნოლოგიას ამ კრიზისის დროს ახალგაზრდებს დაეხმაროს არსებული ინტერესების შენარჩუნებასა და ახლის აღმოჩენაში.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ, თუ რა გავლენა აქვს მიმდინარე მდგომარეობას მათ ყოველდღიურ ინტერესებსა და აქტივობებზე;
- შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გააანალიზონ დასვენებისა და სწავლის ახალი შესაძლებლობები;
- იმ გზების იდენტიფიცირება, რომლებითაც შეძლებენ, ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით, საკუთარი ინტერესების შენარჩუნებასა და ახალთა აღმოჩენას;
- განივითარონ მოქნილობის, ადაპტაციისა და გაურკვევლობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების უნარი.

სტიმული

სავარჯიშო რეფლექსიისთვის:

მოსწავლეები წყვილებში ფიქრობენ, თუ რა გავლენა იქონია კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო შეზღუდვებმა მათ ყოველდღიურ ინტერესებსა და აქტივობებზე, მაგალითად, სოციალიზაციაზე, ჰობებზე, სპორტზე, სწავლაზე და ა.შ.

საკუთარ მეწყვილეს ესაუბრებიან და უზიარებენ გამოცდილებებს, გრძნობებსა და წუხილს ამ თემასთან დაკავშირებით.

მოსწავლეები ჯგუფის დანარჩენ წევრებს ესაუბრებიან საკუთარი მეწყვილის შესახებ, რა შეიცვალა და როგორი ზეგავლენა ჰქონდა ამ ყოველივეს, მაგალითად, ყურადღებას ამახვილებენ გრძნობებზე, წუხილზე და ა.შ.

იპოვეთ ამისთვის შესაფერისი დამხმარე საშუალება, მაგ., WhatsApp.
სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ საკუთარ მეწყვილეს და დაიმახსოვრონ ძირითადი პუნქტები.
სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ მოკლე პრეზენტაციები.

დისკუსია

სავარჯიშოს შემდგომ:

- როგორ გრძნობთ თავს, როდესაც არ შეგიძლიათ გააკეთოთ ის საქმეები, რომლებსაც აქამდე აკეთებდით?
- არის რაიმე უპირატესობა არსებულ ვითარებაში? თუ ასეა, რა არის ეს უპირატესობა?
- არსებობს სხვადასხვა გზა იმ საქმეების გასაკეთებლად, რომლებსაც აქამდე აკეთებდით, გარეთ გასვლის ან ხალხთან პირადად შეხვედრის გარეშე? მოიფიქრეთ რამდენიმე მაგალითი.
- როგორ შეიძლება ამაში ტექნოლოგია დაგვეხმაროს? შემოგვთავაზეთ იდეები. შეგიძლიათ რაიმე კონკრეტული დამხმარე საშუალებები შემოგვთავაზოთ? მაგ: აპლიკაციები, სოციალური მედია, ვებსაიტები და სხვ.?
- შესაძლებელია თუ არა ეს საშუალებები დავიხმაროთ სახლიდან გაკვეთილების ჩატარებაში – როგორიც ესაა? როგორ?
- დაგეხმარათ თუ არა ტექნოლოგია, აქამდე რაზეც არ გიფიქრიათ, ისეთი ახალი ინტერესებისა და აქტივობების აღმოჩენაში პანდემიის დროს? თუ ასეა, რაში?
- არის საზოგადოებაში ვინმე ისეთი, ვინც ცდილობს, ახალგაზრდებს დაეხმაროს სახლში დროის კრეატიულად გამოყენებაში? უფრო მეტი მხარდაჭერაა საჭირო? რატომ ფიქრობთ ასე?

გაამარტივეთ კითხვები მოსწავლეებისთვის. მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთმანეთს დაეხმარონ საკითხებზე დაფიქრებაში. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ვებგვერდზე:
https://ec.europa.eu/education/resources-and-tools/coronavirusonline-learning-resources_en

მოიძიეთ თქვენს ქვეყანაში არსებული ინიციატივები ინტერნეტში და გაუზიარეთ მოსწავლეებს შესაბამისი ინფორმაცია.



დასკვნა

შეახსენეთ მოსწავლეებს ახლანდელი შეზღუდვების მიზეზი.

ახსენით: მიუხედავად იმისა, რომ დროებით შეუძლებელია იმ საქმეების გაკეთება, რომლებსაც ჩვეულებრივ აკეთებდნენ, ტექნოლოგიას შეუძლია მათი დახმარება ამავე საქმის სხვადასხვა გზებით გაკეთებაში. ასევე, შესაძლებელია ისეთი ახალი ინტერესების აღმოჩენა, რომელთა შესახებაც აქამდე არ უფიქრიათ. წააქეზეთ მოსწავლეები ექსპერიმენტების ჩატარებაში – არ შეუშინდნენ შეცდომების დაშვებას, ვინაიდან კრეატიულობა მოიაზრებს განსხვავებულის დანახვას და შეცდომების მიჩნევას სასწავლო პროცესის ნაწილად.

▶ მოიძიეთ მოსწავლეებისთვის შესაფერისი ვებგვერდები, რომლებიც შესაძლებელია ამაში დაგეხმაროთ.

დავალება

მოსწავლეები ფიქრობენ ახალ ინტერესზე, რომელიც პანდემიის დროს აღმოაჩინეს, ან ინტერესზე, რომელიც ჰგონიათ, რომ მოეწონებათ.

თანაკლასელებისთვის ამზადებენ მოკლე პრეზენტაციას ამასთან დაკავშირებით, განმარტავენ, თუ რატომ აირჩიეს ეს ინტერესი.

▶ უკეთესია მუშაობა მცირე ჯგუფებში, მაგრამ შესაძლებელია ინდივიდუალურადაც. თუ მცირე ჯგუფებს გადაწყვეტთ, შეარჩიეთ ჯგუფის წევრები ისე, რომ მოსწავლეებს მუშაობის შანსი მიეცეთ სხვადასხვა თანაკლასელთან.

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ იდეებს.

განიხილავენ, გააგრძელებენ თუ არა ტექნოლოგიების მოხმარებას კორონავირუსის შეზღუდვების დასრულების შემდგომ.

ფიქრობენ ახალგაზრდებზე, რომელთა ყოველდღიურობაც უფრო შეზღუდულია, ვიდრე მათი, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის გამო. განიხილავენ, თუ რისი გაკეთება შეუძლია საზოგადოებას მათ დასახმარებლად და რისი გაკეთება შეუძლიათ პირადად მათ ან სკოლას.

▶ შეახსენეთ მოსწავლეებს ბავშვთა უფლებები საკუთარი „პიროვნების, ნიჭისა და მენტალური თუ ფიზიკური შესაძლებლობების სრული პოტენციალის“ განვითარების შესახებ (CRC, მუხლი 29-ე).

ეთიკური შოპინგი
ყველაფერი ფასზე დამოკიდებული არ არის?

ბევრი ადამიანი შოპინგის ჩვევებს ცვლის კორონავირუსის პანდემიის დროს ცხოვრების წესებთან მოსარგებად. ეს გაკვეთილი განიხილავს, მომხმარებელთა ქცევიდან გამომდინარე, ამ ცვლილებების პოტენციურ შედეგებს საზოგადოებისთვის და იმას, თუ რა როლი შეუძლია ითამაშოს ტექნოლოგიამ ჩვენს დასახმარებლად, რათა უფრო ჯანმრთელი, სამართლიანი, მეტად ეკოლოგიური და მდგრადი გზებით ვიშოპინგოთ.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ საკუთარი ოჯახის შოპინგის ჩვევებზე და იმაზე, თუ როგორ შეიცვალა იგი პანდემიის შედეგად;
- გააანალიზონ მიზეზები, თუ რატომ შეიცვალა შოპინგის ჩვევები;
- მოახდინონ უფრო ჯანმრთელი, სამართლიანი, ეკოლოგიური და მდგრადი შოპინგისთვის დამახასიათებელი გზების იდენტიფიცირება;
- განივითარონ სამართლიანობის გრძნობა, კრიტიკული ცოდნა და ეკონომიკის, გარემოსა და მდგრადობის გაგება.

სტიმული

ჯგუფური გამოკითხვა:

ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ როგორ შეიცვალა მათი ოჯახების შოპინგი პანდემიის შედეგად. მაგალითად, შოპინგობენ:

- უფრო ხშირად/ნაკლებად ხშირად?
- პატარა ადგილობრივ მაღაზიებში/დიდ სუპერმარკეტებში?
- პირადად/ონლაინ?

ყიდულობენ:

- უფრო ბევრ/უფრო ცოტა საჭმელს?
- უფრო ჯანსაღ/გადამუშავებულ თუ სწრაფი კვების პროდუქტს?

უფრო ხშირად ამზადებენ კერძებს? ფასი უფრო მეტად/ნაკლებად მნიშვნელოვანია?

სხვა რა ცვლილებებმა იჩინა თავი?

გააკეთეთ ონლაინგამოკითხვა. ინტერნეტში ბევრი დამხმარე საშუალებაა ხელმისაწვდომი, მაგ: Google Forms.

გადაიტანეთ მონაცემები გამოკითხვიდან ონლაინგრაფაში, ან სთხოვეთ მოსწავლეებს, თქვენ მაგივრად გააკეთონ.

დისკუსია

გამოკითხვის შემდგომ:

- რას გეუბნებათ გამოკითხვა ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, საყიდლებთან დაკავშირებით, ვირუსის დაწყების შემდგომ?
- როგორ ფიქრობთ, რა არის ცვლილებების მიზეზი?
- როგორ ფიქრობთ, ცვლილებები:
  – გახდის ხალხს უფრო ჯანმრთელს?
  – იქნება გარემოსთვის უკეთესი?
  – იქნება უფრო სამართლიანი მათთვის, ვინც საკვებს აწარმოებს?
- ჩვეულებრივ, რას აქვს ზეგავლენა ხალხის არჩევანზე საკვების ყიდვის დროს?
- როგორ შეიძლება ხალხის დარწმუნება, რომ ეს და სხვა ფაქტორები გაითვალისწინონ?
- ვინ არის საზოგადოებაში პასუხისმგებელი იმაზე, რომ საკვები, რომელსაც ჩვენ ვყიდულობთ, იყოს ჯანსაღი, გარემოსთვის კარგი და ამავე დროს სამართლიანიც საკვების მწარმოებლებისთვის?

წაახალისეთ მოსწავლეები, რომ მოამზადონ პასუხები მოცემულ შეკითხვებზე.
წაახალისეთ მოსწავლეები, რომ სიღრმისეულად განიხილონ დადებითი და უარყოფითი მხარეები მოცემული საკითხების შესახებ. შესაძლოა, მოსწავლეები ჯგუფებადაც დაყოთ.
შეგიძლიათ, სთხოვოთ მოსწავლეებს, შეადგინონ საყიდლების სია და ჩამონათვალში თითოეულს გარკვეული პასუხისმგებლობა დაუკავშირონ.

დასკვნა

შეაჯამეთ დისკუსიის შედეგად წარმოჩენილი მთავარი საკითხები.

ხელახლა შეაფასეთ, რომ საკვების ყიდვის დროს არჩევანს ვაკეთებთ არა მარტო ფასისა და გემოვნების მიხედვით, არამედ ვითვალისწინებთ სიჯანსაღეს, გარემოსა და სამართლიანობას საზოგადოებისადმი.

მოკლედ აღწერეთ საკვების მიწოდების ჯაჭვის ძირითადი ეტაპები თქვენს ქვეყანაში. ახსენით, რა ეფექტი გვაქვს ჩვენ, როგორც მომხმარებლებს მათზე.

ეცადეთ, იპოვოთ შესაფერისი ინფოგრაფიკა,

მაგ: https://www.futurelearn.com/courses/explore-how-farmers-produce-food-sustainably/0/steps/60769

დავალება

მოსწავლეები წარმოიდგენენ, რომ ვინმეს ეხმარებიან აპლიკაციის შექმნაში, რომლის გამოყენებაც მომხმარებლებს შეეძლებათ საყიდლების მართვასთან დაკავშირებით. ეს აპლიკაცია დაასკანერებს ყველა პროდუქტს ბარ-კოდით და შეაფასებს მას. მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ, თუ რომელ ასპექტზე სურთ, აპლიკაციამ ყურადღება გაამახვილოს: სიჯანსაღეზე, გარემოსა თუ სამართლიანობაზე. ადგენენ კრიტერიუმების სიას, რომლებსაც აპლიკაცია გამოიყენებს და რომლების მიხედვითაც შეაფასებს პროდუქტებს.

ასეთი ბევრი აპლიკაციაა ხელმისაწვდომი. მოსწავლეებს შესაძლოა სურდეთ მათი შეფასება, ან მსგავსის შემუშავება.

იხილეთ:
https://bit.ly/3axohWx

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ იდეებს აპლიკაციის შესახებ და ხსნიან თავიანთ შეხედულებებს.

განიხილავენ აპლიკაციის პრაქტიკულ გამოყენებას და იმას, თუ როგორ დაარწმუნებენ ვინმეს მის სარგებლიანობაში.

მოიფიქრებენ შოპინგის პროცესის ცვლილებებს პანდემიის დაწყების შემდგომ და განიხილავენ მათ ეთიკურ შედეგებს ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა, მაგალითად, ტანსაცმელი და მოდა.

ამასთანავე, შეუძლიათ განიხილონ ონლაინშოპინგის დადებითი და უარყოფითი მხარეები ჯანმრთელობასთან, გარემოსა და სამართლიანობასთან მიმართებით.

თანამშრომლობა
როგორ შეგვიძლია ჯგუფურად ვიმუშაოთ ონლაინ?

თანამშრომლობის სწავლება აუცილებელია სამოქალაქო განათლებისთვის. ახლა, კორონავირუსის პანდემიის გამო, როდესაც სამოქალაქო განათლების მიღება შეუძლებელია საკლასო ოთახებში, ახალგაზრდებს უწევთ ახალი გზების ძიება საკუთარ თანატოლებთან სათანამშრომლოდ. ეს გაკვეთილი განიხილავს, თუ როგორაა შესაძლებელი, ელექტრონული სწავლების წესების ერთად განსაზღვრამ ახალგაზრდებს მისცეს საშუალება, შექმნან ყოველი მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი ონლაინსწავლების გარემო.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ ჯგუფური სწავლებისგან მიღებულ სარგებელზე;
- გააანალიზონ ჯგუფური ონლაინმეცადინეობის დაბრკოლებები და ის, თუ როგორ შეიძლება მათი გადალახვა;
- მოახდინონ წესების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომ ონლაინ ჯგუფურ სამუშაოს გააადვილებს;
- განივითარონ თანამშრომლობისა და საკუთარი თავის კრიტიკულად შეფასების უნარები.

სტიმული

ვიდეო: https://www.youtube.com/watch?v=V3YnWgZ-0Ds

ახსენით, რომ მიუხედავად სოციალური დისტანციისა და სახლში იზოლირებულად ცხოვრებისა, ციფრული ტექნოლოგიის მეშვეობით, მაინც შეგვიძლია შეკრება, ერთმანეთის დახმარება და პრობლემების გადაჭრა.

თუმცა ერთმანეთის მხარდაჭერა ყოველთვის მარტივი როდია. უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ ვითანამშრომლოთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სახლში ვართ და დამოუკიდებლად ვმუშაობთ.

მოიძიეთ სურათი ან სამოტივაციო ციტატა, რომელიც ასახავს თანამშრომლობის ძალას.

ასევე, ინგლისურის გაკვეთილზე მოსწავლეებს შეუძლიათ ლექსის თარგმნა, ხოლო შემდეგზე – განხილვა.

დისკუსია

ვიდეოს შემდგომ:

- რა უპირატესობა აქვს ჯგუფურ სწავლებას დამოუკიდებლად სწავლებასთან შედარებით? შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები სკოლაში თქვენი გამოცდილების აღსაწერად?
- ახლა სახლიდან მუშაობთ, რა შესაძლებლობები არსებობს ჯგუფურად სწავლისთვის? როგორ შეუძლია ტექნოლოგიას დაგეხმაროთ?
- რა დაბრკოლებებმა შეიძლება შეუშალოს ხელი ახალგაზრდებს, რომ ჯგუფურად იმუშაონ?
- რა შეიძლება გაკეთდეს ამ პრობლემების დასაძლევად?
- რისი გაკეთება შეგიძლიათ, რათა დარწმუნდეთ, რომ ჯგუფის ყველა წევრი მუშაობაში თანაბრად იღებს მონაწილეობას?
- დაგეხმარებოდათ თუ არა, ონლაინ ჯგუფური სწავლებისთვის წესები რომ არსებობდეს? თუ ასეა, ვინ ჩამოაყალიბებდა ამ წესებს და როგორ?

მოიყვანეთ მაგალითები მოსწავლეების დასახმარებლად იმის შესახებ, თუ რას გულისხმობთ ჯგუფურად სწავლაში (მეცადინეობაში), მაგ., დისკუსიები, ერთობლივი ამოცანები, მსჯელობა.

დარწმუნდით, რომ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და ციფრული უნარების შესახებ საკითხები დისკუსიაში ნამდვილად იკვეთება.

დასკვნა

მკაფიოდ აღნიშნეთ წესების საჭიროება, რომ შეიქმნას ღია და ინკლუზიური სასწავლო გარემო ყველასათვის, რაც აუცილებელია როგორც ონლაინ, ისე პირადად თანამშრომლობისათვის.

გამოყავით ჯგუფის წესების შედგენის სამი ეტაპი:

1. დაფიქრდით, თუ რა არის საჭირო სხვებისგან, რათა ჯგუფში თანამშრომლობა შეძლოთ.
2. გააცანით სხვებს თქვენი მოლოდინები და მოუსმინეთ მათაც.
3. ერთად მოილაპარაკეთ და შეთანხმდით 5 წესზე.

დავალება

ინდივიდუალური სამუშაო:

- თანატოლების რა ქცევამ შეიძლება მოგცეთ მოტივაცია მათთან სამუშაოდ?
- როგორ უნდა მოიქცეთ, თუ არ გაქვთ წვდომა მონაწილეობის მისაღებად ზოგიერთ საჭირო მოწყობილობაზე, ან თქვენთვის ნაცნობი არ არის გამოყენებული ტექნოლოგია?
- როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ზოგიერთი თქვენი თანატოლისთვის ნაცნობი არ არის გამოყენებული ტექნოლოგია?
- როგორ შეგიძლიათ მოიქცეთ, რომ უზრუნველყოთ, ყველას თანაბარი შანსი მიეცეს საკუთარი შეხედულების გამოსახატად?

მცირე ჯგუფური სამუშაო:

- გააცანით ჯგუფს თქვენი მოლოდინები და მოუსმინეთ სხვებისას.
- შეთანხმდით 5 წესზე, რომელიც ყველასთვის გამოსადეგი იქნება.
- გადაწყვიტეთ, თუ როგორ წარადგენთ თქვენს წესებს ისე, რომ თქვენი ჯგუფის ყველა წევრი იყოს ამაში ჩართული.

შესაძლოა მოსწავლეებისთვის ზოგიერთი კითხვის გამარტივება დაგჭირდეთ.

გაანაწილეთ მოსწავლეები ჯგუფებში ისე, რომ მათში ნაკლებად აქტიური მოსწავლეებიც შედიოდნენ.

წაახალისეთ მოსწავლეები, გამოიყენონ ახალი და საინტერესო საპრეზენტაციო საშუალებები, მაგ. Google Slides, Visme Basic, Zoho Show.

მომდევნო ნაბიჯები

მცირე ჯგუფები წარადგენენ საკუთარ პრეზენტაციებს.

მცირე ჯგუფების წესები ჯამდება, რათა ჩამოყალიბდეს საერთო საკლასო ელექტრონული წესების ერთობლიობა.

კიბერბულინგი
როგორ ვიზრუნოთ მის პრევენციაზე და როგორ ვებრძოლოთ მას?

ახლა, როდესაც ჯანმრთელობისთვის არსებული საფრთხის გამო გარეთ გასვლა და მეგობრებთან შეხვედრა ძველებურად არ შეგვიძლია, ჩვენს ურთიერთობებზე ტექნოლოგიას უფრო მეტი ზეგავლენა აქვს, ვიდრე აქამდე. ეს გაკვეთილი განიხილავს პირად (პირისპირ) და ელექტრონულ კომუნიკაციას შორის არსებულ სხვაობას, კიბერბულინგის ზრდასა და ამ ფენომენის პრევენციისა და მასთან ბრძოლის გზებს.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ, თუ როგორი ეფექტი აქვს ტექნოლოგიას კომუნიკაციაზე;
- გააანალიზონ კიბერბულინგის შედეგები;
- მოახდინონ კიბერბულინგის შეჩერების გზების იდენტიფიცირება;
- განივითარონ თავდაჯერებულობის, ადამიანური ღირსებისა და ადამიანის უფლებების დაფასების კომპეტენციები.

დისკუსია

სურათი 1: პირადი (პირისპირ) კომუნიკაციის ამსახველი თვალსაჩინოება

სურათი 2: ონლაინკომუნიკაციის ამსახველი თვალსაჩინოება

ვიდეო: https://www.youtube.com/watch?v=e5sB7mndfrQ

მოძებნეთ თქვენი მოსწავლეებისათვის მიმზიდველი ორი სურათი. მხოლოდ პირველი ოთხი წუთი. თუ მასალის ენა მოსწავლეებისთვის გასაგები არ არის, გამორთეთ ხმა და თავად იყავით მთხრობელი. ან მოძებნეთ მსგავსი ვიდეო თქვენს ენაზე.

სტიმული

სურათი 1-ის შემდგომ:

- რა არის კომუნიკაცია?

სურათი 2-ის შემდგომ:

- რა განსხვავებაა პირად (პირისპირ) კომუნიკაციასა და ონლაინკომუნიკაციას შორის?
- მარტივია თუ რთული ვინმესთან რაიმეს შესახებ კომუნიკაცია ტექნოლოგიის საშუალებით? რატომ?
- თქვენ შორის ეკრანის არსებობა აადვილებს თუ ხელს უშლის სხვებთან ურთიერთობას?

ვიდეოს შემდგომ:

- რა განსხვავებაა ბულინგსა და კიბერბულინგს შორის?
- არის კიბერბულინგი პრობლემა? რატომ?
- კიბერბულინგს მსხვერპლთათვის რა შედეგები მოჰყვება?
- კიბერბულინგს მჩაგვრელებისთვის რა შედეგები მოჰყვება?
- კიბერბულინგს მოწმეებისთვის რა შედეგები მოჰყვება?

გაამარტივეთ კითხვები თქვენი მოსწავლეებისთვის. გამოტოვეთ მეორე და მესამე კითხვა, თუ მოსწავლეები უკვე გაუმკლავდნენ მათ პირველ კითხვაზე პასუხის გაცემისას. გადაამოწმეთ, მოჰყვება თუ არა რაიმე იურიდიული შედეგები კიბერბულინგის პრევენციას თქვენს ქვეყანაში და გააცანით მოსწავლეებს.

დასკვნა

მოკლე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი ზეგავლენა აქვს ტექნოლოგიას კომუნიკაციაზე. სხვებთან საუბრისას ეკრანი ჩვენი ემპათიის უნარს გარკვეულწილად აქვეითებს. ვერ ვხედავთ ვერც სხვების სახეებსა და ვერც მათ პირდაპირ რეაქციას. ვარჩევთ დროებსა და ადგილებს, თუ სად გვსურს პასუხის გაცემა. უფრო მშვიდად ვგრძნობთ თავს ხალხთან საუბრისას.

კიბერბულინგის შემთხვევების რაოდენობა, კორონავირუსის შეზღუდვებთან ერთად, გაიზარდა, ვინაიდან კომუნიკაცია ციფრულ სფეროში გადავიდა. ეს ძალიან სახიფათოა, რადგან მას გავლენა აქვს რეალურ ცხოვრებაზე. სულ მცირე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, ყველა მოზარდი ყოფილა კიბერბულინგის მოწმე, მჩაგვრელი ან მსხვერპლი. ამიტომ, ყველა ჩვენგანმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მის შეჩერებაში.

მასწავლებელი

დავალება

მოსწავლეები ინტერნეტს განიხილავენ:

- კიბერბულინგის რა სახეები არსებობს?
- რისი გაკეთება შეგიძლიათ, თუ კიბერბულინგის მოწმე ხართ?
- რისი გაკეთება შეგიძლიათ, თუ კიბერბულინგის სამიზნე ხართ?
- სად შეგიძლიათ დახმარების მიღება? რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ დახმარება?
- როგორ შეგიძლიათ ადამიანს თავიდან აარიდოთ, გახდეს კიბერმჩაგვრელი?

მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციას მოძიებულ ინფორმაციასა და რჩევებზე.

უკეთესია მუშაობა მცირე ჯგუფებში, მაგრამ, ასევე შესაძლებელია ინდივიდუალურადაც. თუ მცირე ჯგუფებს გადაწყვეტთ, შეარჩიეთ ჯგუფის წევრები ისე, რომ მოსწავლეებს მუშაობის შანსი მიეცეთ სხვადასხვა თანაკლასელთან. წაახალისეთ მოსწავლეები, გამოიყენონ მრავალფეროვანი ინსტრუმენტები საპრეზენტაციოდ.

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ პრეზენტაციებს.

დაფიქრდებიან ბოლოდროინდელ გამოცდილებებზე. სმენიათ თუ არა კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულ ძალადობის შემთხვევებზე? მათი აზრით, როგორ უნდა უპასუხოს საზოგადოებამ ამ ყოველივეს? საზოგადოებაში ვინ არის პასუხისმგებელი ამ ყოველივეს მოგვარების გზებზე?

საჭიროების შემთხვევაში, გაამარტივეთ ეს კითხვები.

ლოკდაუნში ცხოვრება
დაგვეხმარება ტექნოლოგია მასთან გამკლავებაში?

დღესდღეობით, ჯანმრთელობისთვის სახიფათო მდგომარეობის დროს, მშობლებსა და ბავშვებს უწევთ, მოერგონ სიტუაციას, როდესაც ერთმანეთთან უფრო მეტი დროის გატარება მოეთხოვებათ. ოჯახში სტრესის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე აქამდე იყო. ეს გაკვეთილი განიხილავს გზებს, თუ როგორ არის შესაძლებელი ციფრული ტექნოლოგიის გამოყენება მშობლებისა და ბავშვების დასახმარებლად, რათა ისინი გაუმკლავდნენ დღევანდელი სიტუაციის ზეწოლას და რა როლის თამაში შეუძლია ამაში საზოგადოებას.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ, თუ როგორ სტრესს განიცდიან ოჯახები კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიღებული ზომების შედეგად;
- გააანალიზონ სხვადასხვა ოჯახის სიტუაციები და სტრესის გამომწვევი მიზეზები;
- მოახდინონ იმ გზების იდენტიფიცირება, რომლითაც შესაძლებელია პრობლემებთან გამკლავება ტექნოლოგიების მეშვეობით;
- განივითარონ მოსმენის, დაკვირვებისა და კონფლიქტების მოგვარების უნარები.

სტიმული

ექსპერიმენტი რეფლექსიისთვის:

წარმოიდგინეთ, რომ სიმპსონებს უწევთ ლოკდაუნში ცხოვრებასთან შეგუება კორონავირუსის პანდემიის დროს. ყველა პერსონაჟი ერთად არის სახლში, არ აქვთ სამსახური, სკოლა და განიცდიან კორონავირუსით დაავადების მუდმივ შიშს.

შეარჩიეთ სხვა ცნობილი ოჯახი – რეალური ან წარმოსახვითი – რომელიც გირჩევნიათ.

კარგი იქნებოდა წყვილში ან მცირე ჯგუფში მუშაობა ამ აქტივობისთვის.

დისკუსია

ექსპერიმენტის შემდგომ:

- როგორ ფიქრობთ, როგორი რეაგირება ექნებოდათ სიმპსონებს სახლში იზოლირების დროს? როგორ მოიქცეოდნენ?
- რა იქნებოდა სტრესის გამომწვევი ყველაზე დიდი წყარო?
- რას ფიქრობთ, ამჟამად რეალურ ცხოვრებაში ოჯახების გამოცდილებაზე? როგორ რეაგირებენ? რა სახის სტრესში უწევთ ყოფნა?
- ყველა ოჯახისთვის ერთი და იგივე სახისაა სტრესი? თუ არა, რა ხდის მას უარესს ოჯახებისთვის? მოიფიქრეთ მაგალითები.
- რა შეიძლება გააკეთონ ოჯახებმა სტრესის შესამცირებლად?
- როგორ დაეხმარება ტექნოლოგია მათ ამაში? რა განსხვავებული გზების მოფიქრება შეგიძლიათ?
- არსებობს გზები, რომლებითაც ტექნოლოგიას შეუძლია ოჯახის ცხოვრება უფრო სტრესული გახადოს? რა გზებია ესენი და როგორ შეიძლება მათი თავიდან არიდება?
- შეგიძლიათ გაიხსენოთ სიტუაცია, რომლის დროსაც ოჯახის წევრი საჭიროებს გარე დახმარებას?
- ვის შეიძლება მიმართოთ, როდესაც ოჯახში სტრესი ძალიან იზრდება? როგორ შეიძლება სხვებს გააგებინოთ თქვენი საჭიროებები?

მიეცით მოსწავლეებს საშუალება, იყვნენ ისეთი კრეატიულები, როგორც მათ სურთ. არ მოსთხოვოთ მოსწავლეებს საკუთარი ოჯახის შესახებ საუბარი, თუ არ სურთ.

შესაძლოა, მოსწავლეებს მოსთხოვოთ, დაასახელონ მაგალითები, როგორებიცაა, ერთოთახიან ბინაში ცხოვრება, ან ისეთ ადამიანთან ცხოვრება, რომელსაც ესაჭიროება სპეციალური მოვლა, ან საავადმყოფოში იმყოფება ვირუსის გამო. გამოიყენეთ სოციალური მედია, აპლიკაციები, იმეილი, ვიდეოთამაშები, ვებსაიტები, mp3, ელექტრონული წიგნები და ა.შ.

შესაძლოა, მოსწავლეებს მოსთხოვოთ მაგალითის დასახელება ისეთ თემაზე, როგორიცაა ძალადობა. ასეთ შემთხვევაში, გააცანით ადგილობრივი/ქვეყნის დახმარების ცხელი ხაზი ან შესაბამისი სერვისი, საჯარო თუ სხვა.



დასკვნა

მკაფიოდ აღნიშნეთ, რომ სიმპსონებისგან განსხვავებით, ზოგიერთ ოჯახს რეალური პრობლემები აქვს ლოკდაუნში ცხოვრებისას, მაგალითად, ფსიქიკური დაავადება ან ოჯახში ძალადობა და რომ ბავშვები განსაკუთრებულად დაუცველები არიან.

ახსენით, რომ შესაძლოა სრული პასუხი არ მოიძებნოს, თუმცა ბევრი გზა არსებობს ტექნოლოგიის მეშვეობით პრობლემების გამკლავებისა. ახსენეთ:

- თამაშები და გასართობი საშუალებები, რომლებიც დაეხმარებათ მათ დასამშვიდებლად;
- ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მათ დასვენებაში;
- სოციალური მედია მეგობრებთან დასაკავშირებლად და საურთიერთობოდ;
- რჩევები საკუთარი თავისთვის;
- ყურადღების კონცენტრირებისა და იოგას აპლიკაციები;
- ცხელი ხაზები გადაუდებელი შემთხვევებისთვის და ა.შ.

აქ შეგიძლიათ ახსენოთ ბავშვთა უფლებები, კონკრეტულად, მუხლი მე-19, ბავშვთა დაცვის შესახებ.

სხვა მაგალითების პოვნა შეგიძლიათ ონლაინ: https://www.zdnet.com/article/tech-tips-and-tricks-to-cope-with-coronavirusso-cial-isolation-measures/

დავალება

მოსწავლეები ქმნიან მიმს (meme) ოჯახის ცხოვრების შესახებ ვირუსის დროს. მიმი შესაძლოა იყოს სასაცილო ან სერიოზული, მაგრამ უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ რჩევას, რომელიც დაეხმარება ოჯახებს, გაუმკლავდნენ ზეწოლას მიმდინარე კრიზისის დროს.

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეებისთვის გააკეთეთ ციფრული მიმების სლაიდშოუ.

მოსწავლეები აზიარებენ სხვა პირად რჩევებს, რომლებიც დაეხმარება ოჯახებს ლოკდაუნის პერიოდში.

იპოვეთ შესაბამისი დამხმარე საშუალება, მაგ: Microsoft Photos.

მეთვალყურეობა
ვინ გითვალთვალებს?

ხელისუფლებები მთელ მსოფლიოში ითვისებენ ახალ სამეთვალყურეო საშუალებებს კორონავირუსის პანდემიის გავრცელებასთან საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ხალხისა ემხრობა ტექნოლოგიის გამოყენებას ვირუსით დაავადებულ ადამიანთა მისაკვლევად, მაინც არსებობს წუხილი ამ საშუალებების სხვა, უფრო ნაკლებად ეთიკური მიზნებისთვის გამოყენების გამო. ეს გაკვეთილი ეხება სამეთვალყურეო საშუალებებს, რომლებიც ბოლო დროს გამოვიდა და მიმოიხილავს მათ შედეგებს მოქალაქეებსა და საზოგადოებაზე.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ ბოლოდროინდელ სამეთვალყურეო ტექნოლოგიის გამოყენებაზე, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გავრცელებას უშლის ხელს;
- გააანალიზონ ამ სახის ტექნოლოგიის გავლენა მოქალაქეებსა და საზოგადოებაზე;
- მოახდინონ სამეთვალყურეო ტექნოლოგიის გამოყენების მისაღები და მიუღებელი გზების იდენტიფიცირება;
- განივითარონ მსოფლიო პოლიტიკისა და მედიის შეცნობისა და კრიტიკული გააზრების კომპეტენცია.

სტიმული

1. **სავარჯიშო რეფლექსიისთვის:**

   წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც ხელისუფლებამ სავალდებულო გახადა ყოველი მოქალაქისთვის ბიომეტრიული სამაჯურის ტარება, რომელიც აკონტროლებს სხეულის ტემპერატურასა და გულისცემას 24 საათის განმავლობაში. შეგროვებული ინფორმაცია ხელისუფლებას აცნობებს არა მხოლოდ მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ იგი მათ ემოციებზე დაკვირვების საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, ხელისუფლებას შეეძლებოდა გაერკვია, ვინ როდის იცინის, ტირის ან ბრაზდება. რაღა თქმა უნდა, ეს არ არის დანიშნულება, რისთვისაც სამაჯური შეიქმნა.

2. **ვიდეო:**

   https://www.youtube.com/watch?v=TUFzN7So6GM

ეს იდეა აღებულია იუვალ ნოა ჰარარის სტატიიდან (Yuval Noah Harari): https://www.ft.com/content/19d90308-6858-11ea-a3c9-1fe6fedcca75

მოძებნეთ მსგავსი ვიდეო თქვენს ენაზე, რომელშიც დეტალურადაა ახსნილი სამეთვალყურეო ტექნოლოგიები პანდემიის მიმდინარეობისას. თუ ვერ იპოვეთ, გამოურთეთ ხმა მოცემულ ვიდეოს და თავად აუხსენით მოსწავლეებს, რა ხდება მასში.

დისკუსია

სავარჯიშოს შემდგომ:

- რატომ შეიძლება სურდეთ მოქალაქეებს სამაჯურის ტარება?
- რატომ შეიძლება ხელისუფლებას მისი შემოღება სურდეს?
- რატომ შეიძლება ზოგიერთმა მოქალაქემ ამ ქმედებაში ეჭვი შეიტანოს?
- მართლები იქნებოდნენ ეჭვის შეტანისას? რატომ?
- რას ფიქრობთ ჯამში იდეის შესახებ? კარგი იდეაა? რატომ?

  უკეთესი იქნებოდა სამაჯურის ნებაყოფლობით ტარება? რატომ?

ვიდეოს შემდგომ:

- რა სახის სამეთვალყურეო ტექნოლოგიას იყენებენ დღევანდელი ხელისუფლებები პანდემიასთან საბრძოლველად?
- რა სახის მონიტორინგს ახორციელებენ?
- მონიტორინგი სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი?
- ზოგიერთ ადამიანს ამაში ეჭვი შეაქვს. ფიქრობთ, რომ ისინი მართლები არიან? რატომ?
- რას ფიქრობთ ამ სახის მეთვალყურეობაზე? კარგი იდეაა? რატომ?
- უკეთესია, როდესაც იგი სავალდებულოა თუ როდესაც ნებაყოფლობითია? რას ფიქრობთ? რატომ?

წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მუშაობა იდეალური იქნებოდა ამ აქტივობისთვის, თუმცა არა აუცილებელი.

წაახალისეთ მოსწავლეები, ჩამოაყალიბონ პასუხები ყოველი კითხვისთვის.

შეგიძლიათ, რომ ახსნათ თქვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები ამ მიმართულებით?

კარგი იქნებოდა, გაგეცნოთ კონფიდენციალურობის პატივისცემის უფლება (ECHR, მე-8 მუხლი).

დასკვნა

მოკლედ მიმოიხილეთ სამეთვალყურეო ტექნოლოგიის სხვადასხვა ფორმა, მაგ. CCTV -ის მიერ სახის ამოცნობა, სმარტფონები, დრონები, „Alexa“ და ა.შ.

ახსენით, თუ როგორ შეიძლება სამეთვალყურეო ტექნოლოგიის გამოყენება როგორც მოქალაქეების გასაკონტროლებლად, ისე მათ დასახმარებლად. მოიყვანეთ მაგალითები მიმდინარე თუ ისტორიული მოვლენებიდან, ან გამოგონილი სიტუაციიდან.

ეცადეთ, გამოიყენოთ მაგალითები თქვენი ქვეყნიდან ან რეგიონიდან.

შესაბამისი დროა იმისათვის, რომ ახსნათ განსხვავება დემოკრატიულ საზოგადოებასა და ტოტალიტარულს.

დავალება

მოსწავლეები ქმნიან ინფოგრაფიკას, სადაც ასახავენ, თუ როდის იქნება მათთვის მთავრობის მხრიდან მეთვალყურეობა მისაღები და როდის – დაუშვებელი. ასევე, თავიანთი არჩევანის მიზეზებსა და მაგალითებსაც წარმოადგენენ.

არსებობს რიგი ონლაინ დამხმარე საშუალებებისა, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მოსწავლეებს, მაგ., Canva, Coggle ან Google Jamboard.

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეები აზიარებენ თავიანთ ინფოგრაფიკებს.

მსჯელობენ, თუ კიდევ ვინ იყენებს ტექნოლოგიას ადამიანების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, რა სახის ინფორმაციას იღებენ და რისთვის იყენებენ მას.

ასევე, ახსენეთ დიდი ტექნოლოგიური კომპანიების მიერ მონაცემთა შეგროვებისა და მონეტიზაციის საკითხები.

მომავლის ფორმირება
როგორ შეუძლია ტექნოლოგიას, ჩართულობა გაზარდოს?

პანდემიის პერიოდში, სახლში სამეცადინოდ ტექნოლოგიის გამოყენების გამო, ახალგაზრდები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ სწავლა-განათლებას. ბევრს სურვილი გაუჩნდება ამ ფორმით სწავლის გაგრძელებისა მაშინაც კი, როდესაც პანდემია დასრულდება და სკოლას დაუბრუნდება. ეს გაკვეთილი განიხილავს გზებს, რომელთა მეშვეობითაც ახალგაზრდებს შეეძლებათ, უფრო მეტად ჩაერთონ განათლების მიღების პროცესში, როდესაც სკოლაში დაბრუნდებიან და, ამასთან, თუ როგორ შეუძლია ტექნოლოგიას ამ მხრივ მათი დახმარება.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ სახლში სწავლის გამოცდილებაზე და იმაზე, თუ რომელი ახალი პასუხისმგებლობები დაეკისრათ მათ;
- გააანალიზონ საკუთარი შესაძლებლობები, რომლებიც მისცემთ საშუალებას, უფრო მეტად ჩაერთონ სკოლის იმ გადაწყვეტილებებში, რომლებსაც მათზე ზეგავლენა ექნება;
- მოახდინონ გზების იდენტიფიცირება, რომლებითაც ტექნოლოგია დაეხმარება მათ, საკუთარ სწავლა-განათლებაში უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა;
- განივითარონ დემოკრატიული მგრძნობელობა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი.

სტიმული

სავარჯიშო რეფლექსიისთვის:

მოსწავლეები ფიქრობენ, თუ როგორ ატარებენ სამეცადინო საათებს ახლა, როდესაც სახლში იზოლირებულნი არიან.

ადარებენ ჩვეულებრივ სამეცადინო დღეს პანდემიის პერიოდამდე.

ფიქრობენ, თუ რას აკეთებენ განსხვავებულს, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს, თუ როგორ და როდის უნდა იმეცადინონ.

ცხრილში ან გონების რუკის სახით ინიშნავენ მოსაზრებებს და შემდგომ უზიარებენ თანაკლასელებს.

წყვილებში მუშაობა იდეალური იქნებოდა ამ დავალებისთვის, მაგ., WhatsApp-ის საშუალებით საუბარი. თუმცა სავალდებულო არაა.

ამ სავარჯიშოსთვის არსებობს სხვადასხვა უფასო დამხმარე საშუალება, მაგ., Coggle გონების რუკისთვის (mind-map).

დისკუსია

სავარჯიშოს შემდგომ:

- რას იტყოდით, რა განსხვავებაა სახლში სამეცადინო დღესა და სკოლაში სამეცადინოს შორის?
- ვინ იღებს გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, თუ რას და როგორ სწავლობთ სახლში? ვინ იღებს ამ გადაწყვეტილებებს სკოლაში?
- რაც შეეხება სკოლის დავალებას – ამასთან დაკავშირებით, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს?
- სკოლაში დაბრუნებისას გსურთ, თქვენით მიიღოთ უფრო მეტი გადაწყვეტილება? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რა საკითხებზე შეიძლება ახალგაზრდებს ჰქონდეთ სკოლაში გადაწყვეტილების მიღების უფლება? რა საკითხების გადაწყვეტა შეუძლიათ დამოუკიდებლად?
- როგორ შეუძლია სკოლას გამოიყენოს ტექნოლოგია ახალგაზრდების მეტად ჩართულობისთვის გადაწყვეტილებების მიღებაში?

წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მუშაობა იდეალური იქნებოდა ამ აქტივობისთვის, თუმცა არა სავალდებულო.

ასევე, შეგიძლიათ სცადოთ ონლაინდამხმარე საშუალების გამოყენება, როგორიცაა Padlet-ი.

შესაძლოა, მოგიწიოთ მაგალითების მითითება, მაგ., ხმის მიცემა მოსწავლეთა საბჭოსთვის, ელექტრონული სტუდენტური საინფორმაციო ბიულეტენი, სკოლის ელექტრონული კითხვარი ბულინგთან დაკავშირებით.

დასკვნა

გააცანით ბავშვის უფლებათა კონცეფცია, კონკრეტულად, ბავშვის უფლება, გამოხატოს საკუთარი აზრი იმ საკითხებზე, რომლებსაც მასზე გავლენა აქვს და ამასთან, მის მოსაზრებებს პატივი ეცით.

ზოგჯერ ეს ყოველივე ნიშნავს საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტას, ზოგჯერ კი – გადაწყვეტილების სხვებისთვის გაზიარებას.

დააკავშირეთ ეს უფლება დემოკრატიის იდეასთან. ახსენით, თუ რატომ არის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება დემოკრატიის მთავარი ასპექტი, თუმცაღა იგი სხვა ადამიანებთან უნდა იყოს გაზიარებული.

მუხლი მე-12,
ბავშვის უფლებათა კონვენცია

დავალება

მოსწავლეები ფიქრობენ სკოლებში ტექნოლოგიების გამოყენების ისეთ გზებზე, რომლებიც ახალგაზრდებს დაეხმარება, უფრო მეტად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, როდესაც პანდემია დასრულდება. აკეთებენ ვიზუალურ პრეზენტაციას, რომელიც ახსნის მათ იდეასა და იმას, თუ რატომაა იგი კარგი.

მცირე ჯგუფებში მუშაობა იდეალური იქნებოდა ამ დავალებისთვის, თუმცა არა სავალდებულო.

მოსწავლეებისთვის უფასო ონლაინ დამხმარე საშუალებები იხილეთ:
https://www.codemom.ai/best-online-presentation-tools-for-students/

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეები პრეზენტაციას კლასის წინაშე აკეთებენ. კლასი განიხილავს სხვადასხვა შეთავაზების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს და წყვეტს, რომელია მათ შორის საუკეთესო.

განსაზღვრავენ, გააკეთონ თუ არა ეს პრეზენტაცია სკოლაში დაბრუნებისას.

შესაძლოა, მოისურვოთ თანატოლთა მარტივი ონლაინ შეფასების ნიმუშის შექმნა; ან სთხოვეთ მოსწავლეებს, თავად შეიმუშაონ იგი.

სოლიდარობა
როგორ ამოვიცნოთ ყალბი ამბავი?

ჩვენ ერთმანეთი ყოველდღე გვჭირდება, განსაკუთრებით, ისეთ კრიზისულ პერიოდში, როგორიც დღევანდელი ჯანმრთელობისთვის სახიფათო მდგომარეობაა. კრიზისში დემოკრატიის შენარჩუნებისთვის მოქალაქეებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და გამოხატონ სოლიდარობა. ეს გაკვეთილი განიხილავს, თუ როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს, ხელი შეუწყონ სოციალური ერთობის პროცესს სოციალური დისტანციის მიუხედავად.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ მიმდინარე სიტუაციაზე სხვა ადამიანების გადმოსახედიდან;
- გააანალიზონ დახმარების სხვადასხვა ფორმა;
- მოახდინონ იმ გზების იდენტიფიცირება, რომლითაც შეძლებენ საკუთარი ოჯახებისა და თემების მხარდაჭერას;
- განივითარონ ემპათიის უნარები და მოქალაქეობრივი აზროვნება.

სტიმული

ვიდეო 1: https://youtu.be/okpuFgbjzUQ

ვიდეო 2: https://www.youtube.com/watch?v=uuFYlUjFoD4

შესაძლოა მოძებნოთ მსგავსი ვიდეოები, თქვენი ქვეყნის კონტექსტის ამსახველი.

დისკუსია

ვიდეო 1-ის შემდგომ:

- თქვენი აზრით, რა ტიპის ადამიანებს ესაჭიროებათ დამატებითი მხარდაჭერა კორონავირუსთან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობის დროს? გააკეთეთ სია და ისაუბრეთ მათ საჭიროებებზე.
- რისი გაკეთება შეუძლიათ სხვა ადამიანებს, რათა მათ საჭირო დახმარება მიიღონ? მოიფიქრეთ რამდენიმე პრაქტიკული გზა.
- როგორ შეუძლია ინტერნეტს, დაეხმაროს? რამდენი სხვადასხვა გზის მოფიქრება შეგიძლიათ?
- შეიძლება, რომ ადამიანებმა საკუთარი ჯანმრთელობა საფრთხეში ჩააგდონ სხვების დასახმარებლად? როგორ შეუძლიათ ამის თავიდან არიდება?
- გსმენიათ რაიმე მხარდამჭერი ჯგუფების შესახებ თქვენს საზოგადოებაში? რას აკეთებენ? როგორ იცავენ თავს ვირუსისგან? თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრებს მიგიღიათ მონაწილეობა?

ვიდეო 2-ის შემდგომ:

- რა სახის საქმეების გაკეთება შეუძლიათ თქვენი ასაკის ახალგაზრდებს – ონლაინ და ოფლაინ?
- რაიმე რისკს ან საფრთხეს მოიცავს ეს ყოველივე? როგორ დარწმუნდებით, რომ დაცული ხართ?
- როგორ დარწმუნდებით, რომ სხვების სიცოცხლეს საფრთხეში არ აგდებთ?

გაამარტივეთ კითხვები მოსწავლეებისთვის. თუ დროში ხართ შეზღუდული, გამოტოვეთ რამდენიმე კითხვა. მცირე ჯგუფებში მოსწავლეებმა შესაძლოა დამოუკიდებლად განიხილონ საკითხები, შემდგომ წარადგინონ მოსაზრებები მთელი ჯგუფის წინაშე (მაგ., გონების რუკების გამოყენებით).

დასკვნა

შეაჯამეთ იდეები, თუ როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს საზოგადოების ან ოჯახის დახმარება.

მოკლე ინფორმაცია მასწავლებლისგან. მოდით, ერთად ვეცადოთ, სხვადასხვა გზით მხარი დავუჭიროთ ერთმანეთს. შეგვიძლია ერთმანეთს დავანახოთ, რომ ერთად ვართ – არ აქვს მნიშვნელობა, სად. ახალგაზრდებს, მართლაც, როგორც პირველ ციფრულ თაობას, უდიდესი როლის შესრულება აკისრია. რომელი ახალი კომუნიკაციის აპლიკაციები/პლატფორმები/გზები შეუძლიათ თქვენს ოჯახებსა და საზოგადოებას გამოიყენონ სოციალური ერთიანობის შესანარჩუნებლად და გაჭირვებულების დასახმარებლად?

ხალხმა უნდა იფიქროს როგორც საკუთარ, ასევე სხვების უსაფრთხოებაზე, სხვებისთვის პირისპირ კონტაქტისას მხარდაჭერის შეთავაზების დროს.

შეამოწმეთ უსაფრთხოების შეზღუდვები თქვენი მოსწავლეებისთვის და დარწმუნდით, რომ მათი იდეები და ქმედებები შეესაბამება რეგულაციებს. ხაზი გაუსვით უსაფრთხოების მნიშვნელობას. უგუნურ ქმედებებს შეუძლია მრავალი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს.

დავალება

მოსწავლეები არჩევენ ერთ-ერთ გზას, რითაც მათი ასაკის ადამიანები ინტერნეტის საშუალებით შეძლებენ სხვების დახმარებას. ისინი არჩევენ გზას, რომელიც არ გულისხმობს სახლის დატოვებას. წერენ, წარადგენენ საინტერესოდ, აღწერენ, რას მოიცავს და რატომ შესთავაზებდნენ ყოველივეს საკუთარ თანაკლასელებს საცდელად.

უკეთესია მუშაობა მცირე ჯგუფებში, მაგრამ შესაძლებელია ინდივიდუალურადაც. თუ მცირე ჯგუფებს გადაწყვეტთ, შეარჩიეთ ჯგუფის წევრები ისე, რომ მოსწავლეებს მუშაობის შანსი მიეცეთ სხვადასხვა თანაკლასელთან.

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეები ითვალისწინებენ იდეებს, რომლებიც თანაკლასელებმა შეარჩიეს და აფასებენ მათ პრაქტიკულობას. ფიქრობენ მათ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. წააქეზეთ, თვითონვე გამოცადონ ერთ-ერთი იდეა, მარტო ან მეგობრებთან ერთად.

ყალბი ამბავი
როგორ ამოვიცნოთ ყალბი ამბავი?

სოციალურ მედიაში ბევრი ყალბი ახალი ამბავი ვრცელდება კორონავირუსთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, ცრუ მკურნალობის შესახებ. ხანდახან მოსწავლეები ამ ამბებს გაუაზრებლად აზიარებენ, არ ფიქრობენ, სიმართლეს რამდენად შეესაბამება. ეს გაკვეთილი ეხება ყალბი ამბების გაზიარების შედეგებსა და იმას, თუ როგორ უნდა განვასხვაოთ ყალბი ნამდვილისგან.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ, თუ რა შედეგები მოჰყვება ყალბი ამბების გაზიარებას;
- გააანალიზონ სხვადასხვა ტიპის ყალბი ამბავი;
- ყალბი ამბების შემჩნევის ტექნიკების იდენტიფიცირება;
- განივითარონ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი და ციფრული პასუხისმგებლობის გრძნობა.

სტიმული

მართალი/მცდარი ქვიზი: https://fullfact.org/quiz/coronavirus/

ახალი ამბები: https://bit.ly/34lch8Z

შესაძლოა დაგჭირდეთ მსგავსი ქვიზის მოძებნა ან შექმნა თქვენს ენაზე – თუმცა, ფრთხილად იყავით დღევანდელ ფაქტებთან დაკავშირებით.

არის მსგავსი ახალი ამბები თქვენს ენაზე?

დისკუსია

ქვიზის შემდგომ:

- რა შედეგი მიიღეთ ქვიზში? რომელიმე პასუხმა გაგაკვირვათ? თუ კი, რომელმა? რატომ?
- რატომ ვრცელდება არაზუსტი ამბები კორონავირუსთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში?
- რაიმე ზიანი მოაქვს? რატომ?

ახალი ამბების შემდგომ:

- მსგავსი ცრუ მკურნალობის რატომ სჯერა ხალხს?
- იცით რაიმე სხვა ყალბი ახალი ამბები კორონავირუსთან დაკავშირებით?
- როგორ შეგიძლიათ ახალი ამბების სიყალბის შემოწმება?
- სად შეგიძლიათ მიმართოთ დახმარებას?

თუ მოსწავლეებს არ სჯერათ რაიმეს სიყალბისა, ფრთხილად მიუდექით ამ საკითხს. გააცანით მოსწავლეებს საპატიო ან ოფიციალური ვებსაიტები, მაგ., კორონავირუსთან დაკავშირებით – WHO.

დასკვნა

შეაჯამეთ გაკვეთილის ძირითადი პუნქტები.

შეახსენეთ ახალი ამბების გადამოწმებისა და მათ გაზიარებამდე დაფიქრების მნიშვნელობა.

გაიმეორეთ ყალბი ამბების შემოწმების ძირითადი გზები.

ალტერნატიულად, სთხოვეთ მოსწავლეებს შეჯამება.

დავალება

მოსწავლეები კიდევ უფრო ივითარებენ ყალბი ამბების შემოწმების უნარებს.

ახალი ამბები: https://newsliteracy.ca/fakeout/learning-the-skills/

მცირე ჯგუფებში მოსწავლეები არჩევენ სამ ან ოთხ ახალ ამბავს კორონავირუსთან დაკავშირებით, ამოწმებენ მათ სანდოობას.

თანატოლთათვის ამზადებენ რჩევებს საკითხთან დაკავშირებით და აკეთებენ პრეზენტაციას.

ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი ვიდეოა ხელმისაწვდომი ინტერნეტში. წააქეზეთ მოსწავლეები, გამოიყენონ ციფრული პრეზენტაციის ინოვაციური სახეები, თანატოლთათვის მიმზიდველი.

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეები ანგარიშს ამზადებენ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რომელთა შესახებაც მიიღეს ცოდნა დავალებით.

განმარტავენ, რას ურჩევდნენ თანატოლებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

განიხილავენ, საზოგადოებაში ვინაა პასუხისმგებელი ყალბი ამბების რეგულირებაზე.

ასევე, შესაძლებელია მოსწავლეებისთვის სხვა პოტენციური ყალბი ამბის მიცემა შესამოწმებლად.

ხმის ამოღება
რაც შეეხება ჩვენს შეხედულებებს

მთავრობის მიერ მიღებულმა მკაცრმა ზომებმა კორონავირუსის პანდემიის შესაჩერებლად მრავალი რამ შეზღუდა ახალგაზრდებისა და ოჯახების ცხოვრებაში. თუმცა თავად ახალგაზრდებს ცოტა რამ თუ ეთქმით ამ საკითხზე. ეს გაკვეთილი განიხილავს გამოხატვის თავისუფლებას და იმას, თუ რა მნიშვნელობას ატარებს იგი ციფრულ ხანაში. ხაზს უსვამს მოსწავლეების ჩართულობის საჭიროებას აქტუალურ და საკამათო საკითხებში და დემონსტრირებას ახდენს, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა ვირტუალურ საკლასო ოთახში.

მოსწავლეებს შეეძლებათ:

- დაფიქრდნენ საკუთარ აზრებსა და გრძნობებზე, პანდემიასთან გამკლავებასთან დაკავშირებით;
- გააანალიზონ გამოხატვის თავისუფლება და ის, თუ რას ნიშნავს იგი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის;
- მოახდინონ იმ გზების იდენტიფიცირება, რომლებითაც შესაძლებელია საკუთარი სოციალური და პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა ტექნოლოგიის მეშვეობით;
- განივითარონ კომუნიკაციის უნარები და განსხვავებული რწმენის, მსოფლმხედველობისა და პრაქტიკის მიმართ პატივისცემა.

სტიმული

ვიდეო:

https://www.independent.co.uk/news/uk/home-news/coronavirus-uk-lockdown-boris-johnson-rules-restrictions-stay-home-police-a9420231.html

ან

https://www.theguardian.com/world/2020/mar/25/uk-coronavirus-lockdown-rules-what-you-can-and-can-not-do

მოძებნეთ ვიდეო, რომელიც ახსნის პანდემიასთან დაკავშირებულ წესებს თქვენს ქვეყანაში. ან ახსენით წესები სხვა გზით, მაგ., ქვიზით.

იმდენი დეტალი ახსენით, რამდენსაც მოსწავლეები გაუმკლავდებიან.

დისკუსია

ვიდეოს შემდგომ:

- როგორ იმოქმედეს ამ წესებმა თქვენზე და თქვენს ოჯახზე?
- რას ფიქრობთ მათ შესახებ?

  თქვენი აზრით:
  - რამდენად გასაგებია ისინი?
  - რამდენად მარტივია?
  - რამდენად კარგად მუშაობს?
  - რამდენად სამართლიანია?
- რამდენად მნიშვნელოვანია მთავრობისათვის, მოუსმინოს ახალგაზრდების შეხედულებებს ამ და მსგავს საკითხებზე? რატომ ფიქრობთ ასე?
- უნდა დაელოდონ თუ არა ახალგაზრდები საკუთარი აზრის გამოხატვას, სანამ ვინმე ჰკითხავთ მათ? თუ პირდაპირ უნდა გამოხატონ ის, რასაც ფიქრობენ? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ შეგიძლიათ ტექნოლოგიის გამოყენება, რათა თქვენი მოსაზრებები უფრო ფართო აუდიტორიას მიაწვდინოთ? რა განსხვავებული მეთოდები არსებობს?

სასურველია მცირე ჯგუფებში მუშაობა ამ დავალებისთვის. წააქეზეთ მოსწავლეები, გაამყარონ მოსაზრებები არგუმენტებით. მიეცით მაგალითი, როგორიცაა, ახალი კანონის შესახებ შეთავაზებები, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებს ახალგაზრდებზე.

დასკვნა

განიხილეთ რამდენიმე გზა, რომლითაც ხალხი იყენებს ციფრულ ტექნოლოგიას საკუთარი სოციალური და პოლიტიკური შეხედულებების გამოსახატად, როგორებიცაა: მესიჯები, იმეილები, სოციალური მედია, ონლაინპეტიციები, ოფიციალური ვებსაიტები (სამთავრობო, ომბუდსმენის, ახალგაზრდული პარლამენტის, მედიისა და NGO-ს).

ყურადღება გაამახვილეთ ახალგაზრდების მიერ ხმის ამოღებაზე იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც მათ ეხებათ და მის მნიშვნელობაზე როგორც საზოგადოებისთვის, ისე თვითონ ახალგაზრდებისათვის.

მოიძიეთ სასარგებლო ონლაინკონსპექტი, მაგ: https://medium.com/swlh/how-to-avoid-slacktivism-a-guidefor-digital-activists-81b4d7b12530
ასევე, შეგიძლიათ ახსენოთ ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-12 და მე-13 მუხლები.

დავალება

მოსწავლეები წერენ მინიბლოგს, სადაც გამოხატავენ შეხედულებებს მათ ქვეყანაში კორონავირუსის საგანგებო მდგომარეობის მართვის შესახებ. ამყარებენ მოსაზრებას არგუმენტებით.

სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ სხვები მსგავსი შეხედულებებით და იმუშაონ ჯგუფურად, თუ ამის შესაძლებელობა არის.

მომდევნო ნაბიჯები

მოსწავლეები აზიარებენ თავიანთ მინიბლოგებს, განიხილავენ და ფიქრობენ, უნდა გამოაქვეყნონ თუ არა ისინი ონლაინ.

მსჯელობენ სხვა საკითხებზე, რომელთა შესახებაც ჰგონიათ, რომ ახალგაზრდებს რაიმე ეთქმით, სკოლაში, ადგილობრივად, ქვეყანაში ან საერთაშორისო დონეზე.

მოსწავლეები განიხილავენ, არის თუ არა ამ საკითხებიდან რომელიმე წინააღმდეგობრივი. იკვლევენ ტერმინ „წინააღმდეგობრივს". ეძებენ მაგალითებს წინააღმდეგობრივ/საკამათო საკითხებთან დაკავშირებით და განიხილავენ, თუ რომელია დისკუსიებში საუკეთესო საშუალება მათ მოსაგვარებლად.

მიუთითეთ მოსწავლეებს საიტები ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაძლოა მოისურვოთ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოს ნახვა: https://edoc.coe.int/en/human-rights-democratic-citizenship-and-interculturalism/7738-teaching-controversial-issues.html

მაია ჯალიაშვილი

მედიაგზავნილები და მოსწავლის არჩევანი

შეიძლება დავსვათ კითხვა: თანამედროვე სამყაროში არჩევანის სიმრავლე სიკეთეა თუ უბედურება? ერთიცაა და მეორეც. ეს ხშირად ერთგვარ ტერორს უთანაბრდება, რომელიც სიმართლისა და სიყალბის გარჩევის უნარს აჩლუნგებს და კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნების, ანალიზის, სინთეზისთვის დროს არ ტოვებს, სწრაფი, გაუაზრებელი, მოჩვენებითი გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

კაცობრიობის განვითარების ისტორია მოწმობს, ადამიანი როგორ იძენდა იმ უნარებს, რომლებიც გარემოსთან ურთიერთობისათვის სჭირდებოდა. უძველესი დროიდან ქვისა თუ ხისაგან გამოთლილი იარაღით აღჭურვილი ჰომო საპიენსი არა მხოლოდ თავს იცავდა, არამედ იკვლევდა იმ სივრცეს, რომელშიც სულიერ-მატერიალურად არსებობდა. მისი სიცოცხლე თანდათან უფრო მრავალფეროვნდებოდა და აღმოჩენების გზებით იქსელებოდა. ერთი უმთავრესი და გამორჩეული გზა კი მედიუმების პოვნას გულისხმობდა – იმგვარ ტექნიკას, რომელიც სამყაროს სიღრმისეულ ათვისებასა თუ საკუთარი თავის შეცნობაში დაეხმარებოდა. ცივილიზაციის განვითარების წყალობით, ადამიანს დღეს მძლავრი იარაღი – ელექტრონული მედია აქვს იმისთვის, რომ მოვლენების ცენტრში იყოს და უშორეს პერიფერიებსაც კი მისწვდეს ინტერნეტის საშუალებით. თანამედროვე მულტიმედიური ტექნოლოგიები მოსწავლესაც და მასწავლებელსაც ცოდნის შეძენის გზაზე კომფორტსა და საფრთხეს თანაბრად უქმნის. როგორც კვლევები ადასტურებს, ჭარბი ინფორმაცია არა მხოლოდ გადატვირთავს გონებას, არამედ რეალობის აღქმასაც აზიანებს, ეს კი ცხოვრებისეული პრობლემების წყაროდ შეიძლება იქცეს.

აქამდე თუ გამორჩეულნი იყვნენ ის ისტორიული პიროვნებები (მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონი და სხვანი), რომლებსაც ერთდროულად რამდენიმე საქმის გაკეთება შეეძლოთ, ახლა ეს ჩვეულებრივი ამბავია. მოზარდს შეუძლია იჯდეს გაკვეთილზე, პარალელურად ჩართული იყოს გლობალურ ქსელში, ვიდეოთამაშით გაერთოს, წეროს ტექსტური შეტყობინებები, მოუსმინოს მუსიკას და სხვ. ამიტომაც გაჩნდა ტერმინი „მედიათაობა“, რომელსაც თანამედროვე სამყარო უამრავ არჩევანს სთავაზობს. შესაბამისად, გაჩნდა აუცილებლობაც, რომ მოსწავლე იყოს მედიაწიგნიერი, შეძლოს მასმედიის შემოთავაზებულ მრავალფეროვნებაში ორიენტირება და თავისუფალი არჩევანის გაკეთება.

შეიძლება დავსვათ კითხვა: თანამედროვე სამყაროში არჩევანის სიმრავლე სიკეთეა თუ უბედურება? ერთიცაა და მეორეც. ეს ხშირად ერთგვარ ტერორს უთანაბრდება, რომელიც სიმართლისა და სიყალბის გარჩევის უნარს აჩლუნგებს და კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნების, ანალიზის, სინთეზისთვის დროს არ ტოვებს, სწრაფი, გაუაზრებელი, მოჩვენებითი გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ინფორმაციისა თუ სასწავლო მასალის სიმდიდრე, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური ეპოქის დიდი მონაპოვარია. ამაზე არავინ დავობს. ამავდროულად, ეს მოსწავლისგან ახალ უნარებს მოითხოვს, რომლებიც სწორედ ახლა ყალიბდება. ცხადია, პედაგოგს საქმე ემატება, რადგან ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს ამ აჩქარებულ დროს და არათუ ძველმოდური არ უნდა გამოჩნდეს მოსწავლეთა თვალში, არამედ, მეტაფორულად თუ ვიტყვით, ინფორმაციის ოკეანეში ცურვა უნდა ისწავლოს და მოზღვავებული ნაკადების მორევში არ ჩაინთქას. ჯეიმს პოტერმა ჩვენი კულტურა „მედიაგზავნილების უზარმაზარ სუპერმარკეტს“ შეადარა – რაღაცებს „ვყიდულობთ“, მაგრამ იმაზეც ვფიქრობთ, რასაც „არ ვყიდულობთ“. თუ მის ამ მეტაფორულ აზრს მივყვებით, საკუთარ თავსაც იოლად გავიხსენებთ მსგავს სიტუაციაში, როცა იმასაც ვყიდულობთ, რაც არ დაგვიგეგმავს და არაფერში დაგვჭირდება, მაგრამ საგნებმა

„იძალადეს“, თავი გვაყიდვინეს, ფინანსური რესურსი უაზროდ გაგვაფლანგვინეს.

ასე ხდება მაშინაც, როცა საჭირო ინფორმაციას დავეძებთ და დროს, ენერგიას ძიების გზაზე შემხვედრ უამრავ ინფორმაციაზე ვხარჯავთ, გვიტაცებს სათაურები, ფოტოები, რეკლამები და გვიან ვაცნობიერებთ, საერთოდ, რისთვის შემოვყავით თავი ამ საძიებო სისტემაში. ასე ემართებათ მოსწავლეებსაც, რომლებიც მედიაგზავნილების ქაოსში ინთქმებიან და თავგზა ებნევათ. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, დიდი რაოდენობით ინფორმაცია მეხსიერებას კი არ ავითარებს, არამედ აქვეითებს.

ჯეიმს პოტერი საუბრობს კოდებზე, რომლებსაც ადამიანში არა მხოლოდ გარემო, სკოლა, ოჯახი, მეგობრები, არამედ მედიასაშუალებებიც აპროგრამებენ (წარმოდგენები, შეხედულებები, სტერეოტიპები). ასე რომ, მრავალფეროვანი არჩევანი შეიძლება ხანდახან მოჩვენებითიც იყოს, რადგან ადამიანი თუ არ არის კრიტიკულად, თავისუფლად და შემოქმედებითად მოაზროვნე, მაშინ შეიძლება მხოლოდ „შემოთავაზებულ“ ინფორმაციას დაეწაფოს და სრულიად დაკარგოს არჩევანის გაკეთების სურვილიცა და ძალაც.

იმისათვის, რომ მოსწავლემ თავი დააღწიოს უსარგებლო, უფრო მეტიც, საზიანო ინფორმაციას, საჭიროა, მასწავლებელი დაეხმაროს მას საორიენტაციო რუკისა თუ გზამკვლევის შექმნაში. მოსწავლე უნდა მიეჩვიოს ინფორმაციის გაფილტვრას, რისთვისაც აუცილებელია, მას ჰქონდეს სხვადასხვა მედიაწყაროს შედარების, ანალიზის, შეფასების, დაჯგუფების, ინდუქციის, დედუქციის, სინთეზისა და აბსტრაჰირების უნარები.

ეს ყოველივე კი, რა თქმა უნდა, თანდათან ყალიბდება და ვითარდება. მოსწავლე უნდა მიეჩვიოს, რომ ცხადად წარმოიდგინოს სასწავლო მიზნები, შემდეგ კი შეძლოს შესაბამისი ცოდნის სტრუქტურირება (ე.ი. კონკრეტული საკითხების დამუშავება). ჩვენი აზრით, მოსწავლემ უნდა იფიქროს:

როცა საჭირო ინფორმაციას დავეძებთ და დროს, ენერგიას ძიების გზაზე შემხვედრ უამრავ ინფორმაციაზე ვხარჯავთ, გვიტაცებს სათაურები, ფოტოები, რეკლამები და გვიან ვაცნობიერებთ, საერთოდ, რისთვის შემოვყავით თავი ამ საძიებო სისტემაში. ასე ემართებათ მოსწავლეებსაც, რომლებიც მედიაგზავნილების ქაოსში ინთქმებიან და თავგზა ებნევათ.

1. რატომ არჩევს ამა თუ იმ მედიაგზავნილს?
2. როგორ არის დაკავშირებული ეს მის მიზანთან?
3. როგორ დაეხმარება ეს თემის მრავალმხრივ დამუშავებაში?
4. პრეზენტაციისას როგორ შეძლებს აუდიტორიაზე ზემოქმედებას?

როდესაც მოსწავლეს კონკრეტული საკითხი ძალიან აინტერესებს, მაშინ ის ძიების პროცესს სხვადასხვა მიმართულებით წარმართავს, ეცნობა არაერთ წყაროს, აგროვებს მასალას და, შესაბამისად, შედეგსაც იღებს. სკოლა ცხოვრების ნაწილია, ამიტომაც მოსწავლე ამ სივრცეშიც იძენს გამოცდილებას. გაკვეთილებზე მოსწავლე კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე კონცენტრირებას ეჩვევა, მას ის უნარებიც გამოუმუშავდება, რომლებიც დაეხმარება, რომ ცხოვრებაში იყოს ბედნიერი, ამისთვის კი სწორად შეარჩიოს პროფესია. მედიაწიგნიერება უნდა დაეხმაროს მოსწავლეს, იცხოვროს საკუთარი და არა მედიის მიერ შემოთავაზებული წესებით.

მოსწავლეები მასწავლებელთა გარეშეც აქტიურად ეცნობიან სხვადასხვა მედიაინფორმაციას. საჭიროა, მასწავლებელმა გაკვეთილებზე გამოიყენოს მედიაგზავნილები, მოსწავლეებთან ერთად კრიტიკულად გააანალიზოს და შეაფასოს. ეს მოსწავლეებს დაეხმარება, რომ დამოუკიდებლად უფრო ეფექტურად გამოიყენონ ინტერნეტში ატვირთული აუდიო-ვიდეო თუ ტექსტური მასალა.

მასწავლებელმა უნდა მოიფიქროს ისეთი სავარჯიშოები, რომელთა შესრულებაც დაეფუძნება კონკრეტული მედიაინფორმაციის დეკოდირებას. გთავაზობთ ჩვენ მიერ მოფიქრებულ რამდენიმე აქტივობას.

აქტივობა 1. მასწავლებელმა წინასწარ შეარჩიოს საგაკვეთილო თემის შესაბამისი ვიდეო და მოსწავლეებს აჩვენოს. ნახვის შემდეგ მოსწავლეებმა იმსჯელონ შემდეგ საკითხებზე:

1. თემა როგორ იყო დამუშავებული ვიდეოში (ღრმად თუ ზედაპირულად)?
2. ავტორებმა მხოლოდ ფაქტები წარმოაჩინეს თუ ამ ფაქტთა საკუთარი ინტერპრეტაციებიც?
3. ავტორებმა რა წყაროები გამოიყენეს?
4. როგორ იყო ტექსტური მასალა მოწოდებული?
5. როგორი იყო ფოტომასალა (ავთენტური თუ ინტერნეტით მოძიებული)?
6. როგორი იყო ტექსტის შრიფტი?
7. როგორი იყო დიზაინი?
8. როგორ იყო გამოყენებული ხმა (მუსიკალური ეფექტები)?
9. როგორ იყო ფერები ერთმანეთთან შეხამებული?
10. როგორი კომპოზიცია ჰქონდა ვიდეოს?
11. იყო თუ არა თემა „ამობრუნებული პირამიდის ეფექტით“ მოწოდებული? (ჯერ თემასთან დაკავშირებული მთავარი ინფორმაცია: ვინ? რა? სად? რატომ? როგორ? შემდეგ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დეტალები, შემდეგ ნაკლებმნიშვნელოვანი, მეორე რიგის ინფორმაცია, რომელიც თემას ავსებდა და ამდიდრებდა);
12. რა ემოციური ზემოქმედება მოახდინა მოწოდებულმა მასალამ?
13. რა იყო ახალი და საინტერესო მოცემულ ვიდეოში?
14. მომცა თუ არა ვიდეომ სტიმული თემის უფრო ღრმად გასაცნობად?
15. თემის დამუშავება მომეწონა თუ არა?
16. დაბადა თუ არა ვიდეომასალამ ახალი იდეები?
17. სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას ვიდეო ავსებდა, იმეორებდა თუ განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენდა?

ეს კითხვები დაეხმარება მოსწავლეებს დასაბუთებულ კრიტიკული ანალიზში.

პედაგოგმა მოსწავლეებს შეიძლება დაავალოს ამავე თემაზე ვიდეოს დამოუკიდებლად (ჯგუფურად, ინდივიდუალურად) შექმნა. მუშაობისას მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ ის კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც გამოითქვა და თავიანთ ვიდეოში იგივე შეცდომები არ დაუშვან. კარგი იქნება, თუ ერთსა და იმავე თემაზე შექმნიან ვიდეოებს.

შემფასებელთა ჯგუფს (რომელშიც შევლენ ის მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობას არ მიიღებენ დავალებაში) ექსპერტის ფუნქცია ექნება. მასწავლებლის დახმარებით ისინი მოიფიქრებენ შეფასების კრიტერიუმებს, რათა მაქსიმალურად გამორიცხონ სუბიექტური ნიუანსები და ობიექტურად განსაზღვრონ შესრულებულ დავალებათა ღირსება-ნაკლოვანება. ამის შემდეგ შეიძლება ექსპერტებმა იმ ვიდეოს, რომელიც მაღალ ქულას მიიღებს, სასკოლო (ან საკლასო) ვებგვერდზე, ბლოგსა თუ ფეისბუქგვერდზე ატვირთვის რეკომენდაცია მისცენ.

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ШОРЕНА ТКЕШЕЛАШВИЛИ

სოციალური მედიის დიდთვალება მონსტრები

ჩვენ სოციალური მედიის მომხმარებლები ვართ, რომლებმაც ბევრი არაფერი ვიცოდით მის შესახებ და ზუსტად ვარკვევდით მის თავისებურებებს, ხასიათს, ვსწავლობდით ქცევისა თუ მოხმარების წესებს.

სოციალური მედია სხვადასხვა შინაარსის ზავნილებით გაჯერებული გარემოა, სადაც ყოველდღიურად წამლეკავი რაოდენობის ინფორმაციასთან გვაქვს შეხება (და ეს რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება), ამიტომ უნდა ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ თავი მისგან, როგორ ვასწავლოთ შვილებსა და მოსწავლეებს მისი კრიტიკული წაკითხვა და სასარგებლოდ გამოყენება.

დროის დინებასთან ერთად, ჩვენ თვალწინ და ჩვენივე მონაწილეობით, სოციალური მედია ძლიერ ინსტიტუტად იქცა და ჩვენი ცხოვრება მკვეთრად შეცვალა. შევიცვალეთ ჩვენც, მისი მომხმარებლები, ჩვენი ჩვევებითა თუ ყოველდღიური განაწესით მას დავექვემდებარეთ. ახლა სოციალური მედიის შუქზე აღვიქვამთ საკუთარ თავს, სხვა ადამიანებს, სამყაროს, მომავალს. ჩვენს წარმოდგენებს სამყაროსა თუ ადამიანებზე სოციალური მედია განსაზღვრავს და ერთგვარი ილუზიაც კი ჩნდება, რომ თუ სოციალურ ქსელში არ ვიაქტიურეთ, თავი არ გამოვიჩინეთ და არ დავამახსოვრეთ გარშემო მყოფებს, არ შევქმენით სოციალური მედიისთვის საჭირო „პროდუქტი“, თითქოს არც კი გვიარსებია. რა თქმა უნდა, ჩვენ, მომხმარებლები, ვაძლიერებთ სოციალურ მედიას, ვმატებთ გავლენას და ავტორიტეტს. სოციალურ ქსელებში ჩვენი აქტიურობა განამტკიცებს ამ მოჯადოებული წრის საზღვრებს და სოციალურ მედიაზე ჩვენს დამოკიდებულებას.

ხშირად მიფიქრია, დღითიდღე როგორ რთულდება სოციალური მედიიდან თავის დაღწევა, როგორ ვებმებით ყველა, განურჩევლად ასაკისა და პროფესიისა, მის ქსელში და ვკარგავთ რეალობასთან კავშირს. კიდევ ერთი პრობლემა კი ის ზღვა ინფორმაციაა, რომლის გადამუშავებაც ყოველდღიურად გვიწევს.

ინფორმაციას, რომელსაც სოციალურ მედიასთან ინტერაქციისას ვიღებთ, მრავალი კუთხე აქვს და უნდა ვიცოდეთ, რას ემსახურება სხვადასხვა ამბავი, ვინ გვიგზავნის მას და რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს მის გავრცელებას, რათა ბრმა მომხმარებლებად არ დავრჩეთ. კრიტიკული თვალით წაკითხვა იმ გზავნილებისა, რომლებსაც ამ გარემოში ვხვდებით, ზოგჯერ – მათი უარყოფა, უფრო მეტად კი კრიტიკულ აღქმაზე კონცენტრირება სოციალური მედიის სასარგებლოდ გამოყენებაზე მიანიშნებს.

პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა სოციალური მედიის გავლენა და მასზე კიდევ უფრო დამოკიდებული გაგვხადა. ონლაინსწავლებით, ონლაინშეხვედრებით, ონლაინლექციებით ჩვენ კიდევ უფრო ღრმად გადავეშვით ვირტუალურ რეალობაში და კიდევ უფრო გაგვიჭირდა იმ დროის ჭკვიანურად ორგანიზება, რომელსაც ეკრანებში თავჩარგულები ვატარებთ. ყოველდღიურად ვიღებთ უამრავ ინფორმაციას, უმეტესობა ნეგატიურია, ხშირად მის გასაფილტრავად და ავთენტურობის შესამოწმებლად დრო და ენერგია აღარ გვრჩება, ეს ყველაფერი კი ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

სოციალურ მედიას ძლიერი ბერკეტები აქვს ადამიანზე გავლენის მოსახდენად, მისი ცხოვრების უკეთესობისკენ შესაცვლელად ან, პირიქით, მის დასაქვემდებარებლად. საიდუმლო არ არის, რომ მის ტყვეობაში ვიმყოფებით, როდესაც მოხმარებისას ყურადღებას არ ვაქცევთ დროის მენეჯმენტს, არ ვაწესრიგებთ ჩვენს ყოველდღიურობას ისე, რომ ინფორმაციის წამლეკავ ზღვაში არ გვიწევდეს თავის გადარჩენა. ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი წიგნიერება, უფრო მეტი კრიტიკული აზროვნება, რათა დავუპირისპირდეთ ინფორმაციის ამ ნიაღვარს და ვისწავლოთ, როგორ გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ სოციალური მედია. დღეს მოზარდებისა და ბავშვებისთვის ამის სწავლება უმნიშვნელოვანესია.

ინფორმაციის წამლეკავ ნაკადსა და მედიაარხების აგრესიულ გზავნილებთან ერთად გვიწევს გამკლავება „რაღაცის გამოტოვების“ შიშთან – შიშთან, რომ სხვა ჩვენზე ადრე გაიგებს ახალ ამბავს. „დასწრების“ ეს ვნება არ გვაძლევს საშუალებას, თავალი მოვხუჭოთ, დავმშვიდდეთ და რეალური ცხოვრება არ გამოვტოვოთ.

ერთ დღესაც, როდესაც ყველა მედიაარხის გამოწერა გავაუქმე, ფეისბუქი აპლიკაციების საქაღალდეში შევინახე და დროებით მოვწყდი სოციალური მედიის სამყაროს, მივხვდი, რომ ხანდახან ამის გაკეთება საჭიროა, აუცილებელიც კი.

ვირტუალური გარემო, რომელშიც ჩვენი საქმეების პარალელურად უამრავ დროს ვატარებთ, ვწერთ ჩვენს საქმეებზე, სხვადასხვა საკითხზე აზრს ვუზიარებთ ერთმანეთს, ვკამათობთ და ჩვენი უპირატესობის დემონსტრირებას არ ვერიდებით, უფრო და უფრო აგრესიული ხდება და ემსგავსება იმ დიდთვალება მონსტრს, ბავშვობაში ძილს რომ გვიფრთხობდა. კარგი იქნებოდა, ეს დიდთვალება მონსტრი მოგვეშინაურებინა და მასთან გონივრული თანაცხოვრება გვესწავლა.

ირმა კახურაშვილი

ციფრული დეტოქსი

ჩვენ მუდმივად განახლებადი ინფორმაციის რეჟიმში ვცხოვრობთ. შედეგად, უფრო სწრაფად ვიღლებით, არ გვყოფნის ძილი, ვკარგავთ კონცენტრაციის უნარს. იგივე ემართებათ ბავშვებსაც. მშობლები სულ უფრო ხშირად ჩივიან, რომ ტელეფონის გარეშე ბავშვი თავს დაკარგულად გრძნობს, არ იცის, რა აკეთოს. ამიტომ, ზოგჯერ მთელი ოჯახისთვის სასარგებლოა გაჯეტების გათიშვა, ყურადღების ერთმანეთზე გადატანა.

ბევრ ზრდასრულსა და ბავშვს სჩვევია მუდმივად „ხაზზე“ ყოფნა. ისინი საათში რამდენჯერმე ამოწმებენ ტელეფონს, უწყვეტად იღებენ ახალ ინფორმაციას და ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებასაც კი ახერხებენ. თუმცა, დღის ბოლოს თავს უძლურად, დაქანცულად გრძნობენ.

ციფრული დეტოქსიკაცია ყველა ციფრული მოწყობილობისა და მედიის დროებითი უარყოფაა. ასეთი დეტოქსი გვეხმარება, გავაცნობიეროთ, რამდენად ვართ დამოკიდებული გაჯეტებზე, სოციალურ ქსელებზე, მედიაზე, თამაშებზე. ამის გადაფასება აუცილებელია.

საქმე ისაა, რომ გაჯეტების გარეშე გატარებული რამდენიმე საათიც კი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჩვენს ჯანმრთელობას, ზრდის ყურადღების კონცენტრაციას, ეს კი საშუალებას იძლევა, უფრო ნაყოფიერად ვისწავლოთ ან ვიმუშაოთ. როდესაც ჩვენი ტვინი წყვეტს დიდი რაოდენობით ინფორმაციის მიღებას, მას უჩნდება ახალი ნეირონული კავშირების შექმნის რესურსი.

მსხვილი კორპორაციების ტოპ-მენეჯერებიც, რომელთა ბიზნესი სწორედ ინტერნეტში დაიბადა და, წესით, ყველაზე ნაკლებად უნდა იყვნენ დაინტერესებული, რომ ჩვენ, ინტერნეტის მომხმარებლებმა ცოტა ნაკლები დრო ვატაროთ ოფლაინრეჟიმში, საპირისპიროს გვიქადაგებენ – Apple-ისა და Google-ის ლიდერები სიფრთხილისკენ მოგვიწოდებენ გაჯეტებთან ურთიერთობისას და თვითონაც ცდილობენ, დაიცვან საკუთარი შვილები ინტერნეტის გადაჭარბებული მოხმარებისგან.

ამ ადამიანთა სიაში Google-ისა და Facebook-ის ყოფილი ტექნიკური დირექტორი, ჯასტინ როზენშტაინიცაა. მან Like-ის ღილაკი გამოიგონა. ამ გადასახედიდან ის უკვე კრიტიკულად აფასებს ინტერნეტის ჭარბ გავლენას ჩვენს ცხოვრებაზე და მოგვიწოდებს, მეტი დრო გავატაროთ გაჯეტების გარეშე. მან საკუთარ თავსა და თავის შვილს Facebook-ზე გატარებული დროის ლიმიტი დაუწესა.

Google-ის კიდევ ერთი ყოფილი შემქმნელი, ტრისტან ჰარისი დიდ შეცდომად მიიჩნევს მომხმარებლის კონტენტის ინდივიდუალიზაციას სოციალურ ქსელში რეკლამის მომწოდებელთა სასარგებლოდ. მისი თქმით, მილიარდობით ადამიანმა არც კი იცის, რომ მათ ცხოვრებას კალიფორნიაში ჩაბუდებული ჯგუფი მართავს.

რა თქმა უნდა, ამ შეხედულებას ბევრი საერთო აქვს შეთქმულების თეორიასთან, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ალგორითმების ზეგავლენას ყველა ვგრძნობთ. ვერაფრით გავექცევით ციფრული გარემოს, მაგრამ შეგვიძლია გავაცნობიეროთ, რამდენად ძლიერ გავლენას ახდენს ეს ჩვენს ემოციებზე, მოტივაციაზე, სხვადასხვა ცხოვრებისეულ ასპექტზე.

თუ ცოტა ხნით მაინც გადავდებთ გაჯეტებს, ეს დაგვეხმარება, სამყარო უფრო რეალურ ფერებში დავინახოთ. ფაქტობრივად, ორიოდე საათიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმიდანაც არ ამოვვარდეთ და გადავსხვაფერდეთ კიდეც. ასეთ გადასხვაფერებას დასავლეთში Local Detox-ს, ანუ ადგილობრივ დეტოქსს უწოდებენ. ის ხელმისაწვდომია ნებისმიერი ოჯახისთვის, განსხვავებით ისეთი მასშტაბური ზომებისგან, როგორიცაა სხვა ქვეყანაში მოგზაურობა ან საკუთარი თავის გამოკეტვა შორეულ სოფელში, ინტერნეტისა და ტელეფონის გარეშე.

შესაძლოა, თქვენს ოჯახში ციფრული დამოკიდებულების პრობლემა არც ისე მწვავედ იდგეს და რადიკალური ზომების ნაცვლად საკმარისი იყოს მხოლოდ ქსელთან ურთიერთობის გადახედვა, გაჯეტების მოხმარების წესების შემუშავება. მაგალითად, ადგილებისა (სასადილო ოთახი) და იმ დროის (გაღვიძებიდან ნახევარი საათის შემდეგ ან ძილის წინ ორი საათით ადრე) განსაზღვრა, როდესაც გაჯეტებზე უბრალოდ უარს იტყვით და ამ წესებს მთელ ოჯახს დაუმორჩილებთ.

ესტერ ვოიჯისკს, სამი წარმატებული ქალიშვილის დედასა და წიგნის „The Woj Way. როგორ აღვზარდოთ წარმატებული ადამიანი“ ავტორს, ასეთი წესების დამკვიდრება კარგად გამოუვიდა. მის სახლში ბავშვები სუფრასთან ჯდომის დროს ტელეფონს არ ხმარობენ და თამაშისთვის გამოყოფილ ორ საათს უფრო საინტერესო აქტივობაზე ხარჯავენ, მაგალითად, ვიდეოს გადაღებასა და მონტაჟზე. მნიშვნელოვანია, როდესაც ციფრული ტექნოლოგია აღზრდის ნაწილი ხდება – პასუხისმგებლობის, დამოუკიდებლობის სწავლის, სწორი არჩევანის გაკეთების.

კარგი იქნებოდა, ჩვენში და ჩვენს შვილებშიც ჩამოგვეყალიბებინა ჩვევა – სოციალური ქსელების სქროლვის დროს ყოველთვის გვეკითხა საკუთარი თავისთვის: „რატომ ვკითხულობ/ვუყურებ/ვაკეთებ ამას? ნამდვილად მჭირდება?“. ეს ეხება თამაშებსაც, ახალი ამბების საიტებს, სოცმედიას. გაეუქმეთ უსარგებლო ინფორმაციის გამოწერა. დროდადრო გადახედეთ თქვენი „მეგობრების“ სიას სოციალურ ქსელში, კრიტიკულად მიუდექით „ახალ ამბებს“.

ეცადეთ, სქროლვისგან შეისვენოთ ხოლმე – ეს არა მხოლოდ ამოგასუნთქებთ, არამედ დაგეხმარებათ პრიორიტეტების განსაზღვრაში. ყურადღების დეფიციტის წინააღმდეგ ბრძოლა კი მედიტაციით, გაჯეტების გარეშე ჰაერზე სეირნობითა და სპეციალური ვარჯიშებით შეიძლება.

როცა ნამდვილად გავაცნობიერებთ, რამდენად დიდ და უსარგებლო საინფორმაციო მასალას ვიღებთ დღის განმავლობაში, მისი შემცირების სურვილიც ბუნებრივად გაგვიჩნდება. იმისათვის, რომ ხარისხიანი ინფორმაცია რეკლამისგან, ყალბი და არაფრის მომცემი საინფორმაციო ნარჩენისგან განვასხვაოთ, უნდა ვისწავლოთ ფაქტების გადამოწმება. ეს დაგვეხმარება, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რაც ჩვენთვის მართლაც საინტერესო და გამოსადეგია.

ყველაზე მარტივი რჩევაა, ერთი დღის გატარება გაჯეტების გარეშე, შემდეგ – ორი დღის და შედეგებზე დაკვირვება. ამ შემთხვევაში, აუცილებელია რამდენიმე წესის დაცვა.

დასასრული იხილეთ www.mastsavlebeli.ge-ზე



ნასტასია არაბული

მარტო უხარისხო ციფრული კონტენტის პირისპირ

ცნობილი ამბავია: სიმსუქნე განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში პრობლემაა არა იმიტომ, რომ ადამიანები იმაზე მეტს ჭამენ, ვიდრე განვითარებულ და მდიდარ ქვეყნებში – იმიტომ, რომ რაც უფრო აშკარაა გაჭირვება, მით უფრო მწირია კვების რაციონი და საეჭვო – საკვების ხარისხი. უფრო მარტივადაც შეიძლება ამის თქმა: ის, ვინც ბევრ პურს ჭამს, ხშირად იძულებულია, ასე იკვებოს, რადგან არ აქვს ფული ხორცისთვის, ზღვისა და რძის პროდუქტებისთვის, ქორფა ხილისა და სეზონური ბოსტნეულისთვის.

როცა მოწყენილი ბავშვები მარტო რჩებიან ციფრულ ლაბირინთებში ნავიგატორების გარეშე, მათ იქ ყველაზე ხელმისაწვდომი, „ჯანქფუდის“ მსგავსად დასპონსორებული კონტენტი ან ალგორითმის მიერ შემოთავაზებული „სისულელეები“ ხვდებათ და რაღაც დროის შემდეგ ფიქრობენ, რომ სულ ესაა ინტერნეტი, ესაა გართობა და თავგადასავალი, როცა ვიღაცის თამაშს ან საჩუქრის გახსნას უყურებ. ეს პროცესი ჭაობს ჰგავს – რაც მეტ მდარე კონტენტს მოიხმარ, მით მეტს გთავაზობენ ქსელები და ალგორითმები.

და თუ დრო მაქვს, ამაზე ვილაპარაკოთ – კარგზეც და ცუდზეც.

მშობლობა ჩვეულებრივი სამუშაოა. ბუნებრივი ინსტინქტების გარდა, კონკრეტული ცოდნაც გჭირდება – იმისაც, როგორ დავიცვათ ბავშვები ინტერნეტში მათი ასაკისთვის შეუფერებელი კონტენტისგან, ძალადობისა და ცრუ ინფორმაციებისგან, როგორ ვასწავლოთ ინფორმაციულ ნაკადში მათთვის საჭირო კუნძულების პოვნა და სხვა ადამიანებთან უსაფრთხო კომუნიკაცია. თუ ამ უნარებს არ ვფლობთ, მაშინ ბავშვი ინტერნეტით და გაჯეტით დაახლოებით

მშობლების განათლების დონესა და სოციალურ მედიაში ბავშვების აქტიურობას შორის. თუკი 10 წლის წინ **იკვლევდნენ იმას,** როგორ შეიძლებოდა მშობლების ანგარიშებით სოციალურ მედიაში წინასწარმეტყველება, რა დამოკიდებულება ექნებოდათ ბავშვებს ტექნოლოგიებთან, დღეს მეცნიერები იმაზე წერენ, როგორ უნდა იყოს მშობელი **მედიატორი** ბავშვსა და გაჯეტებს, ციფრულ კონტენტს შორის. უთანასწორობა განათლების საკითხებში თუ ადრე გეოგრაფიულ მახასიათებლებთან, ეკონომიკურ მდგომარეობასა და საცხოვრებელ გარემოსთან კავშირში იზომებოდა, შორს არ არის დრო, როცა მშობლების ციფრული უნარები და ჩართულობა ბავშვის მიერ ტექნოლოგიების გამოყენებაში უთანასწორობის განმაპირობებელ ერთ-ერთ ინდიკატორად შეიძლება იქცეს. უთანასწორობას შესაბამის გაჯეტებსა და ფასიან, უფრო ხარისხიან კონტენტზე წვდომის შესაძლებლობაც გააღრმავებს.

პანდემიამ მხოლოდ დააჩქარა ამ საკითხებზე მსჯელობის საჭიროება, ჩაკეტილობამ გაზარდა ეკრანებთან გატარებული დრო და უფროსების ყოველდღიური ვალდებულებების სია.

თუკი ვინმესთვის ჩემი, როგორც მშობლის, გამოცდილება საინტერესოა, მოკლედ აღვწერ:

ეკრანისგან დასაცავად, ჩვენი მთავარი მეგობრები აუდიოწიგნებია, რომლებსაც ტელეფონთან დაკავშირებული ხმის გამაძლიერებლით უსმენენ ბავშვები სპეციალური აპლიკაციებით, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგადგებათ, თუკი ბავშვს ინგლისურად, გერმანულად ან რომელიმე ისეთ ენაზე შეუძლია მოსმენა და შინაარსის გაგება, რა ენაზეც ხარისხიანი საბავშვო კონტენტი საკმარისად მოიძებნება. აუდიოწიგნები მე ზრდასრულ ასაკში აღმოვაჩინე და მათი მოხმარება ყოველდღიურ პრაქტიკაში სათანადოდ ვერ დავნერგე – კონცენტრაცია მიჭირს. პატარა ასაკში აუდიოწიგნები კონცენტრაციისა და წარმოსახვის სავარჯიშოებიც არის და ენის მასწავლებელიც. თუ მხოლოდ ქართულ ენაზე ისმენს ბავშვი, **ქართული რესურსებიც** შემიძლია გირჩიოთ. შედარებით მწირია, მაგრამ დასაწყისისთვის გამოდგება.

დასასრული იხილეთ www.mastsavlebeli.ge-ზე

პურის ჭარბი მოხმარება და მისგან გამოწვეული წონის და შესაბამისად, ჯანმრთელობის პრობლემები ჰგავს ბავშვების მიერ ადრეული ასაკიდან იუთუბზე, ტიკტოკსა და სხვა პლატფორმებზე მდარე კონტენტის ჭარბ მოხმარებას. აკადემიური კვლევები ზურგს არ უმაგრებს ამ თეორიას, თუმცა მაქვს საფუძვლიანი ეჭვი მოზარდებსა და ოჯახებზე დაკვირვების შედეგად, რომ ბავშვები საეჭვო ხარისხისა და ღირებულების ციფრულ კონტენტს მაშინ მოიხმარენ საათობით, როცა მათთვის უფროსებს არ სცალიათ, როცა უკეთესი გასართობის შეთავაზება ვერ ხერხდება, როცა ეკრანზე უფრო საინტერესო რამეები ხდება, ვიდრე ეზოში, სკოლაში, პარკში, სამეზობლოში თუ მეგობრებთან. თუ არსებობს უკეთესი არჩევანი, არავინ არის ისეთი სულელი, უარესი აირჩიოს.

ეკრანის მოწინააღმდეგედ ვერ გამოვდგები: ინტერნეტისა და გაჯეტების გარეშე ბავშვებს ვერ გავზრდიდი, მაგრამ არც მათი უკონტროლო გამოყენება უნდა მივიჩნიოთ ნორმალურად. სანამ ბავშვები პატარები არიან და სამყაროს ჩვენი დახმარებით შეიცნობენ, მათი მეგზურები და თანამგზავრები უნდა ვიყოთ ციფრულ სამყაროში. როგორც რეალურ ცხოვრებაში ვერ დაიცავ ბავშვს ცუდი ამბების, ბოროტი ადამიანებისა და უსიამოვნო ინციდენტებისგან, ისე ვერ დაიცავ სრულად ინტერნეტში არსებული „სისულელეებისგანაც“. მშობლებმა ბავშვებს რეალურ ცხოვრებაშიც და ინტერნეტშიც ცუდის კარგისგან გარჩევა, საფრთხეების შეფასება და გამოწვევებთან გამკლავება უნდა ვასწავლოთ, ცხოვრებისთვის მოვამზადოთ. როცა ჩემი შვილები ეკრანთან არიან, ვცდილობ, ვიცოდე, რას უყურებენ

იგივეა, რაც მყიფე ფსიქიკის ადამიანი ასანთით ხელში დენთის კასრთან. ბავშვებისთვის ციფრული კონტენტის გააზრებულად და დაგეგმილად მიწოდება და მოხმარება დროსა და ცოდნასთან ერთად, სპეციფიკურ გაჯეტებსაც საჭიროებს, რომლებიც ეკრანთან გატარებულ დროს შეამცირებენ, რაც ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული. მოკლედ, მარტივი ამბავი არ არის. შეერთებულ შტატებში, სადაც დისკუსია დიდი ხნის წინ დაიწყო იმაზე, რა გავლენას **ახდენს** სოციალური ქსელები და ეკრანთან გატარებული დრო მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, მშობლების უმეტესობა **მიიჩნევს,** რომ ბავშვის გაზრდა ახლა გაცილებით რთულია იმის გამო, რომ მოზარდების ცხოვრებაში გაჩნდა ეკრანი და ინტერნეტი, ვიდრე ოცი წლის წინ იყო. მკვლევრები **საუბრობენ** იმაზეც, რომ არსებობს კავშირი

ციფრული სამყაროს ცხრა უნარი

ციცა ბარბაქაძე

კომუნიკაციის უნარი – ტრადიციულ კომუნიკაციურ უნარებს: კითხვას, წერას და მეტყველებას აუცილებელია, დაემატოს **სოციალური ქსელების კომუნიკაციაც.** თანამედროვე სამყაროში თითქმის ყველა ადამიანს აქვს/ჰყავს თავისი ციფრული ორეული, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, იქმნება სიტყვებით, ბლოგებით, ვლოგებით, ვიდეოებით, კომენტარებით და ასე შემდეგ. ყველას უნდა შეეძლოს, სათანადოდ წარადგინოს საკუთარი თავი, საკუთარი იდეები, გამოთქვას მოსაზრებები, შესთავაზოს სხვებს საკუთარი პროდუქტი ან მომსახურება და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ციფრულ სამყაროში თქვენ ხართ რეჟისორები, სცენარისტები, ინჟინრები, ქოფირაითერები... შესაძლოა, პროფესია უკვე გქონდეთ, მაგრამ ციფრულ სამყაროში ინტეგრაციისთვის თქვენ ახალი უნარები გჭირდებათ.

დღეს ალბათ ყველაზე აქტუალური სიტყვაა **#დავიღალე**. როცა გზა არ ჩანს, როცა ჩიხში ვართ, ყველაზე მეტად მაშინ სჭირდება ადამიანს გაზიარება და კომუნიკაცია. და არა მხოლოდ ფსიქოლოგიური განტვირთვისთვის – იმისთვისაც, რომ მეტყველებით მოძებნილი გამოსავალი ნოოსფეროში იმ ძალად იქცეს, რომელიც უღრანიდან გაღწევაში დაგვეხმარება. და რაკი დღეს, პანდემიის პირობებში, ცოცხალი ურთიერთობები შეზღუდულია, სოციალური ქსელებით კომუნიკაცია კიდევ უფრო აქტუალური ხდება. თვითგამოხატვა შეიძლება იყოს: ვერბალური, ვიზუალური, ვიდეო- თუ აუდიო... პანდემია ჩაივლის, მაგრამ ჩვენი ციფრული მე-ს ფორმირება ისევ აქტუალური იქნება! ახალი თაობა ადაპტირებულია სოციალურ ქსელებში და თვითგამოხატვაც უფრო ადვილად გამოსდის, ასე რომ, მშობლებს შეუძლიათ, შვილებს სთხოვონ დახმარება. ერთი სიტყვით, თუ ოდესმე არსებობა აზროვნებით განისაზღვრებოდა, დღეს არსებობ მაშინ, როცა ციფრული ორეული გყავს!

ცოდნის დამოუკიდებლად მიღებისა და სწავლის უნარი – ეს ნიშნავს, რომ თქვენ იღებთ პასუხისმგებლობას, გაარკვიოთ, რა გინდათ, რათა იცოდეთ, სად და როგორ მოიძიოთ ეს ცოდნა. ეს უწყვეტი პროცესია, რადგან ციფრულ რეალობაში, განვითარებული ტექნოლოგიების პირობებში, ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება. დღეს უნივერსიტეტები სავსეა სტუდენტებით. ეროვნული გამოცდების შედეგად ყველა ან თითქმის ყველა აბიტურიენტი სტუდენტი ხდება, მაგრამ მათგან ძალიან ცოტამ იცის, რა უნდა ცხოვრებაში. არც სკოლებისთვის არის პრიორიტეტი, საკუთარ მომავალზე დააფიქროს მოსწავლე – სკოლები უმაღლეს სასწავლებელში „მოსაწყობად“ ამზადებენ ბავშვებს. საბოლოოდ კი ახალგაზრდების უმეტესობა მექანიკურად მოძრაობს სკოლიდან უმაღლესისკენ და იქიდან ორი დიპლომით ტაქსიზე გადაჯდება... ასეთ პირობებში უმნიშვნელოვანესია, ახალგაზრდებს გამოვუმუშაოთ დამოუკიდებლად სწავლის უნარი, რათა მათ შეეძლოთ საკუთარი სურვილების, შესაძლებლობებისა და მიზნების განსაზღვრა. ნუ მივაწვდით მათ მზამზარეულ ფორმულებს, რომლებშიც მხოლოდ ცვლადებს შეცვლიან და ვიღაცის (მშობლის, მეზობლის, მასწავლებლის...) გზას გაიმეორებენ. ყველა ადამიანი უნიკალურია და უფლება აქვს, დამოუკიდებლად ეძებოს და შექმნას საკუთარი თავი, საკუთარი მომავალი.

ეთიკა და პასუხისმგებლობა – ეს აუცილებელია, რათა ციფრულ სამყაროში ნდობა მოიპოვოთ. უამისოდ შეუძლებელია, გახდეთ წარმატებული. თუ თქვენ ქმნით და ავრცელებთ საეჭვო კონტენტს, გადაუმოწმებელ ფაქტებს და მოვლენებს, თქვენი ინფორმაცია არავის დაინტერესებს. დღეს ციფრულ სამყაროში ყველა ადამიანი „გამომცემელია“. ამიტომ მოიპოვეთ ნდობა – ეს არის ის, რასაც ყველა დაეძებს!

გუნდური მუშაობა და მოქნილობა – განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევენ კომპანიები, რომლებიც გუნდურად მუშაობენ. ისინი ფაზლივით აერთიანებენ ყველას ცოდნას და ურთიერთდახმარებით ამ ცოდნას საზიაროდ აქცევენ. შესაბამისად, რაც იცის ერთმა, იცის ყველამ. ასე მიღებული გადაწყვეტილებები კი გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ერთი ადამიანის მიერ დამოუკიდებლად მიღებული. ცოდნისა და გამოცდილების სინერგია წარმატების საფუძველია, ხოლო „გუნდური თამაში“ – უნარი, რომელიც უნდა გამოიმუშაოთ.

აზროვნების უნარები – კრიტიკული, შემოქმედებითი და კრეატიული აზროვნების უნარები მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. ავტომატიზებული და სტანდარტული მოდელები მომსახურების სფეროში უკვე აღარ მუშაობს. საჭიროა პრობლემის შემოქმედებითი გადაწყვეტა, პროდუქტის განსხვავებულად შეთავაზება, მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება.

ინტელექტს + ემოციური ინტელექტი – მშრალი ციფრები და ფაქტები უკვე აღარავის აღელვებს. თუ ინფორმაცია არ იწვევს ემოციას, ის კოსმოსური სანაგვისკენ მიექანება. ამიტომ თანაბრად უნდა განვავითაროთ ჩვენი თავის ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროები, გული და გონება, ინი და იანი, სული და სხეული...

ციფრული/ტექნოლოგიური უნარები – ცოდნისა და ინფორმაციის გადასაცემად ჩვენ ტექნოლოგიებით ვსარგებლობთ, ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან, ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ამ ახალი ტექნოლოგიების „წაკითხვა“ და მართვა, შეგვეძლოს გამოვიყენოთ ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ბაზები, ვირტუალური რეალობა, ბლოკჩეინები და სხვა. ეს ნიშნავს, რომ რაღაც დონეზე ყველას დასჭირდება, ტექნოლოგიებთან კომფორტულად იგრძნოს თავი – ჩათვალოს ისინი მეგობრად და არა მტრად.

ცოდნის მართვა/მედიაწიგნიერება – დღეს ეს ერთ-ერთი ფუნდამენტური უნარია. ცოდნა არა მარტო სწრაფად იცვლება, არამედ სრულიად განსხვავებული წყაროებითაც ვრცელდება, რომელთაგან ყველა სანდო არ არის, ამიტომ ცოდნის მართვა დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. ცოდნის მოპოვებასთან ერთად აუცილებელია მისი შემოწმება, შეფასება, წყაროს დადგენა და შემდეგ გავრცელება. ცოდნის ეფექტური მართვის უნარი ციფრული სამყაროს ანაბანაა!

საკუთარი თავის ბრენდინგი – ციფრულ სამყაროში/სოციალურ ქსელებში თუ თქვენი ციფრული ორეული ჯერ არ შეგიქმნიათ, ჩათვალეთ, რომ არც არსებობთ! რას ნიშნავს საკუთარი თავის ბრენდინგი და რა საჭიროა ის? მარტივად გეტყვით: როდესაც სამსახურის მაძიებელი ხართ და მიდიხართ გასაუბრებაზე, იცით, თქვენთან შეხვედრის შემდეგ რას აკეთებს თქვენი დამსაქმებელი? რა თქმა უნდა, გუგლის საძიებოში თქვენს სახელსა და გვარს წერს, ან თქვენს სოციალურ ქსელს ჩამოსქროლავს. მოგისინჯავთ თავად საკუთარი თავის „დასერჩვა“? თუ არა, მაშინ ახლავე სცადეთ და ნახეთ, პირველ გვერდზე გუგლი რა მასალას ამოყრის თქვენზე. შეხედეთ მას დამსაქმებლის თვალით. როდესაც ვამბობთ, რომ სამყარო ციფრული ხდება, ვგულისხმობთ, რომ ის დიდი დოზით იჭრება ყველა სფეროში – ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებასა თუ პოლიტიკაში. სოციალური ქსელი მხოლოდ გასართობი სივრცე არ არის – ეს არის ადგილი, რომელიც თაიმლაინზე თქვენს ანაბეჭდებს აგროვებს, ეს კი საუკეთესო საშუალებაა, თქვენ შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია მიიღონ. ჰოდა, სანამ გასაუბრებაზე წახვალთ, თვალი გადაავლეთ სოციალურ ქსელს და მოიძიეთ ინფორმაცია საკუთარ თავზე.

საინტერესო იქნება იმ კომენტარების ანალიზიც, რომლებსაც ვიდეოს მნახველები დაწერენ (შეიძლება, ამ თვალსაზრისით, სხვა კლასების ან სხვა სკოლის მოსწავლეთა ჩართვაც).

აქტივობა 2. მასწავლებელმა წინასწარ შეარჩიოს ორი ან სამი მოკლე ვიდეო იმ თემაზე, რომელსაც შეასწავლის (შეიძლება თემის დასრულების ეტაპზეც). ვიდეოებში თემა განსხვავებული თვალთახედვით უნდა იყოს წარმოჩენილი (ე.ი. განსხვავებული თვალსაზრისები უნდა იყოს გამოთქმული).

მოსწავლეებმა ვიდეოები ერთმანეთს უნდა შეადარონ და დასაბუთებულად იმსჯელონ:

1. რომელ ვიდეოში გამოთქმულ თვალსაზრისებს ეთანხმებიან?
2. რომელ ვიდეოში მიაღწიეს ავტორებმა დამაჯერებლობას?
3. ავტორებმა რა სტრატეგიები გამოიყენეს იმისთვის, რომ თავიანთი თვალსაზრისები გამოეხატათ?
4. რომელმა აუდიო-ვიზუალურმა ეფექტებმა მოახდინა გავლენა, რომ მოწოდებული ინფორმაცია უკეთესად გაეაზრებინათ?

რა თქმა უნდა, შეიძლება კითხვების გამრავალფეროვნება და მოდიფიცირება კონკრეტული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. კარგი იქნება, თუ ვიდეოების განსახილველ კითხვათა თუ შეფასებათა კრიტერიუმების შედგენაზე მოსწავლეები დამოუკიდებლად იმუშავებენ, შემდეგ ერთმანეთთან შეაჯერებენ და მასწავლებელს წარუდგენენ (მათ ამგვარი სქემის შედგენის გამოცდილება უკვე ექნებათ).

მოსწავლეები იმსჯელებენ ვიდეოს შესახებ – თუ რას შეცვლიდნენ, დაამატებდნენ, გამოაკლებდნენ. შეიძლება მასწავლებელმა მისცეს დავალება, რომ მოცემული ვიდეოებისგან ახალი შექმნან, გამოიყენონ ის, რაც მოეწონათ და მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. დავალებად შეიძლება მიეცეთ, აგრეთვე, ახალი ვიდეოს შექმნა მოცემულ თემაზე.

აქტივობა 3. მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ გააცნოს შემდეგ გაკვეთილებზე შესასწავლი თემა და დაავალოს შეთავაზებულ თემაზე სხვადასხვა ტიპის მედიაგზავნილის შექმნა; ინფორმაცია მოიძიონ, დაახარისხონ და გადაიღონ ვიდეო ან PowerPoint-ში გააკეთონ პრეზენტაცია (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). ამგვარად, მასწავლებელმა თემის ახსნა, წარმოდგენა მოსწავლეებს უნდა დაავალოს. აქაც წინასწარ უნდა შექმნას ექსპერტთა ჯგუფი (სურვილის მიხედვით), რომელიც წარმოდგენილ მასალას, მაგალითად, შემდეგი პოზიციიდან შეაფასებს:

1. ავტორებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს თუ არა ახალი თემა?
2. რა იყო ახალი მოსწავლეთა შექმნილ მედიაგზავნილში?
3. დაკავშირებული იყო თუ არა აქამდე შესწავლილ მასალასთან?
4. თუ იყო წარმოდგენილი მრავალფეროვანი მასალის მიწოდების გზები?
5. ჩანდა თუ არა ავტორთა სუბიექტური დამოკიდებულება საკითხის მიმართ (თუ ობიექტური, ნეიტრალური პოზიციიდან იყო წარმოდგენილი)?
6. კრიტიკულად იყო თუ არა გადამუშავებული მოძიებული მასალა, თუ, უბრალოდ, კოპირებული იყო ამა თუ იმ საიტიდან?
7. დაცული იყო თუ არა საავტორო უფლებები? ე.ი. მითითებული იყო თუ არა იმ ვებგვერდთა მისამართები, საიდანაც ისარგებლეს ტექსტური, აუდიო თუ ვიდეომასალით?
8. როგორ იყო წარმოდგენილი მასალის სტრუქტურა და კომპოზიცია?
9. შეთავაზებული იყო თუ არა დამატებითი ინფორმაციის მისამართები?

ეს აქტივობები მოსწავლეებს პასუხისმგებლობის გრძნობას გაუმძაფრებს, დამოუკიდებლად შრომას მიაჩვევს, თავდაჯერებულობას შესძენს; რაც მნიშვნელოვანია, განუვითარებს შემდეგ უნარებს (რომლებიც არა მხოლოდ სკოლაში, არამედ ცხოვრებაშიც გამოადგებათ):

1. მასალის მოძიება და კლასიფიკაცია;
2. სათანადო დოკუმენტების შერჩევა;
3. პირველხარისხოვან მონაცემთა გამორჩევა;
4. დამატებითი ფაქტების თავმოყრა;
5. აუდიო-ვიზუალური და ფოტომასალის მოძიება;
6. ავთენტური აუდიო-ვიდეო და ფოტომასალის შექმნა;
7. მნახველზე ზემოქმედების სტრატეგიების შემუშავება.
8. ანალიზის, სინთეზის უნარების განვითარება;
9. ესთეტიკური გემოვნების განვითარება და სხვ.

ამგვარად, მედიასამყაროში მოგზაურობა უბრალო და უაზრო ხეტიალს რომ არ დაემსგავსოს, მოსწავლე მიეჩვევა მიზანმიმართული „მარშრუტების“ შედგენას, გზამკვლევთა შექმნას, რათა საინფორმაციო გზავნილი იყოს კარგი საშუალება, ინსტრუმენტი დასახული სასწავლო მიზნების მისაღწევად, თავისუფალი არჩევანის გასაკეთებლად.

თემურ სუყაშვილი

თვითშეფასების კითხვარი და ინსტრუმენტები მედიასამყაროში ორიენტირებისთვის

მედიაწიგნიერება XXI საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საჭირო უნარია. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები თანხმდებიან, რომ ამ უნარის ჩამოყალიბება უნდა დაიწყოს სააღმზრდელო დაწესებულებებიდან და გაგრძელდეს სკოლასა თუ უნივერსიტეტში. ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად ითვლება ფინეთის შემთხვევა, რომელმაც ამ უნარზე მიზანმიმართული მუშაობით მინიმუმამდე დაიყვანა პროპაგანდისა და დეზინფორმაციისა გავლენა მოსახლეობაში.

პანდემიასთან დაკავშირებული მითები და ანტივაქსერული მოძრაობები ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი მნიშვნელოვანია მედიაწიგნიერების განვითარება ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სიკეთეებზე. დღეს, სამიზნედ შერჩეული ქვეყნისთვის, მარტივი საინფორმაციო ოპერაციებითა და მიზერული დანახარჯებით, გაცილებით დიდი ზიანის მიყენებაა შესაძლებელი, ვიდრე კონვენციური (შეიარაღებული) ომის პირობებში.

ასეთ ვითარებაში სკოლას, როგორც უმნიშვნელოვანეს რგოლს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა დამოკიდებულია სოციალურ ქსელებზე და სხვადასხვა გაჯეტზე. თაობა, რომელსაც ყველაზე მეტი შეხება და წვდომა აქვს ტექნოლოგიებთან, ქვეყნის საინფორმაციო თავდაცვის წინა ხაზზე უნდა იდგეს.

სასკოლო პრაქტიკაში მედიაწიგნიერების ინტეგრირება შესაძლებელია როგორც საგნობრივ ჭრილში, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. საწყის ეტაპზე შეგვიძლია დავიწყოთ ჩვენი მოსწავლეების ჩვევების დადგენით. განვსაზღვროთ, თუ როგორ იქცევიან ისინი ამა თუ იმ სიტუაციაში და შემდგომ განვახორციელოთ საჭირო ინტერვენციები.

როგორ დავადგინოთ ახალგაზრდების ჩვევები სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციასთან მიმართებით?

გთავაზობთ ჩემ მიერ შემუშავებულ კითხვარს, რომელიც გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

სათაურების გააზრება

დებულება	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ჩემი მაგალითი
ყოველთვის ვკითხულობ სტატიის სათაურს.				
სათაურის წაკითხვის შემდეგ ვწყვეტ, წავიკითხო თუ არა მთლიანი სტატია.				
სენსაციური სათაურების უკან საინტერესო ამბები იმალება.				
მხოლოდ სათაურის მიხედვით ვწყვეტ, გავაზიარო თუ არა კონკრეტული ამბავი.				
ვიცი, რომ ხშირად სენსაციური სათაურები ჩემი ყურადღების მიპყრობას ემსახურება.				

ფოტომანიპულაცია

დებულება	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ჩემი მაგალითი
მჯერა სოციალურ ქსელებში გავრცელებული ფოტოების ნამდვილობის.				
ხშირად შემაქვს ეჭვი გავრცელებული ფოტოების ნამდვილობაში.				
შემიძლია გადავამოწმო ფოტოს ნამდვილობა.				
ვიცი კონკრეტული ხელსაწყოები, რომელთა გამოყენებითაც შემიძლია გადავამოწმო, პირველად როდის, ვის მიერ და სად გავრცელდა კონკრეტული ფოტო.				

წყაროს მითითება

დებულება	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ჩემი მაგალითი
საინფორმაციო სააგენტოები და ონლაინ მედია საშუალებები ხშირად აზიარებენ ერთმანეთის ინფორმაციას.				
საინფორმაციო სააგენტოები და ონლაინ მედია საშუალებები სანდოობის გასაზრდელად უთითებენ წყაროს.				
ჩვევად მაქვს, სტატიის ბოლოს მითითებული ორიგინალური წყაროს გახსნა და გადამოწმება.				
ყოფილა შემთხვევა, როდესაც გაზიარებული ინფორმაცია და მითითებული წყარო ყოფილა შეუსაბამო.				
ვიცი, რომ ობიექტური ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია ორიგინალური წყაროს მოძიება.				

ვებგვერდების გადამოწმება

დებულება	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ჩემი მაგალითი
მაქვს სანდო ვებგვერდების სია, რომლებიც არასოდეს შემიმჩნევია ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში.				
შემიძლია გადავამოწმო ვებგვერდის სანდოობა.				
ვიცი და ვიყენებ ვებგვერდების დომენების გადამოწმების კონკრეტულ ხელსაწყოებს.				
აღმომჩენია ფარული ვებგვერდი, რომლის დიზაინიც მაქსიმალურადაა მიახლოებული ორიგინალურ ვერსიასთან.				

თვითშეფასების კითხვარების გაანალიზების შემდეგ აღმოვაჩენთ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ვიწყებთ კონკრეტული ინსტრუმენტების გაცნობას, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს ინფორმაციის გაფილტვრაში, გადამუშავებასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებაში.

ცნობილია სათაურების რამდენიმე ტიპი. ზოგიერთი სენსაციური სათაური წარმოადგენს ე.წ. **სატყუარას** (Clickbait). ასეთი მანიპულაციური სათაურები მკითხველის ყურადღების მიპყრობას „სატყუარა“ ბმულებზე „დაწკაპუნებით“ ცდილობენ. სატყუარა სათაურების მიზანია კონკრეტული ვებგვერდის პოპულარობის ზრდა და ა.შ.

სათაური-ფაბრიკაცია წარმოადგენს პირდაპირ გაყალბებულ ამბავს. მისი მიზანი შეიძლება იყოს ზიანის მიყენება, საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევა, მღელვარების გამოწვევა და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს გამოვუმუშაოთ უნარი, არ მიიღონ გადაწყვეტილება მხოლოდ სათაურებზე დაყრდნობით და აუცილებლად გაეცნონ მთლიან სტატიას.

დეზინფორმაციის, ყალბი ამბებისა და დამაზიანებელი ინფორმაციის გამავრცელებლები სოციალურ ქსელებში მომხმარებლების ყურადღების მისაპყრობად იყენებენ დამუშავებულ ან ძველ, თუმცა კონტექსტთან მისადაგებულ ფოტოებს (ფოტოს ხელახალი გამოყენება). ასევე ხშირად ვაწყდებით სენსაციურ სათაურებს, ინფორმაციას წყაროს გარეშე და არასანდო (ფარულ) ვებგვერდებს.

ასევე ვიცნობთ სათაურების ორ ტიპს: ცრუკავშირი ერთი და ცრუკავშირი ორი. ცრუკავშირი ერთი გულისხმობს ფოტოსთან ისეთი სათაურის მისადაგებას, რომელიც შინაარსობრივად თანხვედრაშია, მაგრამ სულ სხვა კონტექსტშია გადაღებული. ცრუკავშირი ორი კი ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაციის სენსაციური დასათაურებით გავრცელებას გულისხმობს.

ფოტოების გადასამოწმებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ Search Google for image ფუნქცია.



ასევე, ძალიან ეფექტური პლატფორმაა Tineye. საძიებო სისტემაში ფოტოს ატვირთვის შემდეგ დავადგენთ, როდის და ვის მიერ გამოქვეყნდა კონკრეტული ფოტო პირველად, სულ რამდენი

მსგავსი ფოტოა გავრცელებული და ა.შ. ამ ტექნიკის ცოდნა მოსწავლეებს დაეხმარება, გადაამოწმონ კონკრეტული ფოტოები სწრაფად და არ გახდნენ ფოტომანიპულაციის მსხვერპლი.



ვებგვერდები ერთმანეთისგან აზიარებენ ახალ ამბებს. ასეთი ქსელები იყენებენ „პინგ-პონგის“ მეთოდს, რაც მომხმარებლისთვის თავგზის აბნევას ისახავს მიზნად. ისინი წყაროებად მათ პარტნიორ ვებგვერდებს უთითებენ. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებთან ერთად განვიხილოთ წყაროს მართებულად მითითების მაგალითები.

სოციალურ ქსელებში ხშირად ვაწყდებით საეჭვო ვებგვერდებს. შესაძლებელია დომენების გადამოწმების გზით გამოვიტანოთ დასკვნა, რამდენად სანდოა ესა თუ ის პლატფორმა. ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა whois.domaintools. აქ შესაძლებელია დომენის IP მისამართის დადგენა, გვერდის მფლობელზე ინფორმაციის მიღება და მასთან დაკავშირება. ხშირია შემთხვევები, როდესაც აღმოვაჩენთ, რომ კონკრეტული ვებგვერდი „ეგზოტიკურ ქვეყანაშია“ რეგისტრირებული, რაც ალბათობის მაღალი ხარისხით მის არასანდოობაზე მიუთითებს.

სასკოლო პრაქტიკაში მედიაწიგნიერების ინტეგრირება შესაძლებელია როგორც საგნობრივ ჭრილში, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. საწყის ეტაპზე შეგვიძლია დავიწყოთ ჩვენი მოსწავლეების ჩვევების დადგენით. განვსაზღვროთ, თუ როგორ იქცევიან ისინი ამა თუ იმ სიტუაციაში და შემდგომ განვახორციელოთ საჭირო ინტერვენციები.



გამოყენებული წყაროები:

IREX – ისწავლე, რათა ამოიცნო
https://www.mythdetector.ge/ka/page/metodologia

თამთა დოლიძე

„პირველად იყო რატომ“ ანუ რატომ უნდა შევიყვაროთ შეკითხვები

ამასწინათ ელექტრონული ბიბლიოთეკის თვალიერებისას შემთხვევით გადავაწყდი საიმონ სინეკის (ბრიტანელი წარმოშობის ამერიკელი ავტორი და ინსპირაციული სპიკერი) წიგნს „პირველად იყო რატომ“. ბიზნესის მართვისა თუ ფინანსების მოზიდვის თემით არასდროს დავინტერესებულვარ, თუმცა სათაურმა მომხიბლა და წიგნის წაკითხვა გადავწყვიტე. აქვე დავძენ, რომ მიზნობრივი შეკითხვების სწორად ფორმულირება/დასმა მხოლოდ ორგანიზაციული ქცევის პროგროგატივა არაა. იგი მედიაწიგნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევას წარმოადგენს და საგანმანათლებლო სივრცის განუყოფელი ნაწილია.

https://www.ted.com/talks/simon_sinek_how_great_leaders_inspire_action

სინეკის თქმით, წარმატებულ კომპანიებს დანარჩენებისგან კითხვა „რატომ“ განასხვავებს. ამ კონცეფციის განსამარტად იგი ე.წ. ოქროს წრეს წარმოგვიდგენს:



როგორც წესი, ადამიანთა უმრავლესობა იწყებს ფიქრს იმაზე, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს და შესაძლოა, ბირთვში მოთავსებულ მთავარ შეკითხვაზე არც კი დაფიქრდეს. სინეკი კი ყველასაგან გამორჩეულ ორგანიზაციებს უწოდებს იმათ, ვინც ჯერ თავიანთი საქმიანობის მიზანს განსაზღვრავს და შემდეგ იწყებს მოქმედებას, რადგან „ადამიანები არ ყიდულობენ იმას, რასაც თქვენ აკეთებთ. ისინი ყიდულობენ მიზეზს, რატომაც აკეთებთ იმას, რასაც აკეთებთ“.

კიდევ ერთი საკითხი, რაც სინეკას „ოქროს წრის“ კონცეფციის გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ, კონკურენციის თემაა. „აჯობეთ საკუთარ თავს!“ – გვირჩევს ზემოაღნიშნული კონცეფციის ავტორი. საკუთარი წინსვლის დანახვა და შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვა წარმატების ერთგვარ ფორმულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამგვარ დამოკიდებულებას (მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის მიხედვით შეფასება) სწავლა-სწავლების პროცესშიც აქტიურად მივმართავთ, რითაც მოტივაციისა და თვითეფექტურობის გაზრდას მნიშვნელოვნად ვუწყობთ ხელს.

რატომ ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ? ეს კითხვა საკუთარ თავს გამუდმებით უნდა დავუსვათ, რადგან იგი ყველაზე უკეთ შთაგვაგონებს და მოქმედების მოტივაციას გვიქმნის. ალბათ დამეთანხმებით, თითოეული ჩვენგანი დიდი ენთუზიაზმით მუშაობს ისეთ საკითხებზე, რომლებისაც სჯერა და მხარს უჭერს. ბუნებრივია, თუ თავად არ გჯერა იმ მიზნის, რომლისკენაც ისწრაფვი, სხვებს შენი შრომის ნაყოფის უპირატესობაში როგორღა დაარწმუნებ?!

რატომ ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ? ეს კითხვა საკუთარ თავს გამუდმებით უნდა დავუსვათ, რადგან იგი ყველაზე უკეთ შთაგვაგონებს და მოქმედების მოტივაციას გვიქმნის. ალბათ დამეთანხმებით, თითოეული ჩვენგანი დიდი ენთუზიაზმით მუშაობს ისეთ საკითხებზე, რომლებისაც სჯერა და მხარს უჭერს. ბუნებრივია, თუ თავად არ გჯერა იმ მიზნის, რომლისკენაც ისწრაფვი, სხვებს შენი შრომის ნაყოფის უპირატესობაში როგორღა დაარწმუნებ?!

უკვე აღარავინ კამათობს იმაზე, რომ თანამედროვე ცხოვრებაში სწრაფად და ეფექტურად ორიენტირება რთულია, თუ არ ფლობ მედიაწიგნიერების ისეთ ფუნდამენტურ უნარებს, როგორიცაა: საჭირო ინფორმაციის მოძიება, მთავარის მეორეხარისხოვნისაგან გამოყოფა, წყაროების სანდოობის/ვალიდურობის განსაზღვრა.

რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო (მოუცლელობა, რესურსების ნაკლებობა, სიზარმაცე და სხვ.) ვერ განვახორციელებთ. რაღაც დროის შემდეგ კი ვხედავთ მას – საკუთარ იდეას, სხვის მიერ ხორცშესხმულსა და წარმატებულს. ამიტომ უნდა გავაკეთოთ „დღეს“ და არა – „ხვალ“. ეს კი არც თუ ისე ადვილია, რადგან საკუთარი თავისთვის სწორი შეკითხვების დასმის ხელოვნებას ვერა და ვერ დავეუფლეთ.

საზოგადოების დიდი ნაწილი კითხვებს უმეტესად ლოკალური/პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სვამს. ქაოსური და არათანმიმდევრული შეკითხვები ვერ ქმნის ჩვენს თავში ინფორმაციის სრულ ხატს და იძლევა არასრულ მონაცემებს, რომელთა სასურველი მიმართულებით ფორმირება ადამიანის სუბიექტური ბუნების ჩვეული საქმიანობაა. შედეგად ვიღებთ პარალელურ რეალობას, რომელში ცხოვრებაც თავად გვაწყობს და მნიშვნელოვნად ვცდებით აწმყოს, რომლის გაუმჯობესებისთვის ვერაფერს მოვიმოქმედებთ, რადგან, უბრალოდ, „შინ არ ვართ“.

უკვე აღარავინ კამათობს იმაზე, რომ თანამედროვე ცხოვრებაში სწრაფად და ეფექტურად ორიენტირება რთულია, თუ არ ფლობ მედიაწიგნიერების ისეთ ფუნდამენტურ უნარებს, როგორიცაა: საჭირო ინფორმაციის მოძიება, მთავარის მეორეხარისხოვნისაგან გამოყოფა, წყაროების სანდოობის/ვალიდურობის განსაზღვრა და ა.შ. ზემოაღნიშნული უნარების გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სიტუაციის ანალიზის მეთოდი (Case-study). მოდით, განვიხილოთ ერთ-ერთი სიტუაცია:

თქვენ გსურთ საოფისე სივრცის დაქირავება 8-10 ადამიანის მოსათავსებლად. თქვენი თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანია: სიმშვიდე, სუფთა და აუცილებელი კომუნალური მომსახურებით (გათბობა/გაგრილება, წყალი, შუქი, ინტერნეტი...) უზრუნველყოფილი სამუშაო გარემო, მუშაობისთვის საჭირო ინვენტარი (მაგიდები/სკამები, თაროები...), მოწესრიგებული სველი წერტილი, ცალკე სივრცე ლანჩისთვის (ყავის/ჩაის გამზადების და წახემსების შესაძლებლობა), პარკირების ზონა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის შესაძლებლობა.

თქვენი მიზანია, სატელეფონო ზარის დახმარებით შეაგროვოთ საჭირო ინფორმაცია, რათა დრო არ დახარჯოთ ყველა გასაქირავებელი ფართის დათვალიერებაზე და მხოლოდ თქვენი საჭიროების შესაბამისი ვარიანტები მოინახულოთ. რა ტიპის კითხვებს დაუსვამდით გამქირავებლებს?

ზემოაღნიშნული აქტივობის შესასრულებლად ჯგუფური სამუშაო ფორმატის გამოყენებას გირჩევთ. რაც შეეხება წინარე ცოდნის გააქტიურებას, მოსწავლეები უნდა ფლობდნენ გარკვეულ ცოდნას შეკითხვათა ტიპების (ფაქტობრივი, დამაზუსტებელი, შეფასებითი, შემოქმედებითი) შესახებ, კითხვარის შედგენისა და ინტერვიუს წარმართვის უნარებს. დავალების შესრულებამდე შეგვიძლია ერთობლივად ვიმსჯელოთ, თუ რა ტიპის შეკითხვები გამოგვადგება მოცემულ სიტუაციაში და პირველი შეკითხვა ერთად ჩამოვაყალიბოთ. აქვე შემოგთავაზებთ ზემოაღნიშნული „ქეისის“ შესაბამისი კითხვების სავარაუდო ჩამონათვალს:

1. *რამდენი კვადრატული მეტრია თქვენი საოფისე სივრცე?*
2. *გაქვთ თუ არა დამონტაჟებული გათბობა-გაგრილების სისტემა, დენი, წყალი ინტერნეტი?*
3. *აქვს თუ არა თქვენს საოფისე ფართს საკუთარი სველი წერტილი და სამზარეულო?*
4. *თქვენს ქუჩაზე დატვირთული სატრანსპორტო მოძრაობაა? კორპუსში მხოლოდ ოფისებია განლაგებული თუ ოჯახებიც ცხოვრობენ?*
5. *როგორ (რომელი საზოგადოებრივი ტრანსპორტით) შეიძლება მოვიდე თქვენს ოფისამდე? შესაძლებელია თუ არა ოფისთან ახლოს მანქანის დაყენება?*
6. *საოფისე ავეჯით აქირავებთ ფართს, თუ მის გარეშე? თუ – კი, რა ტიპის ავეჯი დამხვდება ოფისში?*

შენიშვნა: პირველ რიგში, უნდა გავიგოთ ქირის რაოდენობა, რათა ჩვენი ბიუჯეტისთვის შეუსაბამო ვარიანტის გაცნობაზე დრო არ დავხარჯოთ.

კითხვარის შედგენის შემდეგ სიტუაციის გათამაშების დრო დგება. მოსწავლეები შესაბამის როლებს მოირგებენ და შეკითხვების რელევანტურობას ინტერვიუს ფორმატში გამოცდიან, მიღებული შედეგების საფუძველზე კი არჩევანს

ყველაზე შესაფერის ვარიანტზე შეაჩერებენ.

სინეკის ოქროს წრეს რომ მივუბრუნდეთ, ბავშვები ყველაზე ხშირად სვამენ კითხვას „რატომ“, მაგალითად: „რატომ უნდა ვისწავლო (მაგ., გამრავლების ტაბულა), რაში მჭირდება, რაში გამომადგება?“ ზრდასრულების (მასწავლებელი, მშობელი) გარკვეულ ნაწილს არ გამოსდის პრობლემის შედეგად ქცევა, ამიტომ მათი პასუხი თავდაცვითი ხასიათისაა: „სავალდებულოა, უნდა ისწავლო და მორჩა!“. აღნიშნული პრობლემის მაგალითს საკუთარი გამოცდილებიდან მოვიყვან:

ახლაც მწარედ მახსოვს, როგორ ვწვალობდით, როცა ამა თუ იმ საგნის ხელმძღვანელი მცირე დროში დიდი მასალის დამუშავებას გვთხოვდა, თუმცა ჩვენთვის ე.წ. სწრაფი კითხვა არავის უსწავლებია. ვიცოდით, რომ სავალდებულო შრომას ვერ ავცდებოდით. ამიტომ ვისხედით, ღამეებს ვათენებდით, ვიზუთხავდით, მიღებულ ინფორმაციას ყოველგვარი დახარისხების გარეშე ვაკონსპექტებდით... მთავარი იყო, „სავალდებულო“ მასალა მეხსიერების საკანში გამოკითხვის ჩატარებამდე გაგვეჩერებინა, შემდეგ კი დაუნანებლად ვთავისუფლდებოდით მისგან.

აქვე გავიხსენებ ჯემალ ქარჩხაძის ერთ-ერთ მოთხრობას ,,კაპიტონ მანაგაძის ბოლო ექსპერიმენტი“, სადაც მოთხრობის მთავარი გმირი სწორედ დინამიკური კითხვის ნიჭით არის დაჯილდოებული. თანამშრომლებს ძალიან უკვირთ, თუ როგორ ახერხებს კაპიტონი წაუკითხავად, მხოლოდ თვალის ერთი შევლებით, წერილის შინაარსის გაგებას, მთავარი აზრის გამოტანას. ჩვენთვის კი უკვე ცნობილია, რომ სწრაფი მკითხველები:

1. კითხულობენ ვერტიკალურად (ზემოდან ქვემოთ) და არა – ჰორიზონტალურად (მარცხნიდან მარჯვნივ ან პირიქით);
2. ტექსტს აღიქვამენ ერთ მთლიანობად, ანუ ამოიკითხავენ სიტყვათა ჯგუფს და არა – ცალკეულ სიტყვებს;
3. იშვიათად ჩერდებიან წაკითხულ მონაკვეთთან მისაბრუნებლად (გაუგებარი სიტყვის თუ მონაკვეთის დაზუსტების მიზნით).

დღეისათვის სწრაფი კითხვის უნარი ღვთით ბოძებულ ნიჭად აღარ მიიჩნევა, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. და მაინც, რატომ უნდა წავიკითხოთ სწრაფად, ანუ რა არის სწრაფი კითხვის მთავარი მიზანი? რა თქმა უნდა, მას კონკრეტული დანიშნულება აქვს. დინამიკური კითხვის ტექნიკა დიდი მოცულობის ინფორმაციის სწრაფად დახარისხებასა და არსებითი საკითხების აღმოჩენაზეა ორიენტირებული.

როგორც ვხედავთ, სწრაფი კითხვისა თუ სწორი კითხვების დასმის უნარები, ინფორმაციის სწორად მოპოვება-დამუშავების გარდა, პირადი ინტერესებისა და შეხედულებების ფორმირებაშიც გვეხმარება, რაც საკუთარი თავის გაცნობისკენ მიმავალ გზაზე წინ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. საკუთარი თავის (მიზნების, ინტერესების, მისწრაფებების) გაცნობა კი იწყება კითხვით „რატომ“, რომლის დასმისაც ნურასდროს შეგეშინდებათ.

მაია ფირჩხიძე

ისტორიული ლორეს საზღვრების კორელაცია და სინამდვილის რეპრეზენტაცია ისტორიის გაკვეთილზე

მოსწავლეებში გამჭოლი კომპეტენციების ფორმირება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. რადგან მედიალანდშაფტი ძლიერ არის შეცვლილი და ინფორმაცია ახალგაზრდამდე ათასობით წყაროდან მოდის, მედიაუნარების, მედიაწიგნიერების კომპეტენციის გარეშე მოსწავლეები ვერ შეძლებენ ინფორმაციის ზღვაში „ნამდვილისა“ და „გამოგონილის“ გარჩევას. ისტორიის საგანი ის სასწავლო დისციპლინაა, რომელიც არა მარტო ხელს უწყობს მოსწავლეებს კომპეტენციების ჩამოყალიბებაში, არამედ ეხმარება მათ ისტორიული მეხსიერების, წარსულის ისტორიული სურათების აღდგენა-დანახვაში, კვლევითი, ღირებულებითი და სხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში.

მოსწავლეები ისტორიის გაკვეთილებზე მუშაობენ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროზე: ისტორიულ დოკუმენტებზე, ვიდეორგოლებზე, ფილმებზე, სურათებზე, პლაკატებზე, რუკებზე, ვიზუალიზაციის საშუალებებზე და ა.შ. მოსწავლემ მათში უნდა იპოვოს მთავარი აზრი, კრიტიკულად შეაფასოს, შეადაროს, გააკეთოს დასკვნები. ტრადიციული ისტორიის გაკვეთილი ამის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენებას მაინც შეაქვს მასში ცვლილება ინფორმაციასთან მუშაობის თვალსაზრისით.

რაში გამოიხატება ეს ცვლილება?

უპირველეს ყოვლისა, ესაა მედიატექსტების სისტემატურად გამოყენება სასწავლო პროცესში. ისტორიის გაკვეთილზე მოთხოვნადი მედიატექსტები საკმაოდ მრავალფეროვანია: სახელმძღვანელოს ილუსტრაციები, საარქივო დოკუმენტები, ფოტოგრაფიები, ფილმები (მხატვრული, დოკუმენტური), რუკები, ვიდეოფილმები, კარიკატურები, პლაკატები და სხვ. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, მივაღწიოთ სინამდვილის სწორად აღქმას, რაც მათ დაეხმარება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში, სათანადო სტრატეგიისა და ქცევის განხორციელებაში. შესაბამისად, მთავარი მედიაწიგნიერებაში დაკავშირებულია ისეთი უნარების განვითარებასთან, როგორიცაა:

- ინფორმაციის წვდომის უნარი;
- ინფორმაციის კრიტიკულად გააზრების უნარი;
- ინფორმაციის შეფასების, მისი მთავარი გზავნილის პოვნის უნარი (მათ შორის ღირებულებითი კუთხითაც);
- ეთიკის ნორმების დაცვა მედიასივრცის გამოყენებისა და მედიაპროდუქტის შექმნის დროსაც.

ზოგადად, თითოეული მედიატექსტი შეიცავს კონკრეტულ გზავნილს – მედიაინფორმაციის მთავარ მესიჯს, რომელიც ხშირად დაშიფრულია მედიატექსტში და მისი პოვნისთვის საჭიროა დეკონსტრუქცია, ანუ მედიატექსტის დეკოდირება. მედიატექსტის (ისტორიული დოკუმენტი, სასწავლო მასალა, ფილმები, რუკები, პლაკატები და სხვ.) დეკოდირება ხდება სპეციალური შეკითხვების საშუალებით. მოსწავლეები განსაზღვრავენ მთავარ იდეას, კრიტიკულად შეაფასებენ, შეადარებენ, გააკეთებენ დასკვნებს, ანუ გამოავლენენ მედიაუნარებს.

შეკითხვები მედიატექსტის გაანალიზებისათვის

აუდიტორია	და	ავტორი	ვინ არის ავტორი? ვინ შექმნა?
		მიზანი	რისთვის შეიქმნა? რა უნდოდა ავტორს? ვისთვისაა ის განკუთვნილი? რატომ ფიქრობთ ასე?
		ვის ეკუთვნის / კუთვნილება	ვინ არის გამომცემელი?
		ზემოქმედება	ვინ შეიძლება დარჩეს ამ გზავნილით მოგებული? ვინ დაზარალდება? სასარგებლოა თუ არა ის ჩემთვის და ჩემნაირი ადამიანებისთვის? რა უნდოდა ავტორს, რომ აქედან დამემახსოვრებინა?

		პასუხი	რისი გაკეთება შემიძლია ამასთან დაკავშირებით?
შეტყობინება	და	შინაარსი	რაზეა ეს ინფორმაცია? რა მაიძულებს, ვიფიქრო ასე? როგორი დასკვნის გაკეთებას ელოდნენ ჩემგან? რა იყო ის მნიშვნელოვანი, რაც დარჩა სათქმელი?
		მეთოდები	ინფორმაციის გადმოცემის რა ტექნიკებია გამოყენებული და რატომ? როგორ შეესაბამება ეს ტექნიკა თემას?
		ინტერპრეტაცია	შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანებმა სხვადასხვაგვარად გაიგონ ეს ინფორმაცია და რატომ? როგორ გავიგე მე ეს ინფორმაცია და ჩემი რეაქციიდან გამომდინარე, რა გავიგე მე ჩემზეც და მოცემულ ინფორმაციაზეც?
რეპრეზენტაციულობა და სინამდვილე		კონტექსტი	როდის მომზადდა ინფორმაცია? როგორ გარემოებაში? სად და როდის გავრცელდა?
		ნდობა	ეს ფაქტია, რაიმე აზრია თუ რაიმეს ინტერპრეტაციაა? რამდენად ახლოსაა სიმართლესთან? რატომ ფიქრობთ ასე? რომელი საინფორმაციო წყაროთი შეიძლება ამის დამტკიცება? შეიძლება თუ არა ვენდოთ ამ ინფორმაციას?

ვიზუალური მასალის დეკოდირების სქემა:

1. რას ხედავთ ?
2. რა მოვლენა/ამბავია აღწერილი?
3. რის მიხედვით, რის საფუძველზე ფიქრობთ ასე?
4. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ მოცემულ მოვლენაზე?
5. გაგიჩნდათ თუ არა დამატებითი შეკითხვები?
6. რომელი მომენტები გეჩვენებათ ურთიერთსაწინააღმდეგოდ?
7. როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი სათქმელი?
8. ჩამოაყალიბეთ შეკითხვები მასალასთან დაკავშირებით.

ფილმის / ფილმის ფრაგმენტის დეკოდირების სქემა:

- რა არის ფრაგმენტის მთავარი თემა? დაასათაურეთ ფრაგმენტი;
- სად ხდება მოქმედება? აღწერეთ სცენა, პერსონაჟები. დაასახელეთ ისინი და შეაფასეთ მონათხრობი სანდოობის თვალსაზრისით;
- შეაფასეთ, ფრაგმენტის შექმნისას გამოყენებულია თუ არა მონტაჟი, კომპილაცია?
- როგორ შესაბამისობაშია ფრაგმენტი ისტორიულ სინამდვილესთან?
- „მჯერა-არ მჯერა“;
- რას აცხადებს პერსონაჟი – „ამბობს თუ არა იმას, რასაც მე ვფიქრობდი, თუ მალავს სიმართლეს?“

მოვიყვანოთ მაგალითი:

გაკვეთილის სათაური – „ისტორიული წყაროები და ლორეს პოლიტიკური საზღვრების კორელაცია“

კლასი – XII

საგანი – ისტორია (ორი საგაკვეთილო საათი)

სასწავლო მიზნები – მოსწავლემ შეძლოს, გააანალიზოს ისტორიული წყაროები, მონიშნოს ისტორიული ლორეს საზღვრები, თვალი გაადევნოს ლორეს საზღვრების კორელაციას, იმსჯელოს ისტორიული საზღვრების ცვლილებებზე, რუკებისა და ვიდეოფილმების გაანალიზების შემდეგ შეადაროს და დააკავშიროს ტექსტებში მოცემული ინფორმაცია ვიდეოფილმებსა და რუკებზე ასახულ ინფორმაციასთან, გააკეთოს დასკვნა ლორეს საზღვრების ტრანსფორმაციისა და საქართველოს სამხრეთის საზღვრის პრობლემების შესახებ; დაინახოს, რომ თანამედროვე საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემები (პოლიტიკური, სოციალური და სხვ.) მეტწილად განპირობებულია საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში მომხდარი ცვლილებებით (ისტ. XII.4.).

მედიაწიგნიერების მიზნები – მედიარესურსების კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

ლექსიკონი: ნარატივი – წერილობითი წყარო.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი: ნარატივი - ისტორია, XII კლ., შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2012.; მასწავლებლის მიერ მიერ წყაროების გამოყენებით შედგენილი ტექსტები (ტექსტი 1,2,3); ცხრილი – „ლორეს საზღვრების კორელაცია“ (ცხრილი 1,2,3,4).

საქართველოს რუკები / Georgian Maps
(ბმული მოცემულ დროზე : 0:4:00
https://www.youtube.com/watch?v=mtRJV-KguOU

ვიდეოფილმები – „სომხეთ-საქართველოს ომი“ (ბმული მოცემულ დროზე: https://www.youtube.com/watch?v=BYxkwrhL0Gs 0:50 -2:07)

„ჩვენი ფონდი – ლორე-ტაშირში არსებულ ტაძართა ქართულობა“ (ბმული მოცემულ დროზე: https://www.youtube.com/watch?v=35RaWZI9DWM 0-1:22).

რუკები:

რუკა 1. საქართველო ძვ.წ. II-I საუკუნეებში;
რუკა 2. საქართველო II-X საუკუნეებში
რუკა 3. საქართველოს XII-XVIII საუკუნეებში
https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-1/
რუკა 4. საქართველო XV საუკუნეში
https://burusi.wordpress.com/2009/07/12/maps-of-georgia/www-nukri-org_hist2_georgia_xv/
რუკა 5. საქართველო 1762 წელს
https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Georgia_in_1762.svg
რუკა 6. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორია რუსეთთან შეერთების მომენტში (კონკრეტული პერიოდი 1801-1813წწ.). „რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო“ – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2792.pdf
რუკა 7. ტიფლისის გუბერნიის რუკა (1899 წლის მდგომარეობით; ე.წ. 5 ვერსიანი რუკა) დაბეჭდილია 1915წ.;
რუკა 8. „საქართველოს რუკა“. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი, ფრანგული, წარდგენილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წელი.
https://ivane.ge/wp-content/uploads/pdf/almanakhi.pdf
რუკა 9. ტიფლისის გუბერნია. 1920 წ.
რუკა 10. საქართველო მოსკოვის ხელშეკრულების მდგომარეობით 07.V. 1920
http://damoukidebloba.ge/c/news/1920_7_maisi_moskovis_khelshekruleba
რუკა 10. საქართველოს რესპუბლიკის რუკა. შედგენილი ივ. ჯავახიშვილის მიერ. 1922 წ. ნოემბერი
რუკა 11. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რუკა. XI. შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტის მიერ 1930 წ.

გაკვეთილის აღწერილობა:

აქტივობა N1 – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს კითხვებით (მოსწავლეები გამოცდილებიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე გასცემენ პასუხებს):

კითხვები	სავარაუდო პასუხები
საისტორიო წყაროების რომელ ჯგუფებს ვიცნობთ?	ნარატიულ, ნივთიერ და ე.წ. აბსტრაქტულ წყაროებს.
როგორ უნდა დაგვეხმაროს ისტორიული წყაროები პრობლემების გადაწყვეტაში?	ისტორიული წყაროების შესწავლა და ფაქტებისა და მოვლენების ნამდვილობის დადგენა გვეხმარება პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიებაში.
კიდევ რა ტიპის მასალები შეიძლება დავიხმაროთ ისტორიული პრობლემატიკის განხილვისას?	სპეციალური ისტორიული ხასიათის ლიტერატურა.
როგორ უნდა დაგვეხმაროს ისტორიული წყაროები პოლიტიკური ხასიათის პრობლემების გარკვევაში?	ისტორიული წყაროების „სწორი წაკითხვით“ შესაძლებელია პოლიტიკური ხასიათის პრობლემების გაანალიზება, არსებული ცვლილებების მიზეზების დანახვა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

აქტივობა N2 – მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ნარატიულ ისტორიულ წყაროებზე (ტექსტი 1 – „ნარატიული ისტორიული წყაროები“) და სთხოვს, უპასუხონ შეკითხვებს:

მასწავლებელი: „ისტორიული წყაროებიდან უმნიშვნელოვანესია ნარატიული ხასიათის წყაროები (როგორიცაა ქრონიკები, დოკუმენტები, სამეცნიერო და ლიტერატურული ხასიათის ნაწარმოებები, პუბლიცისტური ნარკვევები, საგაზეთო სტატიები, დღიურები და ა.შ.). მათი გამოყენება წარსულის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია. ისინი გვეხმარება წყაროს „ნამდვილობის“ განსაზღვრაში და ისტორიული „სიმართლის დადგენაში“.

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს:

კითხვა	სავარაუდო პასუხი
როგორ შეიძლება დაგვეხმაროს ნარატიული წყაროები საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაში? რა გავლენას ახდენს პოლიტიკური პრობლემებით გამოწვეული ცვლილებები სახელმწიფოს საზღვრების კორელაციაზე?	წყაროებს, ანალიზის საფუძველზე, რეალურად შეუძლია დახმარება გაგვიწიოს „ნამდვილის“ და „გამოგონილის“ დადგენაში, სასაზღვრო-ტერიტორიული ცვლილებების საკითხების შესწავლაში, ამ ცვლილებების მიზეზების გამოკვლევაში და დასკვნების გაკეთებაში.

კითხვა	სავარაუდო პასუხი
ნარატიული სახის დოკუმენტების გარდა, ტერიტორიული პრობლემების შესწავლაში კიდევ რა ტიპის წყაროები შეიძლება გამოვიყენოთ?	ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მონაცემები, მხარის არქეტიპონიმიკა, რუკები და, ზოგადად, მრავალფეროვანი საისტორიო წყაროები.

აქტივობა N3 – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, გაეცნონ ისტორიული შინაარსის შემცველ ტექსტებს (წყაროების გამოყენებით შედგენილ ნარატივებს) ისტორიული ლორეს შესახებ (ტექსტი 1, ტექსტი 2 და ტექსტი 3, ტექსტი 4), გააანალიზონ ინფორმაცია და შეავსონ ცხრილი „ისტორიული ლორეს საზღვრების კორელაცია“:

ტექსტი 1: „თბილისი-ერევნის გზის (თბილისი-სადახლო-ერევანი-ვანაძორი-ერევანი და თბილისი-ტაშირი-ვანაძორი-ერევანი) უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია ლორე, სომხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, რომელსაც ტაშირსაც უწოდებდნენ. რეგიონი ცნობილია თავისი სამონასტრო კომპლექსებით მდ. დებედას ხეობაში, მდინარე ძორაგეტის ულამაზესი კანიონით და ტაშირის დაბლობით. ისტორიულად ეს მხარე სხვადასხვა სომხური სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ტაშირი უძველეს ხანაში მიტაცებული იყო ფარნავაზიანთა დინასტიის მიერ და სამშვილდის საერისთავოში შედიოდა. შემდეგ, ძვ.წ. II ს-ში, არტაშესიანებმა დაიბრუნეს და ტაშირის ადმინისტრაციული ერთეული ცალკე შექმნეს. ახ.წ. I საუკუნეში ტაშირზე გავლენა აღიდგინა იბერიის სამეფომ, მაგრამ იმავე საუკუნის ბოლოს უკვე არშაკიდების შემადგენლობაშია. 387 წელს, სომხეთის სამეფოც დაცემის შემდეგ, ტაშირი კვლავ იბერიის (ქართლის) მფლობელობაშია. V საუკუნეში მხარის გამგებლებს „გუგარქის ბდეშხებს“ უწოდებდნენ. ძირითადად სომხურ ტერიტორიად მიიჩნეოდა ტაშირი IX -XI საუკუნეებში. X საუკუნეში, ამიერკავკასიის ხალხების არაბთა ბატონობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში შეიქმნა ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, მეფე დავით I-მა აქ ლორეს ციხეც ააგო. შემდეგში ბაგრატ IV-მ შეძლო მისი დაბრუნება საქართველოს სამეფოს ფარგლებში. განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში ლორე-ტაშირი კვლავ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში რჩებოდა, მოგვიანებით კი ამ მხარეს უცხოელი დამპყრობლები დაეუფლნენ. 1435 წელს ლორეს მხარე საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ის დაქვემდებარებაშია. შემდეგში - სეფიანი შაჰების მფლობელობაში. 1762 წელს ლორეს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II განაგებს, ხოლო 1801 წელს, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ლორე-ტაშირი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა და ჯერ საქართველოს გუბერნიის, ხოლო შემდეგ-ტიფლისის გუბერნიის ნაწილს წარმოადგენდა. 1918 წლის ზაფხულში ლორეს სამხრეთი საზღვარი საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთის საზღვარი გახდა. საქართველოსთან საომარი ოპერაციების შემდეგ საზღვარი 1918 წლის დეკემბერში გადაიწია ჩრდილოეთით და ლორე ახლად წარმოქმნილი სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა“.

გამოყენებული ლიტერატურა: Область Лори., http://travelgeorgia.ru/377/ Корюн. Житие Маштоца / Пер. с древнеармянского Ш. В. Смбатяна и К. А. Мелик-Огаджаняна. – Ер.: Айпетрат, 1962. с. 147. Toumanoff C. Studies in Christian Caucasian history – Georgetown University Press, 1963. *Hewsen R. H.* The Geography of Ananias of Širak: Ašxarhacʻoycʻ, the Long and the Short Recensions. – Reichert, 1992. Minorsky V. Studies in Caucasian History. – Cambridge University Press, 1953. ob: Материал из Википедии – свободной энциклопедии – „ Исторические области Армении“ https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9B%D0%BE%D1%80%D0%B8_(%D0%B8%D1%81%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B8%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%80%D0%B5%D0%B3%D0%B8%D0%BE%D0%BD)#CITEREFHewsen1992

ტექსტი 2: „აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი რეგიონი – ქვემო ქართლი, ისტორიული გოგარენესა და ტაშირის მხარე, იგივე ლორეს პროვინციაა. XX საუკუნეში ძველი ქართული მხარის სამხრეთი საზღვარი გუგუთი-აღქერფი-სადახლოს სამხრეთის ხაზზე მოექცა, ადრე კი იგი გაცილებით უფრო სამხრეთით, ბამბაკის ქედზე იდო.

არქეოლოგიური გათხრები და უძველესი ავტორების (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, ჰეკატეოს მილეტელი, პტოლემე და სხვ.) გვიდასტურებენ, რომ ძვ.წ. V ს-ში მაინც ეს დასახელებული ტერიტორიები თითქმის მთლიანად შედიოდა იბერებისა და მოსხების ადრესახელმწიფოებრივ წარმონაქმნების შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ მათ საფუძველზე ფორმირებულ იბერიის სამეფოში (ძვ. წ. IV და III საუკუნეების მიჯნაზე), შესაბამისად, ის დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა ამ ძველქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. სერიოზული პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ძვ.წ. II-I საუკუნეებში ძველქართულმა სახელმწიფოებმა დიდი ტერიტორიული დანაკარგი განიცადეს და სტრაბონის მიხედვითაც, თანამედროვე სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო, მათ შორის ჩვენთვის ლორე-ტაშირის მხარე, თითქმის სამასი წლით გადავიდა სომხეთის ან უფრო დიდი სახელმწიფოების (რომი, პართია) ხელში, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში აკონტროლებდნენ სომხეთს ან მის ნაწილებს.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო ზოლს ლორე წარმოადგენდა. აღნიშნული ვითარება დროდადრო ტერიტორიულ დავასაც იწვევდა. პირველად ის საქართველოს სამხრეთ საზღვარზე ძვ.წ.აღ-ის II საუკუნეში დაიწყო, როცა რომის ძლიერმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა სომხეთს, რაც სომხეთმა გამოიყენა და მეზობელი ქვეყნის მიწა-წყალი მის ტერიტორიაში აღმოჩნდა (სტრაბონი., და პლინიუსი). ქართული მიწები ფარსმან I-მა დაიბრუნა. კიდევ უფრო გაძლიერდა იბერია II საუკუნეში ფარსმან II ქველის დროს, რომელმაც შავ ზღვაზეც მოიპოვა გასასვლელი, რაც უტყუარად იმის მანიშნებელია, რომ საქართველომ საზღვრები ისეც აღიდგინა. 428 წელს სომხეთში მეფობა გააუქმეს ირანელებმა, შემდეგ არაბები მოვიდნენ და სამ-

ხრეთ კავკასიაში სერიოზული პრობლემები შექმნეს. მოგვიანებით, ამ მხარეში გაიზარდა სომხური ეკლესიის გავლენაც. IX საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ტაშირ-ძორაკერტის სომხური სამეფოს შემადგენლობაში შევიდა და სამშვილდეში სომეხი მეფე დაჯდა. 1065 წელს ბაგრატ IV-მ სომეხი მეფე იქიდან გააძევა და სამშვილდე საქართველოს შემოუერთა, სამაგიეროდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩა ლორე, რომელსაც თურქ-სელჩუკები დაეპატრონნენ და მერე დავით აღმაშენებელმა გამოიხსნა იგი. ლორე საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში რჩებოდა თამარის ეპოქაშიც. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ლორე მთელ ტაშირს ეწოდა (აღსანიშნავია, რომ ძველი სომხური წყაროები ტაშირს „ვრაც დატშ“ ანუ „იბერთა ველსაც“ – უწოდებენ). ასე გრძელდებოდა გვიან შუა საუკუნეებშიც. XIII-XIV საუკუნეებში ეს რეგიონი, მონღოლთა და თურქმენული ტომების შემოსევის მიუხედავად, საქართველოს სამეფოს ფარგლებში რჩებოდა. XV საუკუნეში, ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შედეგად, ის ქართლისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებში შედიოდა. ასე გრძელდებოდა ეს გვიან შუასაუკუნეებშიც. XX საუკუნის დამდეგსაც, რუსეთის იმპერიული ხელისუფლების პირობებშიც, ადმინისტრაციულად ეს მხარე ქართულ ტერიტორიულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა, ტაშირის ოლქს მოიცავდა შემდგომი დროის ბორჩალოს მაზრაც (თრიალეთის გარეშე) (ამჟამინდელი წალკის მუნიციპალიტეტი).

ზემოთ დასახელებული ფაქტების საფუძველზე, რომელიც კარგად იყო ცნობილი როგორც პოლიტიკური ლიდერებისათვის, ისე განათლებული ქართველების უმრავლესობისათვის, საქართველოს ხელმძღვანელობა ბორჩალოს მაზრას საქართველოს განუყოფელ და უდავო ნაწილად მიიჩნევდა (ეს არგუმენტი ეჭვს არ იწვევს ყველაზე კომპეტენტურ მკვლევრებს, კერძოდ, პროფესორი რიჩარდ ოვანისიანს შორისაც [Hovannisian R.G. The Republic of Armenia, vol. I. Los Angeles, 1982, pp. 72], რის გამოც არ ეთანხმებოდა ლორეს მხარის მიკუთვნებულობას სომხეთის სახელმწიფოსათვის 1921 წელს“.

გამოყენებული ლიტერატურა: ჯანაშვილი მ. საინგილო, თბ., 1910; Акты собранные Кавказскую археографическую комиссиею... Тифлис, 1866; Бутков Н. Г. Материалы для новой историй Кавказа с 1722 по 1803 год. СПБ, 1869; Аверянов А. П. Этнографическій и военно-политическій обзоръ азіатскихъ владеній Оттоманской империи; Адонц Н. Г. Армения в эпоху Юстиниана, Спб, 1908; Картина Грузии или Описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное, пребывающим при его высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе, в 1786 г.. – Тифлис: К.Н. Бегичев, 1896 (Тип. И.А. Мартиросянца); Маевский В. Т. Кутаиская губерния. Военно-политическое описание, Тифлис, 1896. с. 54; Такаишвили Е. Археологические экскурсий, Тифлис, 1905. Филипов В. Н. Военный обзор Тифлисской Губернии, СПБ, 1872. Шахатунян А. Адмистративный передел Закавказского края. Тифлис, 1918; ივანე ჯავახიშვილი, მოხსენება თანამედროვე მომენტზე. 1919 წლის 27-28 აპრილი, საგაზეთო ანგარიში, მ. მაცაბერიძის წინასიტყვით. თბ., 2014 წ.; ალმანახი „ჯავახიანი“. N1. სარედაქციო კოლეგია: დავით სართანია (მთავარი რედაქტორი), ავთანდილ უჯმაჯურიძე, გია ჩხიკვიშვილი. ივანე ჯავახიშვილის ცენტრი. თბილისი, 2017.–1–264 გვ (იხ. აქ ინფორმაცია: ვახუშტის და ბურნაშოვის მიერ შედგენილი რუკებზე (1732 წლის დასავლეთ საქრთველოს და 1743 წლის საქართველოს რუკები). ს.დ. ბურნაშევი (1743-1824) გახლდათ გენერალ-მაიორი, მწერალი, 1783-1787 წლებში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენილი მეფე ერეკლე II -ისა და სოლომონ I -ის კარზე. სამხედრო-დიპლომატიური საკითხების გარდა, დაკავებული იყო ამიერკავკასიის ისტორიისა და გეოგრაფიის დაწვრილებითი აღწერით სამეცნიერო, დიპლომატიური და სადაზვერვო-სამხედრო მიზნებისათვის. მისი დაკვირვების შედეგები მოცემულია წიგნში «Картина Грузии, или Описание политического состояния царства Карталинскогои Кахетинского». მანვე შეადგინა 1784 წლით დათარიღებული რუკა, რომლის საფუძვლად აღებულია ვახუშტის ატლასის, სახელდობრ, მესამე, რუსულენოვანი ატლასის ამიერკავკასიის გენერალური რუკა). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ.,1983. – გვ. 296; „გაზეთი ასავალ-დასავალი“. რა წაგვართვა სომხეთმა? 13:15 24.06.2015 https://reportiori.ge/old/news_print.php?id=70051&lang=1 ალექსანდრე აბდალაძე. საქართველო და სომხეთი. https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/abdaladze-4/; ГОРОД ДМАНИСИ. ლინკი მოცემულ დროზე: https://kavkazplus.com/news.php?id=551#.YZFCEWBByUk

ტექსტი 3 – „1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად ისტორიული ლორეს ტერიტორია ჯერ საქართველოს, შემდეგ – საქართველო-იმერეთის და მოგვიანებით – ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში გააერთიანეს. 1802 წელს, ქართლ-კახეთის მაზრებად დაყოფის საფუძველზე, ლორის მაზრაში შედიოდა ქვემო ქართლის, შამშადილოს, ყაზახას, ბორჩალოსა და ბამბაკის ტერიტორიები; 1804 წელს ლორეს მაზრას ეწოდა თბილისის მაზრა. 1918 წელს საქართველოსა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ისტორიული ლორე საქართველოს შემადგენლობაშია, როგორც თბილისის გუბერნიის ნაწილი.

დავა საქართველოსა და სომხეთს შორის, ზემოთ ხსენებული მაზრების დაუფლების თაობაზე, 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომით დასრულდა. ომი დასრულდა ბორჩალოს მაზრაში ლორეს ნეიტრალური ზონის შექმნით, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში იდგებოდა ქართული არმია, ხოლო სამხრეთ ნაწილში – სომხეთის. მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ცდილობდა საქართველოსთან შეერთებას და ამ ხელშეკრულებას უკანონოდ მიიჩნევდა.

1920 წელს საქართველომ, სომხეთის გასაბჭოების გამო, ორთვენახევრით შეძლო ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე თავისი დე-იურე და დე-ფაქტო იურისდიქციის აღდგენა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებული ტერიტორიული საკითხის სირთულეს კარგად ხედავდნენ ბოლშევიკები. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის მოსკოვის ხელშეკრულების IV მუხლი ადასტურებდა საქართველოს უფლებას ბორჩალოს მაზრაზე, მათ შორის ნეიტრალურ ზონაზე და მის სამხრეთ ნაწილზე, რომელიც თბილისის ხელშეკრულებით სომხეთის მხარეს დარჩა, საკითხი სხვაგვარად გადაწყდა – 1921 წელს ცეკა-მ 1921 წლის 2 მაისს შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა მოემზადებინა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხი. 1921 წლის 7 ივლისს კავბიურომ დაადგინა, რომ ე. წ. ნეიტრალური ზონა – ლო-

რეს ოლქი – გადაეცეს სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. 1921 წლის 16 ივლისს და 1921 წლის 3 აგვისტოს აღნიშნული საკითხს შესახებ კავკბიურომ კვლავ სომხეთის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება და, მართალია, ახალქალაქისა და ხრამის რაიონები დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ, სამაგიეროდ, ლორეს ოლქი ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე (რისი მოთხოვნილებაც არსებობდა იქაური მოსახლეობის მხრიდან) სომხეთის სსრ-ს გადაეცა და ასე გრძელდება დღემდე".

გამოყენებული ლიტერატურა: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ.,1983. – გვ. 296; ივანე ჯავახიშვილი, მოხსენება თანამედროვე მომენტზე. 1919 წლის 27-28 აპრილი, საგაზეთო ანგარიში, მ. მაცაბერიძის წინასიტყვით. თბ., 2014 წ.; ალმანახი „ჯავახიანი". N1. სარედაქციო კოლეგია: დავით სართანია (მთავარი რედაქტორი), ავთანდილ უჯმაჯურიძე, გია ჩხიკვიშვილი. ივანე ჯავახიშვილის ცენტრი. თბილისი, 2017. – 1 – 264 გვ. „გაზეთი ასავალ-დასავალი". რა წაგვართვა სომხეთმა? 13:15 24.06.2015 https://reportiori.ge/old/news_print.php?id=70051&lang=1 ალექსანდრე აბდალაძე. საქართველო და სომხეთი. https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/abdaladze-4/ Ризван Гусейнов. Поэтапный план отторжения Арменией земель соседей: Лори – как очередная цель. https://1news.az/news/20200806103449636-Poetapnyi-plan-ottorzheniya-Armeniei-zemel-sosedei-Lori-kak-ocherednaya-tsel

ტექსტი 4: „აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი საზღვარი, ისტორიულად, ლორე-ტაშირის სამხრეთის საზღვარს ემთხვეოდა. ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში და ისტორიულ გამოკვლევებში („მატიანე ქართლისაი", ლეონტი მროველის, ვახუშტის, დავითის ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, სტეფანე მტბევარის, ანტონ კათალიკოსის, პაპუნა ორბელიანის, სტრაბონის, პლინიუსის, მათე ურჰაეცის, ასოღიკის, ვარდანის, ნ. ბუტკოვის, მ. საბინინის, ვ. მაევსკის, მ. ივანენკოს, ვ. ფილიპოვის, პ. კოვალენსკის, ავერიანოვის თხზულებათა და არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული აქტების ცნობები და სხვ. ასევე მ. ჯანაშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. ადონცის, მ. ბროსეს, დუბროვინის გამოკვლევები) შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი რეგიონის, ისტორიული ლორე-ტაშირის სხვადასხვა სახელწოდება, რომელთაგან ზოგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნებაა, ზოგი ეთნიკურ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თუ სხვა („ქვედა სოფელი", „ქვემო ქვეყანა", „ბოგარენე-გუგარეკი", „ქართლი", „ქვემო ქართლი", „სომხითი", „გარდაბნისა და გაჩიანის საერისთავონი", „ტაშირ-ძორაგეტის სამეფო", „გაგისა და ლორეს სანაპირო საერისთავოები", „სომხით-საბარათიანო", „მეწინავე სადროშო" და სხვ.) და შეიცავენ მითითებას, ამ მხარის უშუალო კავშირზე, დანარჩენ საქართველოსთან. მხოლოდ გარკვეულ პერიოდში, ადრეულ ხანაში, ქართველური ტომის, გუგარების, ასიმილირების შედეგად, ამ მხარეში დომინირებას იწყებს სომხური ელემენტი.

ისტორიულად, როგორც ქართველები, ისე სომხები ცხოვრობდნენ ლორე-ტაშირის (ლორე რუსეთის იმპერიისდროინდელი ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილია) ტერიტორიაზე, რაზეც მეტყველებს არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები. კერძოდ, ლორეს არქიტექტურული მემკვიდრეობა მიგვანიშნებს როგორც ქართული, ისე სომხური კულტურის არსებობაზე. ეს არის უპირველეს ყოვლისა სომხური მონასტრები: ოძუნი, სანაჰინი და ახპატი, აგრეთვე ქართული ეკლესიები ახტალასა და აქორში (ყველა შუა საუკუნეების პერიოდისაა). ამავდროულად ყოფილი მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ლორესაგან განსხვავებით, კულტურის ძეგლების ხასიათში უფრო ჭარბობს ქართული ელემენტი (მაგალითად, ბოლნისის სიონი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია, შემორჩენილი ქართული ეკლესიებიდან, V საუკუნის ავთენტური ეპიგრაფიკული წარწერებით). ფაქტობრივად ოთხი ასწლეულის უწყვეტმა ომებმა, რაც წინ უსწრებდა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს შთანთქმას, გამოიწვია ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრისპირეთის ეთნიკური სურათის შეცვლა, ბორჩალოს, შამშადინისა და ბამბაკის ჩათვლით. რუსეთთან შეერთების შემდეგ იმპერიის ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობდა მხარის დეპოპულაციის ნაწილობრივ კომპენსაციას და აქ თავის არსებობის განმტკიცებას, ამ მიწაზე ასახლებდა ლტოლვილ ქრისტიანებს თურქეთიდან (სომხებს და შედარებით ნაკლებად, ბერძნებს), აგრეთვე კოლონისტებს რუსეთიდან და გერმანიიდან, რამაც კიდევ უფრო ააჭრელა ბორჩალოს მაზრის ეთნიკური პალიტრა). ამ მხარის ეთნიკური სურათი ძალიან შეიცვალა რუსეთის ხელშეწყობით, როდესაც აქ დიდი რაოდენობით სომხები ჩამოსახლდნენ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში. ამ დროისათვის, 1918 წლის მონაცემებით, ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე ძირითადად ცხოვრობდნენ უმრავლესად რუსები (მართლმადიდებლები და სექტანტები), ქართველი მართლმადიდებლები, სომეხი-გრიგორიანელები, აზიელები (მუსლიმი შიიტები და მუსლიმი სუნიტები), ებრაელები, კავკასიელი მთიელები და სხვ. 1921 წელს მხარე სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა (ქართველი, სომეხი და რუსი ბოლშევიკების ხელშეწყობით), რაზეც დიდი გავლენა სომხური ეთნიკური ელემენტის სიმრავლემ და ზოგადად ქართული საზოგადოებასათვის არასახარბიელო პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა".

გამოყენებული წყაროები: ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, ტფ., 1904; ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა. იხ. მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვერბა". თბ., 1906; ორბელიანი პ. ამბავნი ქართლისანი, ტფ., 1913; ძველი საქართველო, ტ. II, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913; ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ., 1919; ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, 1914 წ. ტ. II; ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I და II; ტფილისი, 1913-1914. 8. ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V-XVIII სს., ტფილისი, 1916; ჯანაშვილი მ. საინგილო, თბ., 1910; ალმანახი „ჯავახიანი". N1. სარედაქციო კოლეგია: დავით სართანია (მთავარი რედაქტორი), ავთანდილ უჯმაჯურიძე, გია ჩხიკვიშვილი. ივანე ჯავახიშვილის ცენტრი. თბილისი, 2017.–133 – 136 გვ. Акты собранные Кавказскую археографическую комиссиею... Тифлис, 1866; Бутков Н. Г. Материалы для новой историй Кавказа с 1722 по 1803 год. СПБ, 1869; Аверянов А. П. Этнографическій и военно-политическій обзоръ азіатскихъ владеній Оттоманской империи; Адонц Н. Г. Армения в эпоху Юстиниана, Спб, 1908; Картина Грузии или Описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное, пребывающим при его высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе, в 1786 г.. – Тифлис: К.Н. Бегичев, 1896 (Тип. И.А. Мартиросянца); Дубровин Н. История войны и владичество Русских на Кавказе, СПБ, III; Иваненко В. Н. Гражданское управление Закавказьем. Тифлис, 1901; Маевский В. Т. Кутаиская

губерния. Военно-политическое описание, Тифлис, 1896. с. 54; Такаишвили Е. Археологические экскурсий, Тифлис, 1905; Филипов В. Н. Военный обзор Тифлисской Губернии, СПБ, 1872; Шахатунян А. Адмистративный передел Закавказского края. Тифлис, 1918. d

მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას და ავსებენ ცხრილს ისტორიული ლორეს სახელმწიფოებრივი მიკუთვნებულობის და საზღვრების კორელაციის შესახებ (ცხრილი 1).

ცხრილი 1

რას გვიყვებიან წყაროები ლორეს საზღვრების ტრანსფორმაციისა და ამ ტრანსფორმაციის მიზეზების შესახებ?	**სავარაუდო პასუხი**
ტექსტი 1: „თბილისი-ერევნის გზის (თბილისი-სადახლო-ერევანი-ვანაძორი-ერევანი და თბილისი-ტაშირი-ვანაძორი-ერევანი) უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია ლორე, სომხეთის ისტორიული-გეოგრაფიული რეგიონი, რომელსაც ტაშირსაც უწოდებდნენ. რეგიონი ცნობილია თავისი სამონასტრო კომპლექსებით მდ. დებედას ხეობაში, მდინარე ძორაგეტის ულამაზესი კანიონით და ტაშირის დაბლობით. ისტორიულად ეს მხარე სხვადასხვა სომხური სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. XI საუკუნეში აქ ტაშირ-ძორაგეტის სამეფო შეიქმნა და მისმა დამაარსებელმა მეფე დავით I-მა ლორეს ციხეც ააგო. ტაშირი უძველეს ხანაში მიტაცებული იყო ფარნავაზიანთა დინასტიის მიერ და სამშვილდის საერისთავოში შედიოდა. შემდეგ, ძვ.წ. II ს-ში, არტაშესიანებმა დაიბრუნეს და ტაშირის ადმინისტრაციული ერთეული ცალკე შექმნეს. ახ.წ. I საუკუნეში ტაშირზე გავლენა აღიდგინა იბერიის სამეფომ, მაგრამ იმავე საუკუნის ბოლოს უკვე არშაკიდების შემადგენლობაშია. 387 წელს, სომხეთის სამეფოც დაცემის შემდეგ, ტაშირი კვლავ იბერიის (ქართლის) მფლობელობაშია. V საუკუნეში მხარის გამგებლებს „გუგარქის ბდეშხებს“ უწოდებდნენ. ძირითადად სომხურ ტერიტორიად მიიჩნეოდა ტაშირი IX -XI საუკუნეებში, თუმცა ბაგრატ IV -მ შეძლო მისი დაბრუნება საქართველოს სამეფოს ფარგლებში. განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში ლორე-ტაშირი კვლავ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში რჩებოდა, მოგვიანებით კი ამ მხარეს უცხოელი დამპყრობლები დაეუფლნენ. 1435 წელს ლორეს მხარე საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ის დაქვემდებარებაშია. შემდეგში – სეფიანი შაჰების მფლობელობაში. 1762 წელს ლორეს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II განაგებს, ხოლო 1801 წელს, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდ,გ ლორე-ტაშირი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა და ჯერ საქართველოს გუბერნიის, ხოლო შემდეგ-ტიფლისის გუბერნიის ნაწილს წარმოადგენდა. 1918 წლის ზაფხულში ლორეს სამხრეთი საზღვარი საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთის საზღვარი გახდა. საქართველოსთან საომარი ოპერაციების შემდეგ საზღვარი 1918 წლის დეკემბერში გადაიწია ჩრდილოეთით და ლორე ახლად წარმოქმნილი სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა“.	ლორე-ისტორიული სომხეთის ნაწილია, ამის მიუხედავად ის ათასწლეულის განმავლობაში მეზობელი ქართული ტერიტორიული ერთეულების თუ უცხოელი დამპყრობლების მხრიდან ექსპანსიას განიცდიდა და გადიოდა სომხური სამფლობელოების საზღვრებიდან, რითაც ირღვეოდა ისტორიულად არსებული სამართლიანობა.
ტექსტი 2: „ლორეს პროვინცია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ რეგიონის – ქვემო ქართლის – ისტორიული გოგარენესა და ტაშირის მხარეა. საუკუნეების განმავლობაში ის საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო ზოლს წარმოადგენდა. XX საუკუნეში ძველი ქართული მხარის სამხრეთი საზღვარი გუგუთი-აღქერფი-სადახლოს სამხრეთის ხაზზე მოექცა, ადრე კი იგი გაცილებით უფრო სამხრეთით, ბამბაკის ქედზე იდო. აღნიშნული ვითარება დროდადრო ტერიტორიულ დავასაც იწვევდა, პირველად ის საქართველოს სამხრეთ საზღვარზე ძვ.წ.აღ-ის II საუკუნეში დაიწყო, როცა რომის ძლიერმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა სომხეთს, რაც სომხეთმა გამოიყენა და მეზობელი ქვეყნის მიწა-წყალი მის ტერიტორიაში აღმოჩნდა (სტრაბონი და პლინიუსი). ქართული მიწები ფარსმან I-მა დაიბრუნა. კიდევ უფრო გაძლიერდა იბერია II საუკუნეში ფარსმან II ქველის დროს, რომელმაც შავ ზღვაზეც მოიპოვა გასასვლელი, რაც უტყუარად იმის მანიშნებელია, რომ საქართველომ საზღვრები ისეც აღიდგინა. 428 წელს სომხეთში მეფობა გააუქმეს ირანელებმა, შემდეგ არაბები მოვიდნენ და სამხრეთ კავკასიაში სერიოზული პრობლემები შექმნეს. მოგვიანებით ამ მხარეში გაიზარდა სომხური ეკლესიის გავლენაც. IX საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ტაშირ-ძორაკერტის სომხური სამეფოს შემადგენლობაში შევიდა და სამშვილდეში, იმდროინდელი მხარის ცენტრში, სომეხი მეფე დაჯდა. 1065 წელს ბაგრატ IV-მ სომეხი მეფე იქიდან გააძევა და სამშვილდე საქართველოს შემოუერთა, სამაგიეროდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩა ლორე, რომელსაც თურქ-სელჩუკები დაეპატრონენ და მერე დავით აღმაშენებელმა გამოიხსნა იგი. ლორე საქართველოს სამეფოს	ლორე ქართული ტერიტორიების ნაწილია, რომლის საზღვრებიც კორელაციას განიცდის საუკუნეების მანძილზე ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე (რომაული, სპარსული და სხვა დამპყრობთა პოლიტიკური ზეწოლის გამო). მისი საზღვრები ხან გადის ქართული სახელმწიფოს ტერიტორიიდან, ხან – კვლავ ბრუნდება. XX საუკუნის დამდეგსაც, რუსეთის იმპერიული ხელისუფლების პირობებშიც, ადმინისტრაციულად ეს მხარე ქართულ ტერიტორიულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა.

რას გვიყვებიან წყაროები ლორეს საზღვრების ტრანსფორმაციისა და ამ ტრანსფორმაციის მიზეზების შესახებ?	სავარაუდო პასუხი
შემადგენლობაში რჩებოდა თამარის ეპოქაშიც. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ლორე მთელ ტაშირს ეწოდა (აღსანიშნავია, რომ ძველი სომხური წყაროები ტაშირს „ვრაც დატშ“ ანუ „იბერთა ველსაც“ უწოდებენ). ასე გრძელდებოდა გვიან შუა საუკუნეებშიც. XIII-XIV საუკუნეებში ეს რეგიონი, მონღოლთა და თურქმენული ტომების შემოსევის მიუხედავად, საქართველოს სამეფოს ფარგლებში რჩებოდა. XV საუკუნეში, ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შედეგად, ის ქართლისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებში შედიოდა. ასე გრძელდებოდა ეს გვიან შუასაუკუნეებშიც. XX საუკუნის დამდეგსაც, რუსეთის იმპერიული ხელისუფლების პირობებშიც, ადმინისტრაციულად ეს მხარე ქართულ ტერიტორიულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა“.	
ტექსტი 3 – „1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად ისტორიული ლორეს ტერიტორია ჯერ საქართველოს, შემდეგ – საქართველო-იმერეთის და მოგვიანებით – ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში გააერთიანეს. 1802 წელს, ქართლ-კახეთის მაზრებად დაყოფის საფუძველზე, ლორის მაზრაში შედიოდა ქვემო ქართლის, შამშადილოს, ყაზახას, ბორჩალოსა და ბამბაკის ტერიტორიები; 1804 წელს ლორის მაზრას ეწოდა თბილისის მაზრა. 1918 წელს საქართველოსა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ისტორიული ლორე საქართველოს შემადგენლობაშია, როგორც თბილისის გუბერნიის ნაწილი. 1918 წელს საქართველო-სომხეთის შექმნილი დაძაბულობა ლორეს ტერიტორიის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებით დასრულდა. მის ჩრდილოეთ ნაწილში იდგებოდა ქართული არმია, ხოლო სამხრეთ ნაწილში – სომხეთის. მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ცდილობდა საქართველოსთან შეერთებას და ამ ხელშეკრულებას უკანონოდ მიიჩნევდა. 1920 წელს საქართველომ, სომხეთის გასაბჭოების გამო, ორთვენახევრით შეძლო ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე თავისი დე-იურე და დე-ფაქტო იურისდიქციის აღდგენა, თუმცა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებული ტერიტორიული საკითხის სირთულეს კარგად ხედავდნენ ბოლშევიკები და ამიტომ უკვე 1921 წელს ცეკა-მ 1921 წლის 2 მაისს შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა, მოემზადებინა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხი. 1921 წლის 7 ივლისს კავბიურომ დაადგინა, რომ ე. წ. ნეიტრალური ზონა – ლორეს ოლქი – გადაეცეს სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. 1921 წლის 16 ივლისს და 1921 წლის 3 აგვისტოს აღნიშნული საკითხს შესახებ კავკბიურომ კვლავ სომხეთის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება და, მართალია, ახალქალაქისა და ხრამის რაიონები დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ, სამაგიეროდ, ლორეს ოლქი ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე (რისი მოთხოვნილებაც არსებობდა ქართული საზოგადოების მხრიდან) სომხეთის სსრ-ს გადაეცა და ასე გრძელდება დღემდე“.	ისტორიული ლორეს ტერიტორია XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის დამდეგს კვლავ ისტორიული საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებშია, თუმცა ბოლშევიკური ხელისუფლების პოლიტიკის გამო ის მეზობელი ქვეყნის საზღვრებში მოექცა 1921 წლის შემდეგ.
ტექსტი 4. „აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი საზღვარი, ისტორიულად, ლორე-ტაშირის სამხრეთის საზღვარს ემთხვეოდა. ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში და ისტორიულ გამოკვლევებში („მატიანე ქართლისაი“, ლეონტი მროველის, ვახუშტის, დავითის ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, სტეფანე მტბევარის, ანტონ კათალიკოსის, პაპუნა ორბელიანის, სტრაბონის, პლინიუსის, მათე ურჰაეცის, ასოღიკის, ვარდანის, ნ. ბუტკოვის, მ. საბინინის, ვ. მაევსკის, მ. ივანენკოს, ვ. ფილიპოვის, პ. კოვალენსკის, ავერიანოვის თხზულებათა და არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული აქტების ცნობები და სხვ. ასევე მ. ჯანაშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. ადონცის, მ. ბროსეს, დუბროვინის გამოკვლევები) შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი რეგიონის, ისტორიული ლორე-ტაშირის სხვადასხვა სახელწოდება, რომელთაგან ზოგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნებაა, ზოგი ეთნიკურ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თუ სხვა („ქვედა სოფელი“, „ქვემო ქვეყანა“, „გოგარენე-გუგარქი“, „ქართლი“, „ქვემო ქართლი“, „სომხითი“, „გარდაბნისა და გაჩიანის საერისთავონი“, „ტაშირ-ძორაგეტის სამეფო“, „გაგისა და ლორეს სანაპირო საერისთავოები“, „სომხით-საბარათიანო“, „მეწინავე სადროშო“ და სხვ.) და შეიცავენ მითითებას ამ მხარის უშუალო კავშირზე დანარჩენ საქართველოსთან. მხოლოდ გარკვეულ პერიოდში, ადრეულ ხანაში, ქართველური ტომის, გუგარების, ასიმილირების შედეგად, ამ მხარეში დომინირებას იწყებს სომხური ელემენტი.	ქართული და უცხოური საისტორიო წყაროებით და ისტორიული გამოკვლევებით ლორე ისტორიული ქართული ტერიტორიების უშუალო შემადგენელი ნაწილია, რომლის საზღვრების ბედზე გავლენა მოახდინა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიულმა, ეთნიკურმა და პოლიტიკურმა ექსპანსიამ, რამაც ზოგადად ქართული საზოგადოებისათვის არასახარბიელო პოლიტიკური ვითარება განაპირობა და გავლენა მოახდინა ისტორიული საზღვრების ფორმირებაზე.

რას გვიყვებიან წყაროები ლორეს საზღვრების ტრანსფორმაციისა და ამ ტრანსფორმაციის მიზეზების შესახებ?	**სავარაუდო პასუხი**
ისტორიულად, როგორც ქართველები, ისე სომხები ცხოვრობდნენ ლორე-ტაშირის (ლორე რუსეთის იმპერიისდროინდელი ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილია) ტერიტორიაზე, რაზეც მეტყველებს არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები. კერძოდ, ლორეს არქიტექტურული მემკვიდრეობა მიგვანიშნებს როგორც ქართული, ისე სომხური კულტურის არსებობაზე. ეს არის უპირველეს ყოვლისა სომხური მონასტრები: ოძუნი, სანაჰინი და ახპატი, აგრეთვე ქართული ეკლესიები ახტალასა და აქორში (ყველა შუა საუკუნეების პერიოდისაა). ამავდროულად ყოფილი მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ლორესაგან განსხვავებით, კულტურის ძეგლების ხასიათში უფრო ჭარბობს ქართული ელემენტი (მაგალითად, ბოლნისის სიონი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია, შემორჩენილი ქართული ეკლესიებიდან, V საუკუნის ავთენტური ეპიგრაფიკული წარწერებით). ფაქტობრივად ოთხი ასწლეულის უწყვეტმა ომებმა, რაც წინ უსწრებდა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს შთანთქმას, გამოიწვია ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის-პირეთის ეთნიკური სურათის შეცვლა, ბორჩალოს, შამშადინისა და ბამბაკის ჩათვლით. რუსეთთან შეერთების შემდეგ იმპერიის ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობდა მხარის დეპოპულაციის ნაწილობრივ კომპენსაციას და აქ თავის არსებობის განმტკიცებას, ამ მიწაზე ასახლებდა ლტოლვილ ქრისტიანებს თურქეთიდან (სომხებს და შედარებით ნაკლებად, ბერძნებს), აგრეთვე კოლონისტებს რუსეთიდან და გერმანიიდან, რამაც კიდევ უფრო ააჭრელა ბორჩალოს მაზრის ეთნიკური პალიტრა). ამ მხარის ეთნიკური სურათი ძალიან შეიცვალა რუსეთის ხელშეწყობით, როდესაც აქ დიდი რაოდენობით სომხები ჩამოსახლდნენ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში. ამ დროისათვის, 1918 წლის მონაცემებით, ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე ძირითადად ცხოვრობდნენ უმრავლესად რუსები (მართლმადიდებლები და სექტანტები), ქართველი მართლმადიდებლები, სომეხი-გრიგორიანელები, აზიელები(მუსლიმი შიიტები და მუსლიმი სუნიტები) ებრაელები, კავკასიელი მთიელები და სხვ. 1921 წელს მხარე სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა (ქართველი, სომეხი და რუსი ბოლშევიკების ხელშეწყობით), რაზეც დიდი გავლენა სომხური ეთნიკური ელემენტის სიმრავლემ და ზოგადად ქართული საზოგადოებისთვის არასახარბიელო პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა“.	

აქტივობა N4 – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, გაეცნონ რუკებს ისტორიული ლორეს შესახებ (რუკა 1. ძვ.წ. II-I საუკუნეებში; რუკა 2. II-X საუკუნეებში; რუკა 3. XII-XVIII საუკუნეებში; რუკა 4. საქართველო XV საუკუნეში; რუკა 5. საქართველო 1762 წელს; რუკა 6. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორია რუსეთთან შეერთების მომენტში (კონკრეტული პერიოდი 1801-1813წწ.); რუკა 7. ტიფლისის გუბერნიის რუკა (1899 წლის მდგომარეობით; ე.წ. 5 ვერსიანი რუკა) დაბეჭდილია 1915წ.; რუკა 8. „საქართველოს რუკა“. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი, ფრანგული, წარდგენილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წელი; რუკა 9. ტიფლისის გუბერნია. 1920 წ.; რუკა 10. საქართველო მოსკოვის ხელშეკრულების მდგომარეობით 07.V. 1920 http://damoukidebloba.ge/c/news/1920_7_maisi_moskovis_khelshekruleba

რუკა 10. საქართველოს რესპუბლიკის რუკა. შედგენილი ივ. ჯავახიშვილის მიერ. 1922 წ. ნოემბერი; რუკა 11. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რუკა. XI. შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტის მიერ 1930 წ.); **გააანალიზონ ინფორმაცია, დაუკავშირონ ზემოთ მოყვანილ მასალებს და შეავსონ ცხრილი „ლორეს სახელმწიფოებრივი მიკუთვნებულობა და რეგიონის საზღვრების კორელაცია“ (ცხრილი 2). მოსწავლეები ეცნობიან რუკებს, აანალიზებენ მასალას და ავსებენ ცხრილს:**

რუკების მიხედვით ლორეს ისტორიული „კუთვნილება“, ტერიტორიული საზღვრების კორელაცია საუკუნეების განმავლობაში და შესაბამისობა რუკებსა და განხილულ დოკუმენტებს შორის	**სავარაუდო პასუხი**
რუკა 1. ძვ.წ. II-I საუკუნეებში  رუკა 2. II-X საუკუნეებში  	**რუკა 1-სა** და **რუკა 2-ში** ასახული ინფორმაცია შეესაბამება ტექსტი 4-სა და ტექსტი 2-ში გადმოცემულ ვითარებას და ადასტურებს, რომ ისტორიულად ლორეს მხარე სომხეთის შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა; მიუთითებს პოლიტიკური პრობლემების გამო ისტორიული მხარის საზღვრების კორელაციაზე საუკუნეების განმავლობაში.
რუკა 3. XII-XVIII საუკუნეებში  https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxet-saqartvelos-omi-1/	**რუკა 3-ის** მიხედვით, ისტორიული ლორე ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ნაწილია, თუმცა XVI-XVIII საუკუნეებში მისი საზღვრები კვლავ ტრანსფორმირდება, რითაც შეესაბამება ტექსტი 2-სა და ტექსტი 1-ში ასახულ ვითარებას
რუკა 4. საქართველო XV საუკუნეში  https://burusi.wordpress.com/2009/07/12/maps-of-georgia/www-nukri-org_hist2_georgia_xv/	**რუკა 4-ის** მიხედვით, ლორე XV საუკუნეში ქართლის სამეფოს ნაწილია, რაც შეესაბამება ტექსტი 1-ში გადმოცემულ ვითარებას.

რუკების მიხედვით ლორეს ისტორიული „კუთვნილება“, ტერიტორიული საზღვრების კორელაცია საუკუნეების განმავლობაში და შესაბამისობა რუკებსა და განხილულ დოკუმენტებს შორის	**სავარაუდო პასუხი**
რუკა 5. საქართველო 1762 წელს 	**რუკა 5-ის** მიხედვით, ლორე გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია, რაც ადეკვატურია ტექსტი 2-სა და ტექსტი 1-ში აღწერილი ვითარებისა.
რუკა 6. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორია რუსეთთან შეერთების მომენტში (1801-1813 წწ.)  	**რუკა 6-ის** მიხედვით, ლორე კვლავ რჩება საქართველოს ტერიტორიულ ერთეულად, ოღონდ ამჯერად ერთიანი რუსეთის იმპერიის ფარგლებში, რითაც შეესაბამება ტექსტი 3-ს.
რუკა 7. ტიფლისის გუბერნიის რუკა (1899 წლის მდგომარეობით; ე.წ. 5 ვერსიანი რუკა) დაბეჭდილია 1915 წ. 	**რუკა 7-ის** მიხედვით, ლორე კვლავ რჩება საქართველოს ტერიტორიულ ერთეულად და რუსეთის იმპერიის ნაწილად, რითაც შეესაბამება ტექსტი 3-ს.

რუკების მიხედვით ლორეს ისტორიული „კუთვნილება“, ტერიტორიული საზღვრების კორელაცია საუკუნეების განმავლობაში და შესაბამისობა რუკებსა და განხილულ დოკუმენტებს შორის	სავარაუდო პასუხი
რუკა 8. „საქართველოს რუკა“. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი, ფრანგული, წარდგენილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წ. 	**რუკა 8-ის** მიხედვით, ლორე საქართველოს ტერიტორიაა, რითაც შეესაბამება ტექსტი 2-ს, ტექსტი 3-ს და ტექსტი 4-ს.
რუკა 9. ტიფლისის გუბერნია. 1920 წ. 	**რუკა 9-ის** მიხედვით, ლორეს მხარე 1920 წელს საქართველოს სახელმწიფოს ნაწილია, რითაც რელევანტურია ტექსტი 3-სა და ტექსტი 1-ისა.
რუკა 10. საქართველო მოსკოვის ხელშეკრულების მდგომარეობით 07.V. 1920 http://damoukidebloba.ge/c/news/1920_7_maisi_moskovis_khelshekruleba	**რუკა 10-ის** მიხედვით, ლორეს მხარე 1920 წელს რსფრ-ის მიერ აღიარებულია საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად, თუმცა 1921 წლიდან ხდება მისი გადასვლა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში და სომხეთის შემადგენლობაშია დღემდე, რითაც რელევანტურია ტექსტი 3-ისა.

რუკების მიხედვით ლორეს ისტორიული „კუთვნილება“, ტერიტორიული საზღვრების კორელაცია საუკუნეების განმავლობაში და შესაბამისობა რუკებსა და განხილულ დოკუმენტებს შორის	**სავარაუდო პასუხი**
რუკა 11. საქართველოს რესპუბლიკის რუკა. შედგენილი ივ. ჯავახიშვილის მიერ. 1922 წ. ნოემბერი 	**რუკა 11-ის** მიხედვით, ლორე სომხეთის ტერიტორიაზეა, რითაც შეესაბამება ტექსტი 1-ს და ტექსტი 3-ს.
რუკა 12. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რუკა, შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტის მიერ, 1930 წ. 	**რუკა 12-ის** მიხედვით, ლორე რჩება სომხეთის ტერიტორიად, რითაც შეესაბამება ტექსტი 1-ს, ტექსტი 3-ს და ტექსტი 4-ს.

აქტივობა N5 – მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მცირე დოკუმენტური ვიდეოფილმების ნახვას ლორეს საზღვრების ტრანსფორმაციისა და ამ საკითხის მიმართ XX საუკუნის ქართული საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ:

ფილმი 1 – „საქართველოს რუკები / Georgian Maps“ (ბმული მოცემულ დროზე: 0:4:00 https://www.youtube.com/watch?v=mtRJV-KguOU ფილმში ცხადად ჩანს ლორე, როგორც საქართველოს ისტორიული ტერიტორია, რომელიც პოლიტიკური პრობლემების გამო განიცდიდა კორელაციას საუკუნეების განმავლობაში და ექცეოდა მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებში. ბოლოს ის ჩამოეჭრა საქართველოს, 1921 წელს, გარეშე ძალების მიერ);

ფილმი 2 – „ჩვენი ფონდი-ლორე-ტაშირში არსებულ ტაძართა ქართულობა“ (ბმული მოცემულ დროზე: https://www.youtube.com/watch?v=35RaWZI9DWM 0-1:22; 23:46-24: 30. მასში სხვა საკითხებთან ერთად მიმოხილულია ისტორიული ლორეს ტერიტორიული ტრანსფორაციის საკითხი);

ფილმი 3 – „სომხეთ-საქართველოს ომი“ (ბმული მოცემულ დროზე: https://www.youtube.com/watch?v=BYxkwrhL0Gs 0:50 -2:07. ფილმში საუბარია ქართული საზოგადოების თხოვნაზე ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ, დარჩენილიყო მხარე საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში);

მოსწავლეები უყურებენ მცირე ვიდეოფილმებს, აანალიზებენ ინფორმაციას და ავსებენ ცხრილს „ლორეს საზღვრების კორელაცია“ (ცხრილი 3).

ცხრილი 3

რა დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს ვიდეოფილმები ისტორიული ლორეს საზღვრების კორელაციის შესახებ? მისი ტერიტორიული კუთვნილებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ?	სავარაუდო პასუხი
https://www.youtube.com/watch?v=mtRJV-KguOU „საქართველოს რუკები / Georgian Maps“	ფილმში ჩანს საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები, მათ შორის, ლორეს საზღვრების ტრანსფორმაცია, თუ როგორ კარგავს ამ ტერიტორიას საქართველო გარეშე ძალების ზემოქმედებით.
https://www.youtube.com/watch?v=BYxkwrhL0Gs „სომხეთ-საქართველოს ომი“	ფილმში გამოკვეთილია, თუ როგორი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ლორეს მოსახლეობას საქართველოსგან გამოყოფაზე და სომხეთთან მიერთებაზე 1921 წელს, რაც არ იქნა გათვალისწინებული იმდროინდელ ხელისუფალთა მხრიდან.
https://www.youtube.com/watch?v=35RaWZI9DWM „ჩვენი ფონდი-ლორე-ტაშირში არსებულ ტაძართა ქართულობა“	ფილმში საუბარია ლორეს ტერიტორიაზე განლაგებული ტაძრების შესახებ, ჩანს მითითება საკითხის მიმართ მკვლევართა სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაზე, თუმცა გამოკვეთილია ამ ტაძრების ქართულობა – მათი მართლმადიდებლურ / ქალკედონური ხასიათი.

აქტივობა N6 – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, შეადარონ ნარატიული წყაროებიდან, რუკებიდან და და ვიდეოფილმებიდან მიღებული მასალა ერთმანეთს, იმსჯელონ საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობაზე და შეავსონ ცხრილი „ლორეს საზღვრების კორელაციისა და სახელმწიფოებრივი მიკუთვნებულობის შესახებ“ (ცხრილი 4). მოსწავლეები ადარებენ ინფორმაციას, მსჯელობენ და ავსებენ ცხრილს „ისტორიული ლორეს საზღვრების პრობლემები“ (ცხრილი 4):

ცხრილი 4

რა ფაქტორებმა განაპირობა ისტორიული ლორეს ტერიტორიული ცვლილებები, რომლებიც აისახა ნარატივებში, რუკებზე და ვიდეოფილმებში?	პოლიტიკურმა პროცესებმა, გარეშე მტრის თავდასხმებმა, ეთნიკური ხასიათის ექსპანსიამ.
რა შეიძლება ითქვას ლორეს სახელმწიფოებრივი მიკუთვნებულობისა და მისი საზღვრების კორელაციის მიზეზებზე? რამდენად შეესაბამება ლორეს საზღვრები ისტორიულად დროში დადასტურებულ ვითარებას?	რუკების მიხედვით, ისტორიული ლორეს საზღვარი მუდმივ კორელაციას განიცდიდა და მისი ტრანსფორმაცია დამოკიდებული იყო იმ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელთა საზღვარზეც იმყოფებოდა (საქართველო-სომხეთი) და არა მხარის ისტორიულ/სახელმწიფოებრივ კუთვნილებაზე; კორელაციის სიხშირეც მიუთითებს ამ კუთხის ისტორიულ ბედზე და არა ზოგადად ერთმნიშვნელოვან, ცალსახა ჭეშმარიტებაზე.
რამდენად დაგვეხმარა ისტორიული წყაროები, გვემსჯელა, რა გავლენას ახდენს პოლიტიკური პროცესებით გამოწვეული ცვლილებები სახელმწიფო საზღვრების ფორმირებაზე? მოგვცა თუ არა საშუალება ისტორიულმა წყაროებმა, აღგვედგინა ლორეს საზღვრების შესახებ არსებული ისტორიული სინამდვილე?	დაგვეხმარა, მოგვცა ინფორმაცია საქართველოს საზღვრების ტრანსფორმაციის ისტორიული ვითარებით გამოწვეულ მიზეზებზე და სწორი ანალიზისთვის ყურადღება გაგვამახვილებინა მხარის არქეტიპონიმიკის შესწავლის მნიშვნელობაზე; დაგვანახა ურთიერთკავშირი ლორეს საზღვრების სახელმწიფოებრივი მიკუთვნებულობის საფუძვლებსა და საუკუნეების განმავლობაში საზღვრების კორელაციას შორის.

ისტორიის საგანი ის სასწავლო დისციპლინაა, რომელიც არა მარტო ხელს უწყობს მოსწავლეებს კომპეტენციების ჩამოყალიბებაში, არამედ ეხმარება მათ ისტორიული მეხსიერების, წარსულის ისტორიული სურათების აღდგენა-დანახვაში, კვლევითი, ღირებულებითი და სხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში.

შეფასების ინსტრუმენტები: კრიტერიუმები:

1. მოსწავლემ სწორად მონიშნა ლორეს საზღვრების ცვლილებები;
2. მოსწავლემ შეადარა ნარატიული წყაროები რუკებსა და ფილმებში ნანახ მასალას (ნამდვილი და გამონაგონი);
3. მოსწავლემ იმსჯელა პოლიტიკურ პროცესებზე;
4. მოსწავლემ დააკავშირა ინფორმაციები ერთმანეთთან;
5. მოსწავლემ გააანალიზა საინფორმაციო წყაროების მონაცემები ლორეს საზღვრების კორელაციაზე საქართველოსთან მიმართებით;
6. მოსწავლემ გააკეთა სწორი დასკვნა.

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი

#	კრიტერიუმები	კი	არა	შენიშვნა
1	სწორად მოვნიშნე ლორეს საზღვრების ცვლილებები?			
2	ნარატიული წყაროების, რუკებისა და ფილმში ნანახი მასალის შედარება დამეხმარა, გამერჩია „ნამდვილი“ და „გამონაგონი?“			
3	გავაანალიზე საინფორმაციო წყაროების მონაცემები ლორეს საზღვრების კორელაციაზე საქართველოსთან მიმართებით?			
4	გავაკეთე დასკვნა (არგუმენტებად მოვიყვანე სანდო წყაროები, ვიმსჯელე პოლიტიკურ პროცესებზე, დავაკავშირე ინფორმაცია ერთმანეთთან და ა.შ.)?			

რადგან მედიალანდშაფტი ძლიერ არის შეცვლილი და ინფორმაცია ახალგაზრდამდე ათასობით წყაროდან მოდის, მედიაუნარების, მედიაწიგნიერების კომპეტენციის გარეშე მოსწავლეები ვერ შეძლებენ ინფორმაციის ზღვაში „ნამდვილისა“ და „გამოგონილის“ გარჩევას.

გამოყენებული მულტიმედიარესურსები:

ა) საქართველოს რუკები / Georgian Maps (ბმული მოცემულ დროზე: 0:4:00 https://www.youtube.com/watch?v=mtRJV-KguOU

ბ) „სომხეთ-საქართველოს ომი“ (ბმული მოცემულ დროზე: https://www.youtube.com/watch?v=BYxkwrhL0Gs 0:50-2:07

გ) „ჩვენი ფონდი-ლორე-ტაშირში არსებულ ტაძართა ქართულობა“ (ბმული მოცემულ დროზე : https://www.youtube.com/watch?v= 35RaWZI9DWM 0-1:22; 23:46-24: 30.

დ) ისტორია, X კლ. , შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ (ავტორთა ჯგუფი).

შენიშვნები – საკითხის უფრო საფუძვლიანად შესწავლისათვის სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ დავალება, გაეცნონ მხარის არქიტექტურული ძეგლების ისტორიას, როგორც ისტორიული რეალობის ანაბეჭდს.

ისტორიის გაკვეთილებზე მედიატექსტების აქტიური გამოყენებით შესაძლებელია, მოსწავლემ მიაღწიოს ისტორიული მასალის კონკრეტიზაციას, შექმნას ნათელი სურათი და გააცოცხლოს წარსული.

მედიაწიგნიერება ჩემს გაკვეთილზე

ნათია უჩავა

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს მედიაწიგნიერების მნიშვნელობა ვაჩვენოთ, პირველ რიგში კი, მათ გაიაზრონ, თუ რისთვის არის ის საჭირო. ჩვენს ეპოქაში ინფორმაციის მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა მთავარია, ინფორმაციების ერთმანეთისგან გარჩევა ვიცოდეთ.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს მედიაწიგნიერების აუცილებლობა დავანახოთ, პირველ რიგში კი, მათ გაიაზრონ, თუ რისთვის არის ის საჭირო. ჩვენს ეპოქაში ინფორმაციის მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა მთავარია, ინფორმაციების ერთმანეთისგან გარჩევა ვიცოდეთ. კომიქსები, ტელევიზია, ინტერნეტი, რეკლამები - ბავშვებს მოსწონთ. ეს ყველაფერი ეხმარება მათ სამყაროსა და საკუთარი თავის შესწავლაში. მედიაწიგნიერება იძლევა მოვლენის კრიტიკულად შეფასების შესაძლებლობას; ასწავლის გამოგონილი და რეალური ფაქტების ერთმანეთისგან გამიჯვნას, იძლევა შედარების საშუალებას ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ამიტომაც მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სასკოლო ცხოვრებაში მეტი აქტივობა შესთავაზოს აუდიტორიას. ჩემი პროექტი სწორედ მოსწავლეებში მედიაწიგნიერების განვითარებას ემსახურება.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები იმუშავებენ ჯგუფურად, რათა შექმნან სატელევიზიო რეკლამები ერთი და იმავე პროდუქტისთვის. ჯგუფების მუშაობაში განსხვავება ის იქნება, რომ ეყოლებათ განსხვავებული სამიზნე აუდიტორია. თითოეულმა უნდა წარადგინოს კლასში პრეზენტაცია თავისი კომერციული დიზაინის შესახებ, დაარწმუნოს სხვები, თუ რატომ არის მათი პროდუქტი მნიშვნელოვანი და გაყიდვადი.

პროექტი განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის, თუმცა თავისუფლად შეგიძლიათ ზედა საფეხურზე გადაიტანოთ, შეცვალოთ სამიზნე აუდიტორია და იმოქმედოთ ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე.

მოსწავლეებმა **უნდა გაითვალისწინონ,** რომ რეკლამაში იყოს დამაჯერებელი შეტყობინებები; გამოიყენონ მედიატექნიკები, თხრობა, გაითვალისწინონ სამიზნე აუდიტორია.

პროექტის მიზანი:

- მოსწავლეები პრაქტიკაში გამოიყენებენ ცოდნას დამაჯერებელი შეტყობინების შექმნის შესახებ;
- გაეცნობიან აუდიოვიზუალური შეტყობინების სხვადასხვა ელემენტს;
- პრაქტიკაში გამოიყენებენ სცენარის ფორმების გამოყენების ტექნიკას;
- გაიუმჯობესებენ თანამშრომლობით უნარებს, ისწავლიან სხვისი აზრის გათვალისწინებას.

პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები უნდა მიხვდნენ რეკლამების მნიშვნელობას, მათ გავლენას და შეძლონ იმ ძირითადი მესიჯის „დაჭერა", რომელიც თითოეულ რეკლამას აქვს.

ჯგუფური მუშაობის დროს თქვენ უნდა მისცეთ სწორი მიმართულება გუნდს, თუ ისინი სამიზნე აუდიტორიას ასცდებიან. მაგალითად, თუ ქმნიან სკოლამდელი მოსწავლეებისთვის განსაზღვრული წიგნის რეკლამას, არ უნდა შექმნან ისეთი რთული ტექსტი და პერსონაჟი, რომ გაუჭირდეთ გაგება.

ყველა მოსწავლე მაქსიმალურად უნდა ჩართოთ ჯგუფურ მუშაობაში. თუ ხედავთ, რომ რომელიმე მოსწავლე ჩართული არაა, კონკრეტული დავალება მიეცით ან დახმარება გაუწიეთ.

სანამ პროექტზე მუშაობას დაიწყებთ, გაითვალისწინეთ, თქვენი აუდიტორია რამდენად არის მზად. დარწმუნდით, რომ მოსწავლეები იცნობენ მოთხრობასა და მისი შექმნის ელემენტებს, რომლებიც რეკლამაში ხშირად გამოიყენება; აქვთ წარმოდგენა ზოგადად რეკლამაზე – რა არის, რისთვის გამოიყენება? ანახეთ მოსწავლეებს სხვადასხვა რეკლამა და სთხოვეთ, ამოიცნონ, რა არის მისი მთავარი სათქმელი? ძირითადი შეტყობინება როგორ იყო გადმოცემული რეკლამაში? თვითონ თუ გაუჩნდათ სურვილი, მისი ხილვის შემდეგ შეეძინათ პროდუქტი? ან თუ დაფიქრდნენ მასში გადმოცემულ იდეაზე? კითხვების საშუალებით დაეხმარეთ მოსწავლეებს, მთავარ იდეამდე დამოუკიდებლად მივიდნენ.



მედიაწიგნიერება იძლევა მოვლენის კრიტიკულად შეფასების შესაძლებლობას, ასწავლის გამოგონილი და რეალური ფაქტების ერთმანეთისგან გამიჯვნას, იძლევა შედარების საშუალებას ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.

1. მომზადების შემდეგ დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. სასურველია, ჯგუფში 5-6 მოსწავლე იყოს.
2. დაურიგეთ მათ წინასწარ მომზადებული სცენარის ფორმები, სადაც ეწერება სამიზნე ჯგუფი. ისინი შეავსებენ ბარათს გუნდურად, მოიფიქრებენ მასში მოცემულ კითხვებზე პასუხს, გააკეთებენ პრეზენტაციას და შემდეგი შეხვედრისთვის ამ ყველაფერს შექმნიან ელექტრონული სახით.
3. მოსწავლეებს სთხოვეთ, რომ სცენარის ფორმის მიხედვით შექმნან სარეკლამო რგოლი. მისი წარმოდგენა შესაძლებელი იქნება როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ბუკლეტის სახით. სარეკლამო რგოლის შესაქმნელად საჭიროა სცენარის შემუშავება და წინასწარ დაგეგმვა. მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ წიგნი, პერსონაჟი თავისი მცირე ამბით. წიგნში წარმოდგენილი უნდა იყოს პერსონაჟის ასაკი, ხასიათი, გემოვნება, ინტერესები, სურვილები, ოცნებები. ასევე მოიფიქრონ მისი აღწერა – რა ფერის თვალები, თმა ექნება და ა.შ.
4. ყველა ჯგუფს შეურჩიეთ სამიზნე აუდიტორია – რომელი ასაკობრივი აუდიტორიისთვის შექმნიან მას: ბაღის მოსწავლეებისთვის, სკოლამდელებისთვის, პირველკლასელებისთვის და ა.შ.
5. თითოეულ ჯგუფს აქვს 20 წუთი იმისათვის, რომ შეავსოს სცენარის ფორმა, რომლის დასრულებულ ვარიანტსაც წარუდგენს კლასს. ჯგუფებს სთხოვეთ, რომ მოფიქრებული ამბის პანტომიმით წარმოდგენა სცადონ.
6. პრეზენტაციის დროს ჯგუფი არ ასახელებს სამიზნე აუდიტორიას, ისე წარმოადგენს რეკლამას. ხაზს უსვამს რეკლამის მნიშვნელოვან ნაწილს – თუ რატომაა მათი პროდუქტი მნიშვნელოვანი. თითოეული ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ ჰკითხეთ აუდიტორიას: ამ რეკლამას რომელ სამიზნე აუდიტორიას შეურჩევდნენ? ჩამოწერეთ დაფაზე სამიზნე აუდიტორია და ჯგუფის დასახელება. მონიშნეთ კლასის იდეები და შემდეგ შეადარეთ, რამდენად გამოიცნობენ. გუნდის პრეზენტაციის შემდეგ აუდიტორიას ჰკითხეთ, შეიძენდნენ თუ არა ამ პროდუქტს? რატომ? როგორ მოახდინა შთაბეჭდილება რეკლამირების დროს გუნდმა?

გუნდური მუშაობის შემდეგ, მომდევნო შეხვედრისთვის, სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, შექმნან რეკლამა ელექტრონული სახით. წინასწარ გაუგზავნეთ მათ ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შექმნან ელექტრონული ბუკლეტი. დაავალეთ მათ, ელექტრონული სახითაც წარმოადგინონ რეკლამა შემდეგ შეხვედრაზე.

რეკლამის შექმნა თავისუფალ თემაზე

შეგიძლიათ პროექტის მიზანი უცვლელი დატოვოთ და შეცვალოთ მხოლოდ პროდუქტი, რომლის რეკლამასაც გააკეთებენ მოსწავლეები. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს წარმოდგენა შეექმნებათ პროექტის მიზანზე, შეგიძლიათ შესთავაზოთ თავისუფალ თემაზე რეკლამის შექმნა. მიეცით მათ საშუალება, თავად მოიფიქრონ პროდუქტი. თქვენ მხოლოდ ძირითად საკითხზე გაუმახვილეთ ყურადღება. დასახონ სამიზნე აუდიტორია, აღწერონ პროდუქტი გასაგებად და გადმოსცენ მთავარი სათქმელი ისე, რომ მაყურებლისთვის აღქმადი იყოს. არ შეზღუდოთ მოსწავლეები დავალების შესრულების ფორმატში. შეუძლიათ საკუთარი ნამუშევრები ფოტო-ვიდეო მასალის სახით წარმოადგინონ. ასე თქვენ უფრო მრავალფეროვნად შესრულებულ აქტივობას მიიღებთ.

მოსწავლეების მიერ შექმნილი რეკლამის ნიმუშები თავისუფალ თემაზე



პროექტის დასასრულს მნიშვნელოვანია შეფასება, რათა მოსწავლეებმა შემდგომში გააუმჯობესონ შედეგები. მოსწავლეებს წინასწარ უნდა გააცნოთ შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისად, ისინი მუშაობისას შეფასებაზეც იფიქრებენ. შეფასების კრიტერიუმში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს პროდუქტის სახელწოდებაზე, პერსონაჟზე, ამბავზე, ვიზუალზე. შეაფასეთ თითოეული გუნდი პრეზენტაციის შემდეგ და ასევე უკუკავშირის გაკეთება სთხოვეთ აუდიტორიას.

ვფიქრობ, მსგავსი აქტივობებით ხელს შევუწყობთ კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციების უნარების ჩამოყალიბებას მოსწავლეებში.

მედიაწიგნიერების თამაშები

ქეთევან მიქაძე

მედია, ანუ ინფორმაციული წიგნიერება უნარების ნაკრებია, რომელიც ინდივიდისაგან მოითხოვს, გააცნობიეროს, ,,როდის არის საჭირო ინფორმაცია და შეძლოს მისი ადგილის განსაზღვრა, შეფასება და ეფექტურად გამოყენება" (ნატალია ინგოროყვა). მედიაწიგნიერება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი გამჭოლი კომპეტენციაა. მედიაწიგნიერების უნარები ყველა მოსწავლეს უნდა განუვითარდეს, რადგან თანამედროვე სამყარო სხვადასხვა მედიასაშუალებით უამრავ ინფორმაციას ავრცელებს, რაც განსაზღვრავს მათ მოსაზრებებს, ცოდნასა და ურთიერთობებს. აქედან გამომდინარე, მოსწავლეს უნდა შეეძლოს როგორც მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ასევე შექმნა, გამოყენება, ინტერპრეტირება; ახალი ინფორმაციის მიღება, გაფილტვრა, მისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გამორჩევა, კრიტიკულად აზროვნება და შეკითხვების დასმა. მოსწავლე, რომელიც ამ უნარებით იქნება აღჭურვილი, არ დაიკარგება ინფორმაციის ,,უსიერ ტყეში" .

მედიაწიგნიერება თავისთავად გულისხმობს წიგნიერებასაც, რადგან წიგნიერება მხოლოდ წერისა და კითხვის უნარი არ არის. წიგნიერ ადამიანს უნდა შეეძლოს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება; ზეპირი, ვიზუალური, ნაბეჭდი თუ ციფრული ტექსტების გააზრება და ინტერპრეტირება.

> ციფრულმა ეპოქამ ყველას გაუადვილა მედიის შექმნა. ჩვენ ყოველთვის არ ვიცით, ვინ შექმნა გზავნილი, რატომ შექმნა და რამდენად სანდოა. ამიტომ თანამედროვე მოსწავლე კრიტიკულად უნდა აანალიზებდეს ყველა მედიაგზავნილს და უნდა შეეძლოს დასვას შეკითხვები:

- ვინ შექმნა ეს პროდუქტი?
- რა არის მისი შექმნის მიზანი?
- ვისთვის არის განკუთვნილი?

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ მედიაწიგნიერება გულისხმობს კონტროლის დამყარებას, რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილ სამყაროს შორის ზღვრის დანახვას; რომ ყველა მედიაგზავნილი იყენებს დარწმუნების ენას და რაიმე ქმედებისკენ უბიძგებს ადამიანს. მოსწავლისთვის შესაძლებელი რომ იყოს რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილ სამყაროს შორის ზღვრის დანახვა, უნდა შევთავაზოთ ბევრი ისეთი აქტივობა, რომელიც განუვითარებს მედიაწიგნიერების აუცილებელ უნარებს. მოსწავლეები იქნებიან როგორც მედიის შემქმნელები, ასევე მედიამესიჯის კრიტიკულად შემფასებლებიც.

მედიაწიგნიერების აქტივობები (დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის)

პროექტული სწავლება შესანიშნავი საშუალებაა, მოსწავლეს ციფრული უნარ-ჩვევები განუვითარდეს. ამ დროს მას სხვადასხვა ტიპის ტექსტთან უწევს ურთიერთობა, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს იყენებს; სწავლობს მიღებული ინფორმაციიდან არასასურველის ,,გაფილტვრას", უვითარდება ზეპირი მეტყველების, აზრის გადმოცემისა და კრიტიკულად აზროვნების უნარები.

მოსწავლეებს შეაქმნევინეთ სხვადასხვა სახის მედიაპროდუქტი: მულტიმედიური, PowerPoint-პრეზენტაციები, კომიქსები, რეკლამები, ანიმაციური ვიდეორგოლები. ამ აქტივობით მოსწავლეები მედიის შემქმნელები და კრიტიკულად შემფასებლებიც გახდებიან.

აქტივობა „მცდარი ინფორმაცია" – მოსწავლეებს მიეწოდებათ ისეთი ინფორმაცია ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს დაუზუსტებელ, მცდარ მონაცემებს. ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ ბავშვები მასწავლებელთან ერთად ამოწმებენ და პოულობენ შეცდომებს ლიტერატურულ თუ ინტერნეტ წყაროებში. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, ამოიცნონ: მცდარი ინფორმაცია, გაზვიადება, დეზინფორმაცია და სიცრუე.

აქტივობა „ნამდვილისა და მოგონილის გარჩევა" – მოსწავლეები ნახავენ სატელევიზიო სიუჟეტს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. აანალიზებენ ნანახს, მასწავლებელი კი უბიძგებს იმისკენ, რომ მოიძიონ მოცემული თემა სხვადასხვა წყაროში (რეკომენდებულია 10 წყარო). ამის შემდეგ მათ ევალებათ მოძიებული ინფორმაციის გაანალიზება, შედარება ნანახთან და საკუთარი აზრის გამოხატვა სტატიის, ნარატივის ან ესეის სახით. ამ აქტივობით მოსწავლე შეძლებს დაინახოს ზღვარი ნამდვილსა და მედიის მიერ გამოგონილ ამბებს შორის.

აქტივობა ,,ჟურნალისტი"
მონაწილეებს ენიჭებათ ნომრები, ირგებენ ჟურნალისტის როლს. პირველი ნომერი იწყებს ამბის თხრობას (წინასწარ შერჩეულ თემასთან დაკავშირებით), რაც გრძელდება 2 წუთის განმავლობაში. საინტერესო მომენტში წყვეტს მოყოლას ფრაზით – „გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში" და აგრძელებს მეორე მოთამაშე. აქტივობა მოსწავლეს უვითარებს იმპროვიზაციის, მეტყველების, ფანტაზიის, მოსმენისა და შემოქმედებით უნარებს.

მედიის შემქმნელები ცდილობენ, კონკრეტული გზავნილი მიაწოდონ მომხმარებელს, მაგრამ ადამიანები ამ გზავნილებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ, შინაარსს განსხვავებულად იგებენ.

აქტივობა „ გაშეშებული კადრი“

კონკრეტულ თემაზე მოსწავლე ერთ-ერთი ფილმიდან ირჩევს პერსონაჟს, ასახიერებს და ახმოვანებს რომელიმე კადრს, ეპიზოდს. დანარჩენებმა უნდა აღნიშნონ, რამდენად სწორად შეძლო მან მედიაგზავნილის აუდიტორიამდე მიტანა. ამ აქტივობით მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ ყველა ადამიანი ინფორმაციას – მოსმენილს, გაგონილსა თუ ნანახს თავისებურად აღიქვამს. ამიტომ აუცილებელია პირველწყაროს მოძიება/გაცნობა.

აქტივობა „წერილი მთავარი გმირისგან“

მოთამაშეებს სთავაზობენ, დაწერონ წერილი მთავარი გმირის სახელით; მოირგონ რომელიმე სატელევიზიო წამყვანის, ფილმის გმირის, ან სარეკლამო რგოლის შემქმნელის როლი. დავალების შესრულების შემდეგ ისინი წარადგენენ თავიანთ წერილს და სხვებმა უნდა გამოიცნონ, რომელი გმირი გაახმოვანა. ამ აქტივობით მოსწავლე თავად ქმნის მედიაგზავნილს და ავრცელებს. ეს მას უვითარებს აღქმისა და მედიაგზავნილის გადმოცემის უნარს.

აქტივობა „რეკლამის განხილვა“

შეარჩიეთ რეკლამა და შეაფასებინეთ მოსწავლეს – რა მოსწონს, რა არ მოსწონს, რის გაყიდვას ცდილობს და არის თუ არა წარმატებული; დაწუნების რა ხერხებს მიმართავს შემქმნელი? თქვენ რას დაამატებდით, როგორ გააუმჯობესებდით? ამგვარი აქტივობით მოსწავლე შეძლებს განსაზღვროს გზავნილის მიზნები და შეხედოს მედიას კრიტიკული თვალით.

აქტივობა „იაზროვნე კრიტიკულად“

გამოიყენეთ ვიზუალური მედია, როგორიცაა ფილმი ან სატელევიზიო შოუ, რათა დაეხმაროთ მოსწავლეებს, გაეცნონ პერსონაჟის თვისებებს. ანახეთ წაკითხული წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმი.

დაუსვით შეკითხვები:

- რით განსხვავდება ფილმი წიგნისგან?
- რით არის ფილმის შემქმნელის ღირებულებები მსგავსი ან განსხვავებული ავტორის ღირებულებებისგან?
- როგორია ეს განსხვავებები?
- ცვლის ტექსტის შინაარსს?

ამ აქტივობით მოსწავლე ეჩვევა სხვადასხვა მედიაპროდუქტით მიღებული ინფორმაციის შედარებას, განხილვას, ანალიზსა და დასკვნების გამოტანას.

აქტივობა „შექმენი რეკლამა“

მოსწავლეებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დაავალეთ, შექმნან რეკლამა. გამოიყენონ დარწმუნების სხვადასხვა მეთოდი და შეძლონ ნივთის გაყიდვა, პროდუქტის მიმზიდველად წარმოჩენა.



აქტივობა „ნამდვილი და მოგონილი“

სთხოვეთ მოსწავლეებს, კრიტიკულად შეაფასონ და გააუმჯობესონ ახალი ამბები 30-წუთიანი აქტივობით. გაკვეთილი იწყება ახალი ამბების კლიპის ყურებით. დასასრულ, ჰკითხეთ კლიპის შინაარსისა და სიუჟეტის შესახებ. ეს საშუალებას გაძლევთ, გამართოთ დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ გააუმჯობესებდნენ კლიპს. მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად. მათ უნდა დაწერონ კლიპის შეცვლის ხუთი გზა. შემდეგ შეუძლიათ წარმოადგინონ განახლებული ახალი ამბების სიუჟეტი. ამ აქტივობით მოსწავლე არის როგორც მედიაპროდუქტის კრიტიკულად შემფასებელი, ასევე შემქმნელიც.

აქტივობა „შექმენი კომიქსი“

კომიქსი არის კითხვისა და წერის ეფექტური მეთოდი; მოსწავლეს ეხმარება წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. კომიქსებით ხდება პერსონაჟების გაცოცხლება, ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა. ასეთი აქტივობით მოსწავლეს უვითარდება ციფრულ ტექნოლოგიასთან ურთიერთობის უნარი, ასევე წაკითხულიდან, მოსმენილიდან თუ ნანახიდან ძირითადი, მნიშვნელოვანი საკითხების გამორჩევის უნარი.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს მოეწონებათ აქტივობა

„ფოტომანიპულაცია“. მოსწავლე შეძლებს ფაქტების გადამოწმებას და დეზინფორმაციის გაკონტროლებას. აქტივობა მოსწავლეს დაეხმარება იმის გარკვევაში, რამდენი ინფორმაციაა გაყალბებული და რამდენად შეესაბამება ფოტოში აღწერილი ამბავი რეალობას.

Google Image Search -ის საძიებო სისტემაში ფოტოს ატვირთვა შესაძლებელს ხდის, მოიძიოთ: 1) იდენტური ფოტო; 2) მასთან დაკავშირებული ტექსტი; 3) ვებგვერდები, სადაც ფოტოა განთავსებული. საძიებო სისტემა ატვირთული ფოტოს გამოყენებით გავრცელებულ უამრავ რესურსზე გვაძლევს წვდომას. ცხადია, ყველა მოძიებული მასალა სანდო ვერ იქნება. შესაბამისად, საჭიროა ნაჩვენებ შედეგებს შორის ყველაზე სანდო წყაროების გამორჩევა და მათი კრიტიკული ანალიზი.

მედიის მანიპულაციის, ყალბი ინფორმაციის ზეგავლენის მსხვერპლი ბევრი ადამიანი გამხდარა. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, დაწყებითი საფეხურიდანვე განვუვითაროთ მოსწავლეს კრიტიკული აზროვნება, მედიაგზავნილის შეფასების, ანალიზის, ინტერპრეტირების უნარები. ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი აქტივობები დაეხმარება მასწავლებელს, მოსწავლეს მედიაწიგნიერების საწყისი უნარები განუვითაროს.